PRIME Time

N28 (329) ორშაბათი, 20 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

სააკაშვილის ახალგაზრდა მოადგილეს 13 წლის გოგოს სიკვდილში ადანაშაულებენ

სკანდალური კომპანია ქართულ ბაზარზე

ვინ გასცა ნებართვა 25 ტონა EXCLUSIVE გენმოდიფიცირებული სოიოს შემოტანაზე?

SCANDAL

ნათელაშვილი სკანდალში ეხვევა

ქეთი დოლიძე: „გადაწყვიტეს, ასეთ სიბინძურეებს არ უპასუხონ, რადგანაც ქვეყანაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია, ვიდრე ვილაცის თავებში მოხარშული სიბინძურეები“

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორთან

„სტაბილური ქვეყნის სახელი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. დღევანდელი ხელისუფლება ყველა შესაძლო საერთაშორისო ტრიბუნას გამოიყენებს“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„ევექსი“ - საქართველოში ყველაზე დიდი ლაბორატორიული ქსელი და ხარისხის მაღალი სტანდარტი

სკანდალური დასკვნა

PRIME Time exclusive

რატომ ასაიდუმლოებს მერია დოკუმენტს, რატომ დუმს ნარმანია და რა დაწერა ადეიშვილის მეგობარმა „სითი პარკზე“

„კვლევასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარს ვერ გავაკეთებთ... კონფიდენციალურობა დაცულია... თუმცა ეს არის საჯარო ინფორმაცია...“

PRIME Time ექსკლუზიური რეპორტაჟი

გიორგი ნიკოლაიშვილი: „ეს არ არის პირველი აფეთქება და არც ბოლო იქნება. მთელი თბილისია რისკის ქვეშ“

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე #2 – განზრახ მკვლელობა!

რა შეიძლებოდა EXCLUSIVE აღმოჩენილიყო შემთხვევის ადგილზე 22 წლის შემდეგ?

რა მოხდა „იმედის კლინიკაში“?

EXCLUSIVE

„წლების ნანატრი შვილი ხელიდან გამომაცალეს, მთელი ცხრა თვის განმავლობაში ბავშვს მუცელში ვეფერებოდი და ასეთი კატასტროფა დამატეხეს თავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაგოდეხის ნაკრძალში ტურისტები ბუნებრივ მოთხოვნილებებს ბუნების წიაღში იკმაყოფილებენ?!

მირიან ბოქოლიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობების არაეფექტური მუშაობა რამდენჯერმე გახდა არათუ ოპოზიციის, არამედ თავად პრემიერ-მინისტრის მწვავე კრიტიკის საფუძველი. ღარიბაშვილმა საჯარო განცხადებაც კი გააკეთა და ფინანსთა მინისტრს დაავალა კონტროლი იმ მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც არაეფექტურად მუშაობენ.

ასეთთა შორის კი თამამად შეგვიძლია, მოვიხსენიოთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი... სხვა დარღვევებთან ერთად, ამ რაიონში, როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემაა ინფრასტრუქტურული პროექტები, რასაც აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ბოლო შემოწმებაც ადასტურებს. მაგალითად, ლაგოდეხის ცნობილი ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის მუნიციპალიტეტმა 180 ათასი ლარის ღირებულებით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „სასწორს“.

ხელშეკრულება ლაგოდეხის ტყე-პარკში ელექტროგანათების, სკამებისა და ბორდიურების მოწყობას ითვალისწინებდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ნაკრძალში მხოლოდ საპირფარეშოს მოწყობისთვის 25 ათასი ლარი დაიხარჯა.

ცხადია, ამის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. აღმოჩნდა, რომ ეს ძვირადღირებული საპირფარეშო მისი ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან დაკეტილია და იქ შესვლის საშუალება არც ადგილობრივ და არც უცხოელ ტურისტებს არ ეძლევათ. მოქალაქეები ბუნებრივ მოთხოვნილებებს, როგორც ჩანს, კვლავ ბუნების წიაღში იკმაყოფილებენ. ტუალეტთან დამონტაჟებულ წყლის მრიცხველზე კი ერთი წლის შემდეგაც კვლავ ხულოვანი მაჩვენებელია.

საპირფარეშო, რომლის მშენებლობა ბიუჯეტს 25 ათასი ლარი დაუჯდა, ამჟამად დანესტიანებული და დაზიანებულია.

„საპირფარეშოს დაკეტვის გამო, შიდა კედლები დანესტიანებული და, შესაბამისად, დაზიანებულია. საპირფარეშოს დაშენებული აქვს ფართობი იატაკის გარეშე და არ გამოიყენება. აღნიშნული საპირფარეშოს მოწყობით მუნიციპალიტეტის მიერ 25.1 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია არაეფექტიანად“, – ნათქვამია აუდიტის დასკვნაში.

აუდიტის სამსახურმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სხვა დარღვევაც გამოავლინა, რომლის უკანაც შესაძლოა, კონკრეტული პირების ინტერესი იდგეს. საქმე ის გახლავთ, რომ გზების რეაბილიტაცია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით არ ხდებოდა, რის შედეგადაც საკმაოდ სოლიდური თანხა ვიღაცის ჯიბეში მიედინებოდა.

მაგალითად, 2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „FINESTATE“-სთან სოფელ ჭიაურში გზის საფარის მოწყობის შესყიდვაზე, ღირებულებით 365 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 9240 კვ.მ-ზე შემასწორებელი ფენის – სისქით 2.5 სმ და წვრილმარცვლოვანი ფენის, სისქით – 6.5 სმ, მოწყობას.

აუდიტის ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად, 5 სხვადასხვა მონაკვეთზე დადგინდა, რომ ასფალტის სისქე არ შეადგენდა 6.5 სმ-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „FIN-ESTATE“-მა, ფაქტობრივად, მოაწყო წვრილმარცვლოვანი ასფალტი, სისქით – დაახლოებით 4 სმ, ნაცვლად 6.5 სმ-ისა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებით მიიღო 303 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, ნაცვლად 369 ათასისა, ვინაიდან 1 კვ.მ-ის ფასი შეადგენდა 32.9-ს.

ლაგოდეხის გამგეობაში განმარტავენ, რომ ამ საკითხის გარკვევის მიზნით ამჟამად სასამართლო დავა მიმდინარეობს.

„2014 წლის 11 ივლისს, გამგეობამ #818 წერილით მიმართა მიმწოდებელს ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ 2015 წლის 11 მაისს სარჩელი წარადგინა სასამართლოში შპს „FIN-ESTATE“-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების თაობაზე, რაზეც დავა ამჟამადაც მიმდინარეობს“.

საპირფარეშო, რომლის მშენებლობა ბიუჯეტს 25 ათასი ლარი დაუჯდა, ამჟამად დანესტიანებული და დაზიანებულია

სიცოცხლის მოს

რა მოხდა „იმედის კლინიკაში“?

გარდაცვლილის მამა: „წლების ნანატრი შვილი ხელიდან გამომაცალეს, მთელი ცხრა თვის განმავლობაში ბავშვს მუცელში ვეფერებოდი და ასეთი კატასტროფა დამატეხეს თავს“

„იმის ნაცვლად, რომ სისტემატურ კონტროლზე ყოფილიყო ბავშვი, ესენი ამ აპარატს წინ და უკან დაარიხინებდნენ“

მირიან ბოქოლიშვილი

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით – ამ ფორმულირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისის ერთ-ერთ ცნობილ და პრესტიჟულ სამშობიაროში მომხდარ ფაქტზე. საუბარია „იმედის კლინიკაში“ ახალშობილის ბუნდოვანი გარდაცვალების შესახებ, რომელსაც თავად ექიმებიც კი ვერანაირ ახსნას ვერ უძებნიან.

შემთხვევა 6 ივლისს მოხდა, თუმცა ჩვილის ცხედარი ამ დრომდე სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული. სწორედ ექსპერტიზის დასკვნას ელოდება გამოძიება, რის შემდეგაც შესაძლოა, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

გაბროშვილების ოჯახისთვის ეს პირველი შვილი უნდა ყოფილიყო. მას დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. 37 წლის მშობიარე, ქალბატონი ქეთევანი მთელი ორსულობის განმავლობაში კონსულტაციებს „იმედის კლინიკაში“ გადიოდა. ბოლო წუთამდე არც მას და არც ნაყოფს არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ. მდგომარეობა იმდენად საიმედო იყო, რომ ექიმმა ორსულთათვის სავალდებული ვიტამინის დანიშვნაზეც კი თავი შეიკავა. ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა – თუკი ყველაფერი რიგზე იყო, რამ გამოიწვია ახალშობილის სიკვდილი? სწორედ ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს. ოჯახი მომხდარს ექიმების დაგვიანებულ რეაგირებას უკავშირებს, თავად სამედიცინო დაწესებულებაში კი არ იციან, რამ გამოიწვია ფატალური შედეგი. ყველაფერს ფარდას, ალბათ, გამოძიება ახდის, პარალელურად საქმეს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო სწავლობს.

მოკვლევის დასრულებამდე კი ჩვენ გარდაცვლილი ახალშობილის მამას, ზაზა გაბროშვილს ვესაუბრეთ:

– მშობიარობამდე 10 წუთით ადრე ბავშვი იყო სრულიად ჯანმრთელი, არანაირი პრობლემა არ ჰქონია, რასაც ექიმი, იზა ბაჯელიძეც ადასტურებს. თავადვე ამბობდა, რომ ერთადერთი მშობიარე, რომელსაც ვიტამინიც კი არ დაუნიშნა, იყო ჩემი მეუღლე. კითხვას ვსვამ – რა მოხდა? ფაქტია, რომ ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა. მშობიარობის მომენტში გული გაუჩერდა.

– თქვენ რაზე გაქვთ ეჭვი?

– ექიმებმა ვერ მიიღეს დროული გადაწყვეტილება და ბავშვი მკვდარი შემრჩა ხელში. მე რომ არ მეაქტიურა და ერთი ამბავი არ ამეტეხა, გარწმუნებთ, მეუღლესაც მკვდარს გამოვიტანდი საოპერაციოდან. ამხელა ფასს ვიხდი და ელემენტარულად ხომ უნდა მქონდეს გარანტია, რომ რაღაც უბედურება არ დატრიალდება ჩემს თავს. თითო ვიზიტში 250-300 ლარს მახდევინებდნენ.

– რატომ იხდიდით ასეთ დიდ თანხებს... დაზღვევა არ ანაზღაურებდა თანხას?

– კომერციული დაწესებულება ვართო და ჩვენთან ასეთი ტარიფებიაო. კი ბატონო, დაზღვევა მოქმედებდა მშობიარობაზე, ნაწილი დააფინანსეს 500 ლარის ოდენობით, მაგრამ სულ 1200 ლარი გადავიხადე. რომ ავნერვიულდი, ვუთხარი კიდეც – ამხელა ფულს რომ ვიხდი სამშობიარო ბლოკში ელემენტარულად აპარატურა მაინც ხომ შეიძლება ჰქონდეთ. გაფუჭებულ აპარატს, რომელსაც გულისცემა უნდა ეკონტროლებინა, წინ და უკან დაარბენინებდნენ, გაჰქონდათ და შემოჰქონდათ.

– კონსულტაციებზეც მანდ დადიოდით?

– დიახ, ბოლო თვეზე რომ ვიყავით, ექოსკოპიაზე ერთადერთ პრობლემა, რასაც ვხედავ, არის ის, რომ ჭიპლარი შემოეხვია ერთი წრითო. ამაზე ავფორიაქდი. ექიმს ველაპარაკე, ვუთხარი, თუ საშიშროებას წარმოადგენს, მირჩევნია დღენაკლული დაიბადოს ბავშვი, ვიდრე საერთოდ დამეღუპოს, ამიტომ იქნებ სჯობდეს, ნაადრევი მშობიარობა გავაკეთოთ-მეთქი. შეიყვანეს, 45 წუთის განმავლობაში სინჯავდნენ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საგანგაშო არაფერი იყო. ასე დავშორდით ერთმანეთს. გვითხრეს, 7 ივლისს მოდით და გამშობიარებთო. 6-ში ასტკივდა მუცელი და მივედით ერთი დღით ადრე. აიყვანეს სამშობიარო ბლოკში. ყველა გვეუბნებოდა, რომ არათუ ნორმალური, არამედ იდეალური მდგომარეობააო. გულზე ხომ საერთოდ არც ყოფილა საუბარი. მოკლედ, დაგვამშვიდეს და ასე მშვიდად ველოდი, როდის დაიბადებოდა პატარა. რას წარმოვიდგენდი, რომ მკვდარ ბავშვს გამომიყვანდნენ საოპერაციოდან.

– ანუ მშობიარობის პროცესში დაუშვეს შეცდომა?

– მშობიარობის რაღაც ეტაპზე შემოდის ექიმი და კითხულობს, რამდენი ხანია, რაც ბავშვის გულისცემა არ მოგისმენიათო. მოგეხსენებათ, ასეთ დროს სისტემატურად ამოწმებენ მუცელში ბავშვის მდგომარეობას. ანუ იმის ნაცვლად, რომ სისტემატურ კონტროლზე ყოფილიყო ბავშვი, ესენი ამ აპარატს წინ და უკან დაარიხინებდნენ. ამის შემდეგ ბებია ქალი გადის, შემოაქვს ისევ აპარატი, ადებს მუცელზე, მაგრამ რეაგირება არ აქვს. შემდეგ თქვეს, ეს გაფუჭებულიაო და შემოიტანეს მეორე აპარატი. არც იმაზე ჰქონდა რეაგირება. შემდეგ ხელის ყურსასმენებით სცადეს, გულისცემა არ ისმოდა, ჯერ რკინის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოზა გაუფრთხილებლობით

ზაზა გაბროშვილი

EXCLUSIVE

ანა ჟღენტი, ადვოკატი:

– ცალსახად ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება, მით უმეტეს, თუ საუბარია პირად ექიმზე, რომელიც საკმაოდ მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ მთელი ორსულობის პერიოდში კონსულტაციას უწევდა ორსულს. მათ დააგვიანეს საკეისრო კვეთა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ადგილზე არ აღმოჩნდა შესაბამისი აპარატურა. ასეთ ძვირადღირებულ კლინიკაში სამშობიაროს ბლოკში გულისცემის აპარატი აუცილებლად უნდა იყოს. არათუ ეს აპარატი, ფონედოსკოპიც კი არ ჰქონდა ექიმს ადგილზე. ჯერ ერთი აპარატი მოიტანეს, შემდეგ მეორე, მერე ხელის ყურსასმენს ეძებდნენ. ამ ყველაფერს მამა თავად ხედავდა. შემდეგ, რომ დარწმუნდნენ, პრობლემა იყო, გადაწყვიტეს საკეისრო კვეთის გაკეთება. ამ ყველაფერმა წაიღო საკმაოდ დიდი დრო. ჩარევა პრაქტიკულად დაგვიანებული აღმოჩნდა და ბავშვს გული გაუჩერდა. პრაქტიკულად ბავშვს გული ჰქონდა უკვე გაჩერებული, როდესაც საკეისროს გაკეთება გადაწყვიტეს.

– გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო... ეს სწორი კვალიფიკაციაა?

– გვამი ამჟამადაც ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც გულისხმობს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას, თუმცა ფაქტია, რომ სახეზეა ექიმის აშკარა გულგრილობა და დაუდევრობა. ვფიქრობ, მუხლი ამ მიმართულებით უნდა გადაკვალიფიცირდეს და პასუხი მოეთხოვოს არა მარტო ექიმს, არამედ კლინიკის ადმინისტრაციას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადგილზე საჭირო აპარატურის არსებობას.

ადვოკატი: „პასუხი მოეთხოვოს არა მარტო ექიმს, არამედ კლინიკის ადმინისტრაციას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადგილზე საჭირო აპარატურის არსებობას“

ყურსასმენით გასინჯეს, შემდეგ ხის მოიტანეს. მოკლედ, ამ პროცედურებში გაიყვანეს დრო. ექიმმა სამშობიარო ბლოკში მოაწყო კონსილიუმი, შემოიყვანა მთელი მედპერსონალი, იდგნენ და მსჯელობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, ბოლოს საკეისრო კვეთა გადაწყვიტეს, მაგრამ ამასობაში ბავშვს გული საბოლოოდ გაუჩერდა. იმის ნაცვლად, რომ პირველივე ჯერზე ემოქმედათ და დროული ჩარევა მოეხდინათ, გამოცდებს ატარებდნენ ხან ერთი ხელსაწყოთი, ხან – მეორეთი.

– და დროულად რომ ჩარეულიყვნენ, ბავშვი გადარჩებოდა?

– ორი წუთით ადრეც რომ ყოფილიყო ჩარევა ბავშვი ცოცხალი იქნებოდა.

– თუკი გული გაჩერებული იყო?

– ადრენალინის მეშვეობით შესაძლებელია ბავშვის გულისცემის ამუშავება, თუკი დროულად მოხდებოდა ყველაფერი. სანამ ბავშვმა საბოლოოდ არ შეწყვიტა სიცოცხლე, არაფერი იღონეს. იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მშობიარობის დროს ბავშვს სადაც გაუჭირდა, იქ ვერ დაეხმარნენ.

– თავად რას ამბობენ, რამ გამოიწვია ფატალური შედეგიო?

– ვერაფერს ვერ ამბობენ. ძალიან კარგად იციან, რომ ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო. კლინიკის დირექტორი საერთოდ გაიპარა იქიდან. ვკითხე, – ექსპერტიზა და გამოძიება რომ არ ჩატარდეს, რა პასუხს მცემთ კითხვაზე – რით დაიღუპა ჩემი შვილი-მეთქი? არ ვიცითო. პასუხს არ იძლევიან.

– რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა?

– მე ამას არავის შევარჩენ. წლების ნანატრი შვილი ხელიდან გამომაცალეს, მთელი ცხრა თვის განმავლობაში ბავშვს მუცელში ვეფერებოდი და ასეთი კატასტროფა დამატეხეს თავს. ეს რომ ჩავყლაპო, არაადამიანი უნდა ვიყო. საერთოდ, მაგ კლინიკამ არ უნდა იფუნქციონიროს. ეგ არის სასაკლაო, რომელიც მხოლოდ ფულის კეთებასა და გაყვლეფაზეა ორიენტირებული. ღმერთს მადლობა, ჩემი მეუღლე მაინც გადარჩა, თუმცა იყო საშიშროება, რომ მშობიარობას გადაჰყოლოდა. აქ ჯოხი მხოლოდ ექიმზე არ უნდა გადატყდეს. ეს არის კლინიკის ბრალი, რომელიც უზარმაზარ ფულს გართმევს. ამის შემდეგ გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი ასეთი ფაქტი ფიქსირდება ამ კლინიკაში. თავად გამომძიებელმა მითხრა, რომ ეს არ ყოფილა პირველი და აპირებენ, კომპლექსურად შეისწავლონ ამ კლინიკის საქმიანობა.

ექიმი: „გაოგნებული ვარ და არ ვიცი, რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი? მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი“

„პრაიმტაიმი“ „იმედის კლინიკის“ ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილების გამგეს, მეან-გინეკოლოგ იზა ბაჯელიძეს დაუკავშირდა. ჩვენთან საუბრისას ექიმი ვერ აკონკრეტებს, რა გახდა ახალშობილის გარდაცვალების მიზეზი. ბაჯელიძე ამბობს, რომ ეს ყველაფერი მისთვისაც სრულიად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო.

იზა ბაჯელაძე, ექიმი:

– აბსოლუტურად ყველაფერი ნორმალურად ჩატარდა. მე თვითონაც გაოგნებული ვარ და არ ვიცი, რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი. თავადვე მოვითხოვე ექსპერტიზის ჩატარება, რომ რაიმე კითხვა არ დარჩენილიყო. მოწმენდილ ცაზე გავარდა მეხი, რასაც ჰქვია.

– ანუ თქვენთვისაც გაუგებარია, რა მოხდა?

– იმდენად კაზუისტიკური რამ მოხდა, რომ ვერაფრით ვხსნი. კარგი, ფიზიოლოგიური მშობიარობა ჰქონდა. არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ შესაძლოა, ასეთი შედეგი დამდგარიყო. რა მოხდა, არ ვიცი. ორსულობაც შესანიშნავად მიმდინარეობდა. იმ მომენტში ბავშვს არ უნდა გასჭირვებოდა, ასეთი შედეგი ნამდვილად არ უნდა დამდგარიყო.

– თუმცა ფაქტია, რომ პატარას გული გაუჩერდა...

– კი, ერთეული გულისცემით გავედი საკეისროზე.

– ჩარევა რამდენად დროული იყო... დრო ხომ არ დაკარგეთ?

– ჩარევა, რაც არ უნდა დროული ყოფილიყო, ეს არაფერ შუაშია. მაქსიმუმ 7 წუთში ბავშვი უკვე ამოყვანილი იყო. ხანდახან 15 წუთიც გვიჭირს და 20 წუთიც, მაგრამ დაძლევადია ხოლმე.

– ორსულობის პერიოდში ხომ არ იქნა ბავშვის მდგომარეობა არასწორად შეფასებული?

– არა, გენაცვალე, ელემენტარულად წამალი არ მიმიცია. გადასარევად მიდიოდა ყველაფერი. 3,700 კილო იყო ბავშვი. წყლებიც სუფთა იყო. მე თვითონაც შოკში ვარ. განადგურებული გახლავართ. არ ვიცი, რა მოხდა. ვერაფრით ვერ ვხსნი.

როგორც უკვე გითხარით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს, თუმცა გაბროშვილების ოჯახის ადვოკატი მიიჩნევს, რომ სახეზეა ექიმებისა და, ზოგადად, კლინიკის გულგრილობა და დაუდევრობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა შეიძლებოდა აღმოჩენილიყო შემთხვევის ადგილზე 22 წლის შემდეგ?

ვინ და რა მიზნით ინახავს (თვით) მკვლელობის იარაღს?

მანზრახ მკვლელობა!

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

პროკურატურის სკანდალური საქმეების ჩამონათვალს კიდევ ერთი შეემატა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი ხდება, რომ საგამოძიებო ჯგუფის რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად საქმე, რომელსაც აქამდე ოფიციალური საგამოძიებო ორგანო პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობად აფასებდა, ამჯერად სულ სხვა – გაზრახ მკვლელობის მუხლით განახლდა. უფრო ზუსტად კი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის რედაქციით 104-ე მუხლის მესამე პუნქტით გაგრძელდება, რაც გულისხმობს დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილ განზრახ მკვლელობას.

ერთი სიტყვით, 22 წლის შემდეგ საქმე სრულიად ახალ ფაზაში გადადის და როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ არა კონსტანტინე გამსახურდიას ინფორმაცია სოციალურ ქსელში, ამის გამჟღავნებას პროკურატურა არც აპირებდა. ახლა კი მცირე კომენტარით შემოიფარგლებიან და აცხადებენ, რომ ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი. საზღვარგარეთ გაგზავნილია შუამდგომლობები სამართლებრივი დახმარების მისაღებად.

როგორც ჩანს, ამ დახმარებას პროკურატურა იმ პირების დაკითხვისთვის ითხოვს, რომლებიც საზღვარგარეთ არიან. ცხადია, მაშინვე ჩნდება ეჭვი, რომ კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს ფინეთში მყოფ **ბესარიონ გუგუშვილსაც...** „პრაიმტაიმი“ შეეცადა მასთან დაკავშირებას და გთავაზობთ იმ მცირე დიალოგს, რაც ჩვენს შორის შედგა:

ბესარიონ გუგუშვილმა პასუხად ჯერ თავისი წიგნის ანონსი გამოგვიგზავნა, რომლის სათაურიც ასეთია: „მკვლელობის დაკვეთა“, მისი მიზანი კი ასეა განმარტებული:

„წიგნის მიზანია, დაანახოს საზოგადოებას, როგორ ბინძურ, არაკაცურ, თახსირ მეთოდებს იყენებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიის პროპაგანდისტები; რამდენ ცილისწამებას, ბოროტებას, სიყალბესა და სიცრუეს ნერგავენ და უწევენ პროპაგანდას. ავტორმა ისიც კარგად იცის, რომ „დაეჭვებულ“ მკვლელობამადიდებელ და მკვლელობათაყვანისმცემელ მკითხველს კვლავ და ისევ არაერთი გამჭრიახი და კაპიტალური „შეკითხვა“ ექნება ჯიბეში გადამალული და ასეც უნდა იყოს...“

ამის მიუხედავად...

– თქვენს დაკითხვას აპირებენ და პროკურატურასაც თქვენს წიგნს შესთავაზებთ?

– უქრით...

– ეს თქვენი საგაზეთო პასუხია?

– ასე დაწერეთ...

– თუ დაგიკავშირდებიან, ჩვენებაზე უარს იტყვით?

– არალეგიტიმურ ხელისუფლებასთან და მის ორგანოებთან ვერ ვითანამშრომლებ. გადაკვალიფიცირება მორიგი მატრაკვეცობაა.

– მაგრამ საპროცესო მოქმედებაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სასამართლოთი სრულდება...

– ან – არა... პატარა ხანში მიივიწყებენ, როგორც ყველა აქამდელ „გამოძიებას“. მეზარება ამ სისულელეებზე დროის მოცდენა...

თუმცა სულ სხვა პოზიცია აქვს გუგუშვილისავით ფინეთში მცხოვრებ გამსახურდიას უახლოეს თანამებრძოლს, გოჩა ბახიას:

– კარგია, ერთი ნაბიჯით მაინც წავინიეთ ამ ბურუსით მოცულ საქმეში. როგორც ჩანს, პროკურატურას ახალი მასალები გაუჩნდა. მეც მაქვს ბევრი კითხვა. პირველად ეჭვი გამიჩინა რობიზონ მარგველანის (გამსახურდიას დაცვის უფროსი. – მ.ნ.) გარშემო არსებულმა გარემოებამ. კონკრეტულად კი იმან, რომ ის მანამდე ორჯერ ყოფილა დაჭერილი. ამის შესახებ არც მე და არც ზვიად გამსახურდიას გარემოცვამ არაფერი ვიცოდით. მაშინ ჯარისკაცს რომ დაიჭერდნენ, გენერალი დავიჭირეთო, ამბობდნენ. მე რომ დავეჭირე, ერთი პროცენტი შანსიც არ მექნებოდა, რომ ვინმეს ცოცხალი გავეშვი. თუ გამიშვებდნენ, ამას გარკვეული მიზნით, ან პირობით გააკეთებდნენ. ეს კაცი კი ჰყავდა ციხეში ამ ხუნტას და გაუშვეს. თანაც მალავდა ამ ყველაფერს.1997 წელს ხელში ჩამივარდა ციხის ჟურნალი, სადაც აღნერილია პატიმარ მარგველანის ყველა მოძრაობა – როდის გაიყვანეს დაკითხვაზე, ვინ სტუმრობდა მას და ა.შ. უფრო მეტად ცეკას მდივნის მისაღების ჟურნალს ჰგავდა, ვიდრე პატიმრისას. ამ ადამიანს კამერაში აკითხავდა მარგიანი, იოსელიანი, ლომინაძე და ა.შ. იმ ჟურნალში აღნიშნულია, რა დროს გავიდა საჭმელად, როდის ინახულა ექიმმა და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, 2007 წელს აღიარა, რომ ნამდვილად იყო დაპატიმრებული ორჯერ...

– მეორედ სად და როდის?

– მეორედ გუდაუთის სამხედრო ბაზიდან გაუშვიათ და თანაც ვერტმფრენით გადააფრინეს წალენჯიხაში. ამის გარდა, დაცვის ყველა წევრი, ვინც ზვიად გამსახურდიას ბოლოს ახლდა, ყველანი იყო მანამდე დაჭერილი და გამშვებული. რაც შეეხება ბესარიონ გუგუშვილს: როდესაც ჩვენ 6 იანვარს საქართველოდან გავედით, გუგუშვილის ასავალ-დასავალი მაისამდე არ გაგვიგია. დღეს კი აცხადებს, ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ვარო. თუ ასეა, მაშინ რატომ დატოვა 4 თვე საკუთარი ერი, რომელიც ასეთ დღეში ჩავარდა. საქართველოდან რომ გავედით, ჯერ აზერბაიჯანში ვიყავით და მერე სომხეთში მოვხვდით. ბესო გუგუშვილი დარჩა იქ, დღეს რომ სახელმწიფო კანცელარიაა. ამ შენობას იცავდა ჩემ მიერ სოხუმიდან ჩამოყვანილი 200 კაცი. ამის შემდეგ გუგუშვილი ჩვენთან კონტაქტზე არ გამოსულა. მაისში მე შევხვდი მას შემთხვევით მინვოდის სადგურში. მე თვითონ ვერ ვიცანი. აქეთ გამომეცნაურა. მოპარსული ჰქონდა ულვაშები, მოხსნილი ჰქონდა სათვალე, თმები გადაპარსული. ეცვა „კურტკა“.ვილაც სანყალი ლოთი მეგონა. გაყვითლებული იყო სულ. ახლა აგიხსნით, რა დრო იყო ეს: 31 აპრილს, როცა ჩვენ უკან დავიხიეთ და ზუგდიდში „მხედრიონი“ შევიდა, ჟურნალისტები დაგვდევდნენ, გვითხარით, სად არის გამსახურდია, ცოცხალია თუ მკვდარიო. მაშინ არ ვიცოდით ზუსტად, ჩეჩნეთი მიგვიღებდა თუ არა და ამიტომ მეგობარ ქვეყნებთან გადავწყვიტეთ მოლაპარაკება – ეს იყო ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა. მე უკრაინაში მომიწია წასვლა. შევხვდი კრავჩუკს. ჩვენი მიზანი იყო, მოგვეხდინა გამსახურდიას ლეგალიზება და რომ ცოცხალი იყო, დაგვედასტურებინა უკრაინაში, ვთქვათ, ორდღიანი ვიზიტით. კრავჩუკმა ზრდილობიანი უარით გამოგვისტუმრა. კიევიდან მინვოდში ჩამოვედი. იქიდან სხვა მატარებელში უნდა გადავმჯდარიყავი გროზნოში წასასვლელად, იმის გამო, რომ ჩემი ვიზიტის კრახის შესახებ მომეხსენებინა. სწორედ მაშინ ვნახე მინვოდში გუგუშვილი. დამიტოვა სასტუმროს მისამართი და მითხრა, ზვიადს გადაეცი, რომ მზად ვარ, მასთან ჩავიდეო. ჩემთან ერთად წასვლა შევთავაზე. უარი მითხრა... მაშინ ჩვენთან კონტაქტზე გამოდიოდა ამერიკის ელჩის თანაშემწე კულტურის დარგში მათიას ანდერს მეორე. როცა გვიან ღამე გროზნოში ჩავედი, სასტუმროში, დილით ჩემთან შემოვიდა ეს კაცი. მითხრა, პრეზიდენტს უნდა შემახვედრო, ვიცით, გროზნოშია, ოლონდ

„პატარა ხანში მიივიწყებენ, როგორც ყველა აქამდელ „გამოძიებას“. მეზარება ამ სისულელეებზე დროის მოცდენა...“



ბესარიონ გუგუშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურატურა დასაკითხ პირთა წრეს ავინროებს

არადიპლომატიური მისიით ვარ და გთხოვ, დაფარული დარჩეს ეს შეხვედრაო. პირდაპირი მესიჯები მაქვს გადასაცემიო. ეს ხდება ბეიკერის შევარდნაძესთან ვიზიტამდე ერთი თვით ადრე... ბატონმა ზვიადმა თავიდან თავი შეიკავა ამ შეხვედრაზე. როცა ამის გადასაცემად წავედი, პრეზიდენტის დაცვამ დამირეკა, წამოიყვანე სტუმარიცო. შეხვედრას მეც ვესწრებოდი. ჩვენმა სტუმარმა გვითხრა, – ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ უნდა დაკონსერვდეთ, როგორც პოლიტიკური ძალა, უნდა შეწყვიტოთ შეიარაღებული წინააღმდეგობა. რაღაც პერიოდი გაივლის, თუნდაც ხუთი წელი. მერე კი არჩევნებით ისევ დაბრუნდებით ხელისუფლებაშიო. ის გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ არავითარი ძალა აღარ გვქონდა, არც არავინ გვეხმარებოდა და ამიტომაც მის რჩევას უნდა დავყოლოდით. ბატონი ზვიადი უმტკიცებდა, რომ ეს არ იყო დემოკრატია, ეს იყო ძალადობა და ა.შ. ის თავის მხრიდან გვიმტკიცებდა, მთავრობაც არ გყავთო – გურამ აბსანძე ციხეში გყავთ დაჭრილიო, პრემიერ-მინისტრი გუგუშვილი ლეპორტოვოში გიზითო... გუგუშვილთან შეხვედრის შესახებ ბატონ ზვიადთან დალაპარაკება ვერ მოვასწარი. მას შევენინააღმდეგე, დღეს ვნახე გუგუშვილი მინვოდში-მეთქი. ამით გავანეიტრალე მისი არგუმენტები. წლების შემდეგ დავაზუსტე, რომ იმ ამერიკელს ტყუილი არ უთქვამს და ის მინვოდის შეხვედრაც შემთხვევითი არ ყოფილა. ასეთ „ტონკი“ სვლებს რუსული „კაგებე“ აკეთებდა მხოლოდ. წლების შემდეგ მინდოდა იმ ამერიკელის მოძებნა, მაგრამ მითხრეს, რომ მან უკვე დაასრულა თავისი მისია და ამ სახელითა და გვარით ის დიპლომატიურ საძიებლებშიც არ იძებნება... სხვათა შორის, წლების წინათ ერთ-ერთ გადაცემაში ჩამრთეს ჰელსინკიდან. საუბარი შეეხებოდა ზვიად გამსახურდიას გადმოყვანას სომხეთიდან. გახსოვთ, ალბათ, რომ დაახლოებით სამი თვე ყველა ფიქრობდა, რომ ზვიად გამსახურდია სოხუმში იყო. მაშინ სამეგრელოში მიტინგიც მოეწყო და იქ ვითომ ზვიად გამსახურდიაც გამოვიდა...

– ასე არ ყოფილა?

– სინამდვილეში ზვიად გამსახურდია გროზნოში იმყოფებოდა...

– აბა, მის მაგივრად მიტინგზე ვინ გამოვიდა?

– გვყავდა ასეთი ვინმე, გივი ქობალია, რომელიც მიტინგებზე დაგვყავდა. შორიდან მართლაც ჰგავდა ზვიად გამსახურდიას, ახლოს ხალხი არ მოგვყავდა... ამ გადაცემის შემდეგ გუგუშვილმა თავის „ფეისბუკის“ გვერდზე დაპოსტა, – რა ზღაპრებს ყვებიან, რა სოხუმიო... ეს კი იმ დროს, როდესაც ყველას მართლაც ეგონა, რომ პრეზიდენტი სოხუმში სტალინის აგარაკზე ცხოვრობდა. გუგუშვილი კი იმ დროს ლეპორტოვოში, ეტყობა, ისე ღრმად ჰყავდათ ჩაკეტილი, რომ ამის შესახებ ჭორსაც კი არ მიუღწევია მასთან.

– ერთი სიტყვით, გამსახურდიას მკვლელობის დღეს მის გარემოცვასთან კითხვები იმიტომ გაქვთ, რომ ყველა მათგანი მანამდე დაკავებული იყო და ამიტომაც ფიქრობთ, რომ ისინი კონკრეტული დავალების შესასრულებლად გაათავისუფლეს პატიმრობიდან?

– როცა კითხვები არსებობს, მას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. მარგველანი იყო გივი ლომინაძის (აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. – მ.ნ.) დაჭერილი. ორი თვე ციხეში ჰყავდა და კრინტი არავის დაუძრავს. საგულდაგულოდ მალავდნენ ამ ფაქტს. მეტიც, ვერტმფრენითაც აცილებდნენ თურმე. ბესარიონ გუგუშვილი რომ ამბობს, გასროლის ხმა არ გამიგიაო, სისულელეა. „სტეჩკინის“ მინუსი იყო მისი ხმა. ის შეიარაღებაში არ იყო, იმიტომ რომ ხმაურიანი იყო. ამიტომ გახდა „კაგებეს“ სპეციარაღი და იყენებდნენ ფსიქოლოგიურ იარაღად. მისი არგაგონება ისეთია, ზარბაზანმა გაისროლოს და შენ თქვა, ონკანის ხმამ გამომაღვიძაო. ამიტომაც ვურჩევდი გუგუშვილს, რომ თქვას ის, რაც დაინახა და გაიგონა და ნუ ამტკიცებს თავის ვარაუდებს. ხომ შეიძლებოდა, სპეცოპერაციის ფარგლებში იმ ხის ღრიჭოებიან სახლში გაზი გაუშვეს და იქ მყოფები დააძინეს?

– პროკურატურაში აცხადებენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. თქვენი აზრით, 22 წლის შემდეგ, რა შეიძლებოდა ამ ხერხით აღმოჩინათ?

– თუნდაც პარალეტიკური გაზის გაშვების შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება მისი კვალის აღმოჩენა 22 წლის შემდეგაც. ბალისტიკურ ექსპერტიზასაც ბევრი ინფორმაცია შეიძლებოდა მიეცა გამოძიებისთვის...

– თქვენ გარდაცვალების იარაღზეც გაქვთ ეჭვები?

– პრეზიდენტისთვის მიყენებული ჭრილობა უფრო მეტად რუსული „მარგოლინიდან“ გასროლილს ჰგავს, ვიდრე „სტეჩკინიდან“. მეტიც, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ პრეზიდენტის მკვლელობა სულ სხვა ადგილას მოხდა და არა იმ სახლში და რაღა თქმა უნდა, ეს იყო რუსული სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული მკვლელობა შევარდნაძესთან შეთანხმებით.

სულ სხვა პოზიცია აქვს გამსახურდიას დაცვის უფროსს, **რობიზონ მარგველანს**, რომელიც ამჟამად ვენაში იმყოფება. „პრაიმტაიმი“ მასთან ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ, რომელიც, რა თქმა უნდა, საუბრის მხოლოდ იმ ნაწილს მოიცავს, რაც პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საქმეს შეეხება და არა ჯგუფობრივ დაპირისპირებებს ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შორის:

– ზვიადისა და საქართველოს მტრებს აწყობთ ამ ვერსიის განვითარება, რომ თითქოს ის მოკლეს. როცა ეს უბედურება მოხდა, მერე გროზნოში ჩავედით. ქალბატონ მანანას ყველაფერი მოვუყევით. მან თავად თქვა, მე ვიცოდი, ზვიადი ამაზე რომ წავიდოდაო – თვითმკვლელობას გულისმხობდა. მე მთხოვდა, არ მიგვატოვო, ზვიადი ყველაზე მეტად შენ გენდობოდაო. ერთი კვირის მერე მოსკოვიდან დაურეკეს. უთხრეს, ლექსიკონიდან თვითმკვლელობა ამოაგდეთ და მკვლელობაზე ილაპარაკეთო. იმ დღის მერე შეიცვალა მანანა არჩვაძე. აი, იმ მოსკოვიდან ზარით ნაკარნახევი სიტყვა „მკვლელობა“ მუსირებს აგერ უკვე 22 წელია. შევარდნაძემაც და სააკაშვილმაც სამშობლო გაწირეს საკუთარი სკამებისთვის.

პირველი პრეზიდენტისა და ამერიკელი დიპლომატის საიდუმლო შეხვედრის დეტალები გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე

რობიზონ მარგველანი

ზვიადმა კი თავი გაწირა სამშობლოსთვის. სწორედ ეს არ აწყობთ მის მტრებს, რომ მას სამშობლოსთვის თავგანწირულის სახელი შერჩეს.

– თუ მან თავი მოიკლა, ამით სამშობლოს რით შეეწირა?

– ის ყველამ მიატოვა ბოლოს. რუსები კი მზად იყვნენ, მაშინდელი დაპირისპირებით ესარგებლათ და საქართველოში შემოსულიყვნენ. ამ თავგანწირვით გამსახურდიამ ქვეყანა დიდი საფრთხისგან იხსნა.

– კონკრეტულად თქვენი მისამართით კითხვები გაჩნდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გამსახურდიას გარდაცვალებამდე ორჯერ იყავით დაკავებული და ორივეჯერ უვნებლად განთავისუფლებული...

– არასდროს მყვარებია მიტინგების ჩატარება ჩემს წარსულზე... პირველად სამეგრელო რომ გავათავისუფლეთ „მხედრიონისგან“. იმ დროისთვის ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი „ნივა“ სოხუმში იყო. ერთმა აფხაზმა ჩამომიყვანა. პატივი ვეცი და მერე ღალწკამდე გავაცილე. იქიდან რომ მოვტრიალდი, დამშინებელ. გავჩერდი და ამიყვანა აფხაზეთის გვარდიამ. რომ გაარკვიეს, ვინ ვიყავი, ბოდიშებით მიშვებდნენ, მაგრამ ლომინაძემ გაიგო და უკან შემაბრუნეს ციხეში. 5 „სუტკა“ ვიჯექი იზოლატორში. ლომინაძეს თბილისში უნდოდა ჩემი გადაყვანა. ჩემმა თანამებრძოლებმა შეუთვალეს, ან გაუშვი მარგველანი, ან სოხუმზე წამოვალთო... რაც მთავარია, ამ დაპატიმრების შესახებ ზვიადმა ყველაფერი იცოდა... ისიც იცოდა ზვიადმა, გუდაუთაში რომ დამაკავეს. ჩვენ იარაღს ვყიდულობდით გროზნოში. მერე ის საქართველოში მომქონდა. დუდაევმა ამისთვის მომცა „კუკურუზნიკი“, რომელიც ან ზუგდიდში უნდა დამესვა, ან სვანეთში. ჩემთან ერთად მოდიოდნენ აფხაზი ბიჭები. დედა ქართველები ჰყავდათ. დატვირთული იყო თვითმფრინავი და ვერ გადმოფრინდა კავკასიონის ქედზე. ორი რუსული ვერტმფრენი დაგვეწია და პილოტებს დამორჩილება უბრძანეს. პილოტები ჩეჩნები იყვნენ. მოგვიწია გუდაუთის აეროპორტში დაჯდომა. პატარა ოთახში გამომკეტეს. დამიდგეს სამლიტრიანი წყალი, ერთი ლავაში და „კომუნისტში“ შეხვეული თამბაქო. 12 დღე ვიყავი ამ სიტუაციაში. ბოლოს დუდაევისა და ზვიადის ჩარევით გამომიშვეს. იარაღიც გამომატანეს და ვერტმფრენით ტყვარჩელში გადმომიყვანეს. იქ დამახვედრეს მანქანა იარაღის წასაღებად...

– ბატონო რობიზონ, თქვენი აზრით, რა საფუძველი უნდა ჰქონოდა გამოძიებას ზვიად გამსახურდიას საქმისთვის კვალიფიკაციის შესაცვლელად?

– ეს მიშა სააკაშვილისა და კონსტანტინეს შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგია. არადა კონსტანტინეს ისიც ვერ გაურჩევია, „სტეჩკინი“ რა ტყვიას ისვრის. მეტიც, იარაღზე მე მედავებოდა. არადა ჯონსონ კვარაცხელიასთან ერთად ის იარაღი მე შევინახე ტყეში, მინაში დავმარხე ზვიადის ბეჭედთან ერთად. თან კვარაცხელიას პირობა დავადებინე, არავისთვის ეთქვა ეს ადგილი ჩემს დაბრუნებამდე. მას კი ეს ნივთები მანანა არჩვაძისთვის მიუცია. დღეს, როგორც ვიცი, გიორგი გამსახურდია დადის ამ იარაღით. არადა მე მედავებიან ამ იარაღს... მანანას ზვიადის დამარხვას არ ვანებებდით ექსპერტიზამდე. მან მაინც არ ჩაატარა ექსპერტიზა და დაწერა, რომ სადავო არაფერი ექნებოდა... ზვიადი ბოლოს ყველამ მიატოვა. ის კი ვიღაც პაცანა არ იყო, რომ ეს ყველაფერი გადაეყლაპა... მე მეამაყება, რომ მის გვერდით ვიყავი სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გლდანის ტრაგედიის

● გიორგი ნიკოლაიშვილი: „ეს არ არის პირველი აფეთქება და არც ბოლო იქნება. მთელი თბილისია რისკის ქვეშ“

● ბესიკ ქარცივაძე: „თუ გამოძიებით რომელიმე კომპანიის ბრალეულობა გამოიკვეთება, ანაზღაურების საკითხი დადგება დღის წესრიგში“

● გიორგი ნიკოლაიშვილი: „აფეთქება თავისი ძალით 15 კილო ტროტილის აფეთქების ტოლფასი იყო“...

მარიამ ნადირაძე

ტალაშვილი ლექსო – ორი მცირეწლოვანი შვილის მამა, მისი მეგობარი აკო (სამწუხაროდ, გვარი ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. – მ.ნ.), ბიტბულოვი რიტა, ბურდული ლუბა, ბურდული ლევანი – ეს ის ადამიანები არიან, რომელთა სიცოცხლე რამდენიმე დღის წინ გლდანის მეექვსე მიკრორაიონში მომხდარ აფეთქებას შეეწირა...

ლექსო წინა ღამით მეგობართან ერთად სათევზაოდ ყოფილა და სახლში დასასვენებლად მივიდა. მათ აღარ გაუღვიძიათ...

ლევან ბურდული და მისი დედა, ასევე, მძინარენი გარდაიცვალნენ...

ქალბატონი რიტა სახლში თავის ქალიშვილთან ერთად იყო აფეთქების დროს. მისი გოგონა ამჟამად საავადმყოფოშია სერიოზული დაზიანებებით...

ყველაფერი კი ყველასთვის მოულოდნელად, ელვის სისწრაფით განვითარდა. 14 ივლისს, დღის ოთხ საათზე აფეთქების ძალამ მეორე კორპუსი მთლიანად შეაზანზარა. სართულებიდან შუშები და ბლოკები ცვიოდა... მეოთხე სადარბაზოს სამ სართულზე (მეოთხე, მეხუთე და მეექვსე) აღარც ჭერია და აღარც იატაკი. ვერც ერთი ფოტო და ვიდეომასალა ვერ შეუქმნის მკითხველს იმ წარმოდგენას, რაც ადგილზე შეიძლება ნახოთ... პატრულის ლენტით გარშემორტყმულ სახლს ადგილობრივები დღეს შორიდან უყურებენ და არ იციან, რა ელით მომავალში... სახელისუფლებო სტრუქტურების მუშაობასა და დაპირებებს ყველა თავის ტვინის ღრიჭოებიდან ხედავს და, რაღა თქმა უნდა, გადარჩენილთა შორის მათი მადლიერებიც არიან და მათზე განაწყენებულებიც... ეს ის არის, რაც ყველა ასეთ ტრაგედიას ახლავს, რაც ასე მოხშირდა ბოლო დროს დედაქალაქში...

ერთი სიტყვით, „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა, მკითხველს უამბოს იმ ადამიანური ემოციების შესახებ, რაც დღეს უკვე ნახევრად დანგრეული კორპუსის მოსახლეობამ განიცადა, გამოკვეთოს პრობლემა და რაც მთავარია, დასვას კითხვები, რომელზე პასუხის გაცემასაც წლების განმავლობაში არიდებდნენ თავს მათთან პროფილურად დაკავშირებული ჩინოვნიკები...

შემთხვევის ადგილიდან გაყვანილ მოსახლეობას გლდანშივე მდებარე სასტუმრო „დკდ“-ში მივაკვლიეთ. როგორც გავარკვიეთ, სავარაუდოდ, აფეთქება მეოთხე სადარბაზოს მეხუთე სართულზე მდებარე ფაცაციების სახლში დაგროვილ აირს უნდა გამოეწვია. იქ მაშინ მხოლოდ 26 წლის ლიკა ფაცაცია იმყოფებოდა, რომელიც დღეს 78-პროცენტიანი დამწვრობით წევს საავადმყოფოში... ლიკას ქვედა სართულზე ცხოვრობდა ბურდულების ოჯახი – ლევან ბურდული ცოლით და ორი მცირეწლოვანი შვილით და მისი დედა, ქალბატონი ლუბა.

ლალი სისაური, ბურდულების კარის მეზობელი: „სახლში მარტო ვიყავი. ჩაიდანი დავდგი გაზზე. მე კი მისაღებში ვიჯექი კომპიუტერთან. ცოტა ხანში გავედი კვლავ სამზარეულოში და... აფეთქებამ ადგილზე დამტოვა... ისეთი საშინელი ხმა და რყევა იყო, რომ ვერაფერი მოვიმოქმედე. შოკში ჩავვარდი. ცეცხლი თავზე გადამდიოდა. გარშემო ყველაფერი ილეწებოდა... ამ უზარმაზარი ხმის შემდეგ ცოტახანს საშინელი სიჩუმე ჩამოწვა და მერე კივილი გავიგონე მეზობელი სახლიდან. ნანა ყვიროდა, ჩემი ქმარი და დედამთილიო... იქით გავიქეცი. რომ შევედი, ეს ადამიანები სინკარების ქვეშ იყვნენ მოყოლილნი. ქალბატონ ლუბას მისაღებში ეძინა თურმე, ლევანს – საძინებელში. ბავშვები მოვიკითხე. ისინი ცოცხლები იყვნენ. იმ დროს ნანას უმცროსი შვილი საპირფარეშოში ჰყავდა თურმე, უფროსი კი 10 წუთით ადრე გამოსულა მამის საძინებლიდან. ცოცხლად გადარჩენილი დედა-შვილი სახლის იმ მონაკვეთში იყვნენ ბედად აფეთქების დროს, რაც ამ სახლიდან საერთოდ გადარჩა... მათ ბინაში ზედა ორი სართული იყო ჩამოსული. როგორც ჩანს, მეხუთე სართულზე აფეთქებამ აანგრია მისი ჭერი და მეექვსე სართულის იატაკი და ორივე სართული მეოთხეზე ჩამოვიდა... მალევე მოვიდნენ მაშველები... ყველანი გაგვიყვანეს“.

ნონა ნოზაძე, მესამე სადარბაზოდან: იმ დროს მე არ ვიყავი სახლში. ჩემი მეუღლე იყო მარტო. ეძინა. აფეთქების ტალღას ის საწოლიდან გადმოუგდია და იატაკზე გაუსრიალებია. ჩვენი სახლის ფანჯრები არ ჩალეწილა, ვინაიდან, ღია გვქონდა. სანამ ჩემი მეუღლე აზრზე მოვიდა, სახლი დატოვა და კარი ჩაკეტა, მაშველები უკვე იქ ყოფილან. თვითონაც გაკვირვებული იყო...“

ირმა დოლიძე, მესამე სადარბაზოდან: „სახლში იმ დროს, არავინ იყო. ბავშვები, ღვთის წყალობით, ქალაქიდან გაყვანილი მყავს. მამა ეზოში იყო. ჩემი სიძეც რამდენიმე წუთის გამოსული იყო სახლიდან. მამას დღესაც უკვირს, როგორ გადავრჩით ეზოში მყოფები, იმდენი რამ გადმოცვივდა კორპუსიდანო. ასეთ დროს ეზო სავსეა ხოლმე ბავშვებით. ღვთის წყალობით იმ დროს ეზოში არც ერთი ბავშვი არ ყოფილა. მე ამ შემთხვევის შესახებ მეგობარმა შემატყობინა ტელეფონით. როცა სახლთან მივედი, ვნახე, რომ კორპუსის ცალი მხარე თითქმის ჩამოშლილი იყო. უკანა მხარეს კი სინკარი იყო ჩამოვარდნილი. კორპუსის წინა მხარეს სამი სინკარია გამოგდებული. ამოშენებული აივნები ჩამოშლილია. ამ დროისთვის 5 დაღუპული მყავს. ანგელოზივით გოგო, ლიკა ფაცაცია ახლა სიკვდილს ებრძვის...

– მთელი კორპუსი გამოგასახლეს?

– თავიდან ყველა გამოგვიყვანეს. გვიან ღამით პირველ და მეორე სადარბაზოში მცხოვრებნი დააბრუნეს საკუთარ სახლებში. ჩვენ პირველ ღამეს სასტუმრო „დკდ“-ს დირექტორმა შეგვიფარა. მან აიღო საკუთარ თავზე ხარჯები. დანარჩენს, ალბათ, მერია დაფარავს. კიდევ ერთი კვირა დავრჩებით აქ, სავარაუდოდ, და მერე, გვეუბნებიან 300-400 ლარად ქირით უნდა ვიპოვოთ ბინა. ბინის მეპატრონეებთან ხელშეკრულებას მერია გააფორმებს.

ნონა ნოზაძე: „არ არის გამორიცხული, რომ ქირის ღირებულება ინდივიდუალურად განიხილონ. მე სახლში დიდი შვილები მყავს და სამოთახიან ბინაში ვცხოვრობდი. ეს რომ ვუთხარი გამგეობაში, მითხრეს, პრობლემა არ არის, ოროთახიანი ნახეთ და ჩვენ ავანაზღაურებთო... ასე რომ, პრობლემებს არ გვიქმნიან. მაგრამ თუ ვინმე ცხრა სულით ცხოვრობდა ერთ ოთახში, მათ, ალბათ, დიდ ფართს არავინ უქირავებს... სხვათა შორის, ბინების მეპატრონეებისგან საკმაოდ უცნაურ გადაწყვეტილებებს ვაწყდებით. თუ გვეტყვიან, რომ ქირა 200 დოლარია, როგორც კი ხელშეკრულებაზე დავიწყებთ საუბარს, მაშინვე ხვდებიან, რომ აფეთქების დროს დაზარალებულები ვართ და მაშინვე ეს ორასი დოლარი 250 ხდება...

– ამჯერად ნორმალურ პირობებში გიწევთ ცხოვრება?

ირმა დოლიძე: „პირობებს არა უშავს. გვაქვს სამჯერადი კვება... პირველ ღამეს პირველადი მოხმარების საშუალებები მოვითხოვეთ. მოგვიტანეს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ვადაგასული აღმოჩნდა...“

ნონა ნოზაძე: „ჩემი არ ყოფილა ვადაგასული...“

ირმა დოლიძე: „თქვენსას საერთოდ არ ეწერა ვადა“.

● „თავზე ცეცხლი გადამდიოდა... შოკში ჩავვარდი!“

– ვისგან მიიღეთ ეს დახმარება?

ირმა დოლიძე: „კერძო სპონსორია, თურმე, ქალბატონი ფლორა“...

– ამბობენ, რომ იმ სადარბაზოში გაზის სუნი იდგა და დახმარებისთვის მიმართეთ კიდეც „ყაზტრანსგაზს“...

ნონა ნოზაძე: „ეს მხოლოდ მაარული ხმებია, თუმცა, როცა შევიკრიბეთ და ეს კითხვა დავსვით, არავინ აღმოჩნდა, ვინც იტყოდა, სუნმა შემაწუხა და დახმარებისთვის სადმე დავრეკეო...“

ირმა დოლიძე: „მე კი სხვა რამე ვიცი – ნანას, რომელსაც ქმარი და დედამთილი დაეღუპა, აფეთქებამდე კიბეებზე შეხვედრია ლიკა ფაცაცია (ვის სახლშიც აფეთქება მოხდა. – მ.ნ.) და უთქვამს, სამი დღეა, ვრეკავ „ყაზტრანსგაზში“ და ყურადღებას არავინ მაქცევს, ახლა კი მისული ვიყავი, განცხადება დავწერე და იქიდან მოვდივარო...“

ერთი სიტყვით, ამ კორპუსის მაცხოვრებელთა ემოციურ მდგომარეობაზე ჩვენს მკითხველს წარმოდგენა, ალბათ, უკვე შეექმნებოდა. ახლა კი „პრაიმტაიმთან“ ერთად გადავინაცვლოთ შემთხვევის ადგილზე, სადაც ახლაც პატრულის ლენტია შემოსაზღვრული და ადგილზე მუშები აღდგენით სამუშაოებს ანარმოებენ. შორიახლოს კორპუსის მაცხოვრებლები დგანან და ათას საკითხზე ბჭობენ – ბინის ქირაზე, გარდაცვლილებზე, იმ შიშზე, რაც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შემზარავი ისტორიები

„ჩემი მეუღლე აფეთქებამ ლოგინიდან გადმოაგდო და ოთახის ბოლოს გაასრიალა“...

„ზედა ორი სართული მთლიანად იყო ჩამოსული სახლში. ადამიანები სინკარების ქვეშ იყვნენ ჩაჭყლეტილები“

„კორპუსიდან იმდენი რამ ცვიოდა, ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩით“...

სახლებში შესაძლო დაბრუნების შემდეგ კვლავაც ექნებათ და სხვათა შორის, დამოუკიდებელი ექსპერტის აყვანაზეც. ჩვენ კი, ბედად, შემთხვევის ადგილზე სწორედ დამოუკიდებელ ტექნიკურ ექსპერტთან, გიორგი ნიკოლაიშვილთან ერთად მივედით, შესაბამისად, მათ შორის შეთანხმებაც შედგა იმაზე, რომ ექსპერტი მათ უფასოდ მოემსახურება...

კორპუსის გარეგანი დათვალიერების შემდეგ, „პრაიმტაიმმა“ ინტერვიუ, რაღა თქმა უნდა, ჩაწერა გიორგი ნიკოლაიშვილთანაც:

– სიტუაციის პირველადი შესწავლის შემდეგ სამი ვერსიის გამოკვეთა შეგვიძლია: პირველი – მილზე მოხდა მექანიკური ზემოქმედება; მეორე – სადაც ამ პლასტმასის მილების შეერთება ხდება, გამოყენებულია ჩობალები, რომლების გაზთან ურთიერთობაც საერთაშორისო სტანდარტებით არის აკრძალული, ვინაიდან ეს ჩობალები გაზის ზემოქმედებით იშლება, რაც, ბუნებრივია, გაზის გაჟონვას გამოიწვევს. ყველა ოჯახში, სადაც მრიცხველების სადარბაზოებში გატანა პლასტმასის მილებით მოხდა, აყენია ოთხი ასეთი ჩობალი. არ არის გამორიცხული, რომ გაზმა იქიდან გამოჟონა და ბოლოს, მესამე ვერსია – მოსახლის დაუდევრობა, რაც ნაკლებად სავარაუდოა... რასაც ახლა ვუყურებ, აქ მომხდარი აფეთქება თავისი ძალით 15 კილო ტროტილის აფეთქების ტოლფასი იქნებოდა...

– მერე ამდენი გაზი შეიძლებოდა ღიად დარჩენილი გაზქურიდან დაგროვილიყო? ან განა რამდენი ხანი უნდა დაგროვილიყო ეს გაზი. ბოლოს და ბოლოს, მოსახლე ხომ ოდესღაც შეამჩნევდა მას? მით უმეტეს, როგორც ამბობენ, სახლში იყო...

– ეს ყველაფერი დაახლოებით 2 საათის განმავლობაში მოხდებოდა...

– და ფიქრობთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, თუნდაც CO-თი არავინ მოიწამლებოდა?

– გაზი მსუბუქი ნივთიერებაა და შესაძლოა, დროთა განმავლობაში ნებისმიერ მიმალულ წერტილში დაგროვებულიყო – თუნდაც ღრიჭოებში. არც ის არის გამორიცხული, რომ გაჟონვის ეპიცენტრი სხვა ბინაში იყო და ფაცაციების ოჯახში მოხდა პროვოცირება, თუნდაც შუქის ანთებით, ან სიგარეტზე მოკიდებით, ან კიდევ, ვთქვათ, გაზის ანთებით და ა.შ.

– მაშინ რა მდგომარეობაში უნდა იყოს ის ბინა, სადაც გაზის გაჟონვა მოხდებოდა?..

– ის ბინა უფრო მეტად გადარჩებოდა, ვიდრე ის, სადაც აფეთქება მოხდა.

– მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აცხადებს, რომ სუნი არ უგრძნია...

– ოდორანტი, რომელიც სუნს იძლევა, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და როგორც ჩანს, „ყაზტრანსგაზს“ ის ქსელში გაშვებული არ ჰქონდა...

– ეს არ არის გლდანში მომხდარი პირველი აფეთქება. რასთან გვაქვს საქმე?

– „ყაზტრანსგაზი“ რატომღაც ყოველთვის ძვრება სიტუაციიდან და ყველაფერს მოსახლეობას აბრალებს...

– თქვენ დიდი ხანია აცხადებთ, რომ ქალაქი ბომბზე ზის და საჭიროა იმ კორპუსების მიხედვა, სადაც გაზგაყვანილობა პლასტმასის მილებით არის დაქსელილი. ვიცით, რომ არაერთხელ მიმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს, გადაცემა „20/30“-ს... რეაგირება არსაიდან ყოფილა?

– ახლა დამირეკეს სახალხო დამცველის ოფისიდან, მას შემდეგ, რაც ეს აფეთქება მოხდა. მთავარი იცით, რა არის? რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, თუ სასწრაფოდ არ მოხდება რეაგირება, ასეთი აფეთქება არც პირველია და არც საბოლოო იქნება... რისკის ქვეშ არის მთელი თბილისი.

ამასობაში კი შემთხვევის ადგილზე, დაბარებულივით, თბილისის მერი და გლდანის გამგებელი გამოჩნდნენ. მათ იქ მისვლა აფეთქების დროს გარდაცვლილის გასვენების შემდეგ გადაუწყვეტიათ. „პრაიმტაიმი“ შეესწრო გიორგი ნიკოლაიშვილისა და დავით ნარმანიას საუბარსაც. ნიკოლაიშვილი ამტკიცებდა, რომ ეს ტრაგედია „ყაზტრანსგაზის“ ბრალია. დავით ნარმანიას ეს არ უარყვია და ექსპერტს სასწრაფოდ დასკვნის გაკეთება სთხოვა...

მერი ადგილზე მუშებსაც ესაუბრა.

ბრიგადირი: „გამოწეული კედლები თუ არ დავიჭირეთ, პირველ რიგში, მანამდე ვერავითარ სამუშაოებს ვერ ჩავატარებთ. მერე მოხდება გასუფთავება, დემონტაჟი და ამ ყველაფრის შემდეგ აღდგენითი სამუშაოები. ყველაფერი შეიცვლება. თქვენი ბრძანების თანახმად, მოსახლეობას არავითარ პრეტენზიას არ დავუტოვებთ...

დავით ნარმანია: „მაქსიმალურად დაეხმარეთ... უკანა მხარეს რა მდგომარეობაა?“

ბრიგადირი: „დროებითი დგარები შემოწმებულია, საშიშროებას არ წარმოადგენს... მთავარია, გადავრჩით, რომ კიბის უჯრედი, თავისი საყრდენი კედლებით მყარია. ჩვენ არ გავჩერდებით, არც შაბათი გვექნება და არც კვირა...“

ბესიკ ქარცივაძე, გლდანის გამგებელი: „მერე ლენტას ერთად გავჭრით...“

„პრაიმტაიმი“: „...და ეს როდის მოხდება?“

ბრიგადირი: „ისეთი კითხვა დაგვისვით, რომ ამას ჯერ ვერავინ იტყვის“...

დავით ნარმანია: „მთავარია, უსაფრთხოების ლენტები შემოვავლოთ და ხალხის უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ“.

– რა ხერხებით აპირებთ ამაზე ზრუნვას?

– მოსახლეობა გავიყვანეთ სასტუმროებში. ახლა ხდება მათი ბინის ქირით უზრუნველყოფა. ისინი უზრუნველყოფილნი არიან კვებითაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამგეობა წარმოადგენს მათი დამატებითი მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვან წინადადებებს. დაზიანებულ ტერიტორიაზე სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია. მერე დაიწყება შენობის გამაგრება. კონსტრუქციულად ეს შენობა მდგრადია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ის შემდგომ აღდგენას ექვემდებარება და აუცილებლად აღვადგენთ. საკრებულოდან მიღებული გვაქვს თანხმობა გადაუდებელი წესით აღდგენასთან დაკავშირებით. ფინანსური სახსრებიც მოძიებულია და სამუშაოს შემსრულებელი კომპანიაც. ამ პროცესს არანაირი შეფერხება არ ექნება.

ბესიკ ქარცივაძე:

– დღის წესრიგში თუ დგას „ყაზტრანსგაზის“ პასუხისმგებლობის საკითხი?..

– სისხლის სამართლის საქმე აღძრულია. ამ ეტაპზე დაკვალიფიცირებულია 240-ე მუხლით. უკვე დაიწყეს ბინებში შესვლა, აღწერა. გამოიკვეთება პირთა ჯგუფი, რომელსაც გამოძიება დაზარალებულის სტატუსს მიანიჭებს. იმუშავებს ყველა ვერსიაზე, მათ შორის იმ სატელეფონო ზარებზეც, რომლის შესახებაც მოსახლეობა ღიად აცხადებს.

– ამბობენ, რომ წელს გლდანში ეს უკვე მესამე აფეთქებაა...

– ერთი შემთხვევა რამდენიმე წლის წინათ იყო. ერთიც – წელს, აღდგომის ღამეს. ეს იყო პირველ მიკრორაიონში. მაშინ სამი სართული ჩაიშალა და ორი ადამიანი გარდაიცვალა. ამ ბოლო შემთხვევაში უფრო სამწუხარო დეტალი გვაქვს. ხუთი ადამიანია გარდაცვლილი. თუმცა, ეს აფეთქება ღამის საათებში რომ მომხდარიყო, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. მოსახლეობა გაყვანილია ორ სასტუმროში, სამჯერადი კვებისა და პირველადი მოხმარების საგნების უზრუნველყოფით...

– ამბობენ, რომ ეს პირველადი მოხმარების საგნები ვადაგასული იყო...

– მე არ ვიცი, რა იყო ვადაგასული. ის დახმარება გასწია სპონსორმა და თუ ვადაგასული იყო, პრეტენზიებიც მის მიმართ დააყენონ.

– სოციალურ ქსელებში დაისვა კითხვები, რატომ იხდის ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტიდან თანხას, როდესაც ეს ზარალი მოსახლეობას კერძო კომპანიამ უნდა აუნაზღაუროს...

– თუ გამოძიებით ამ კომპანიის ბრალეულობა დადგინდება, ეს საკითხიც დადგება დღის წესრიგში...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სკანდალი

სააკაშვილის ახალგაზრდა მოადგილეს 13 წლის გოგოს სიკვდილში ადანაშაულებენ

საბედისწერო ავარია და დახურული საქმის დეტალები

როგორც მართებულად შენიშნავენ, სააკაშვილმა კარგად იცის, როგორ მოექცეს მედიის ყურადღების ქვეშ და როგორ მიიპყროს ყურადღება. მისი ახალი საკადრო დანიშვნა არანაკლებ სკანდალურია. მარიამ გაიდარს 2011 წლის საშინელი ინციდენტი ამოუქექეს. თუმცა ამ ფაქტზე მედია ყოველთვის წერდა.

ინციდენტი კიროვში მოხდა, მილიციელისკაისა და მარქსის ქუჩების გადაკვეთაზე 13 წლის გოგონა ავარიაში დაიღუპა. მედიაში წერენ, რომ გოგონას ვერცხლისფერმა ჯიპმა მაშინ დაარტყა, როცა ეს უკანასკნელი გზაზე გადადიოდა. დარტყმა იმდენად დიდი იყო, რომ ბავშვი შორს მოისროლა და მოპირდაპირედ მოძრავი ტროლეიბუსის ბორბლებთან დააგდო. ისე, რომ ტროლეიბუსს მისთვის არ გადაუვლია, თუმცა, საბოლოოდ, სასამართლომ დამნაშავედ სწორედ ტროლეიბუსის მძღოლი ცნო და 2 შვილის დედა ციხეში დღემდე იხდის სასჯელს იმაზე, რაც არ ჩაუდენია. მარია გაიდარი კი ამერიკაში წავიდა. მედიაში წერენ, რომ ის პასუხისმგებლობას გაექცა.

კიროვში სწორედ მას აბრალებენ 13 წლის ბავშვის დაღუპვას. ამ დროს მარია გაიდარი კიროვში გუბერნატორის მოადგილე იყო. წერენ, რომ არიან თვითმხილველები, რომლებმაც დაინახეს, როგორ დაარტყა სკოლის მოსწავლეს ჯიპმა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოჩნდა დამოუკიდებელი ექსპერტიზის ახალი დასკვნაც, სადაც დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ტროლეიბუსს 13 წლის მოზარდისთვის არ გადაუვლია. ეს დასკვნა ბავშვის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დაიდო და მედია ისევ ახმაურდა.

თავის მხრივ, კიროვის გუბერნიაში ამტკიცებდნენ, რომ მარია გაიდარი ამ ინციდენტის დროს საერთოდაც არ იმყოფებოდა კიროვში და არც ვერცხლისფერი ჯიპი ჰყავდა. მათი განმარტებით, გუბერნატორის მოადგილე ქალაქში „ოპელ ასტრათი“ გადაადგილდებოდა.

ახლა გუბერნატორის მოადგილის პოსტი გაიდარს სააკაშვილმა შესთავაზა. რუსეთში ეს ოჯახი არ უყვართ და ამ ინციდენტის გარდა, მედიაცოდვებს ლიბერალად მონათლულ მამამისსაც უსსენებენ. ეგორ გაიდარი ელცინის ხელისუფლებაში იყო და ის პრივატიზაციის პროცესს წარმართავდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევექსი“ - საქართველოში ყველაზე დიდი ლაბორატორიული ქსელი და ხარისხის მაღალი სტანდარტი

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

„ევექსის“ ლაბორატორიული ქსელი, როგელიც ხარისხთან და ნდობასთან ასოცირდება

გიორგი ურუშაძე

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ლაბორატიული სისტემის განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. რეფერალური ანუ ცენტრალიზებული სისტემა საშუალებას იძლევა, საქართველოს ყველა რეგიონისთვის 200-ზე მეტი ლაბორატორიული კვლევა ხელმისაწვდომი გახადოს.

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ლაბორატორიული და სანარმოო ტრანსფუზიოლოგიური დეპარტამენტის დირექტორი - ნინო აბესაძე იმ დეტალებსა და მიღწევებზე გვესაუბრება, რომელიც ხშირად ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება. არადა, ხარისხი ხომ უმთავრესია სამედიცინო მომსახურების მიღებისას. „ევექსი“ ამ მიმართულებითაც ლიდერ კომპანიად გვევლინება.

ნინო აბესაძე:

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ არის ერთ-ერთი მსხვილი ჰოსპიტალური ქსელის მქონე ორგანიზაცია, გარდა ჰოსპიტალებისა, კომპანია ფლობს პირველადი ჯანდაცვის ობიექტებს - ამბულატორიებს. ლაბორატორიული სერვისი კი ხელმისაწვდომია ყველა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში.

ყოველი რეგიონის დიდ რეფერალურ კლინიკაში ფუნქციონირებს, ე.ნ. რეფერალური ლაბორატორია. აჭარაში არის ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალის, კახეთში - თელავის, იმერეთში - ქუთაისის, სამცხეში - ახალციხის, სამეგრელოში ზუგდიდის და თბილისში - დიდი ამბულატორიული ცენტრის ცენტრალური ლაბორატორია. ლაბორატორიული სერვისით უზრუნველყოფილია ჩვენი ქსელის მცირესანოლიანი კლინიკებიც. გარდა იმისა, რომ ეს ლაბორატორიები უნევენ მომსახურეობას სტაციონარში მყოფ პაციენტებს, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელოვანი ნილი მოდის ამბულატორიულ მომსახურეობაზე.

ლაბორატორიული სერვისის ცენტრალიზაცია გულისხმობს საანალიზო მასალების ტრანსპორტირებას პატარა კლინიკებიდან დიდ რეფერალურ კლინიკების ლაბორატორიებში, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ ნებისმიერ ჩვენს კლინიკაში მისული პაციენტი იგივე მომსახურებას იღებს, რასაც მიიღებდა ის რეფერალური კლინიკის ლაბორატორიაში მისვლისას. აქედან გამომდინარე კი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა სრულიად დაცულია.

თბილისში ამბულატორიული ქსელის გაფართოების პირობებში ანალოგიურად არის მოწყობილი სისტემა, საანალიზო მასალების მიღება ვაჟა-ფშაველაზე არსებულ ამბულატორიულ ცენტრის ლაბორატორიაში ხდება ყოველდღიურად, დღეში 2-ჯერ შესაბამისი სტანდარტების დაცვით კურიერული სამსახურის მეშვეობით“.

„ევექსის“ ლაბორატორიები საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობს და ამოწმებს საკუთარი მუშაობის ხარისხს. ნებისმიერი ლაბორატორიული საქმიანობის შემოწმების „ოქროს სტანდარტს“ წარმოადგენს ხარისხის კონტროლის გარე და შიდა სქემებში მონაწილეობა. სტადარტიზაცია გულისხმობს ხარისხს, ხარისხი კი ჯანმრთელ და კმაყოფილ კლიენტებს.

ნინო აბესაძე:

„ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ლაბორატორიული სერვისის მიწოდებისას არის ხარისხის კუთხით ლაბორატორიების მუშაობის შეფასება. ყოველდღიურ რეჟიმში, შესაბამისი პროტოკოლებისა და პროცედურების მიხედვით ტარდება თითოეული სახეობის ტესტებზე შიდა ხარისხის კონტროლი, ხოლო წელიწადში ორჯერ ლაბორატორიები იღებენ საკონტროლო მასალას ხარისხის გარე კონტროლის ფარგლებში პარტნიორი რეფერენს- ლაბორატორიიდან. უკვე 4 წელიწადია ჩვენ ვთანამშრომლობთ გერმანიის ბიორეფერენს ინსტიტუტთან, სწორედ მათი საშუალებით ვართ ჩართულები საერთაშორისო მასშტაბით ხარისხის გარე კონტროლის სქემაში და სწორედ მათ მიერ ხდება ჩვენთან გაკეთებული ანალიზების ხარისხის შეფასება. გერმანიიდან მიღებულ საკონტროლო ნიმუშებზე ხდება ჩვენი ლაბორატორიების მიერ სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, შედეგები იგზავნება უკან გერმანიაში და იქედან ჩამოგვდის ან შესაბამისობის სერტიფიკატი, ან მხოლოდ მონაწილეობის. აქამდე ჩატარებული შეფასებების მიხედვით საანალიზო ხარისხი ჩვენი ქსელის ლაბორატორიებში საკმაოდ მაღალია და 95%-97%ს აღწევს. წელს პირველ ეტაპზე მოხდა 426 პარამეტრის შეფასება ბიორეფერენს ინსტიტუტის მიერ.

გარდა ანალიზური ფაზის შემოწმებისა, ჩვენი კომპანიის მიერ შარშან დაიწყო პრეანალიზური ფაზის ანალოგიურად შეფასება. ფინური კომპანია - Labquality-ის მეშვეობით ჩვენი ლაბორატორიები იღებენ სხვადასხვა კეისებს, რომელთა განმარტება, მათში შეცდომების აღმოჩენა და სწორი გამოსავლის პოვნა არის ლაბორატორიების ამოცანა. მინდა აღვნიშნო, რომ პრეანალიზური ფაზის შემოწმება ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან შეცდომების 70-75% ზუსტად პრეანალიზურ ფაზაზე მოდის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს არც ერთი ლაბორატორია მსგავს სქემაში არაა ჩართული. ეს კი დიდ უპირატესობას გვანიჭებს ჩვენ. ამას გარდა ეს არის დასტური იმისა, რომ ჩვენი კომპანიის გეზი ხარისხისკენ და მუდმივი განვითარებისკენაა მიმართული“.

ლაბორატორია 200-ზე მეტი დასახელების კვლევას ასრულებს. კვლევების მაღალ ხარისხს კი ISO-ის შესაბამისობის სერტიფიკატიც უმყარებს ზურგს.

ნინო აბესაძე:

„ISO - ეს არის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მის მიერ მუშავდება სხვადასხვა სტანდარტები და ამ სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში სასერტიფიკაციო ორგანო გასცემს დამადასტურებელ სერტიფიკატს. ISO 9001-2008 სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად ჩვენს ლაბორატორიებში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ეფუძნება საქმიანობისადმი პროცესუალურ მიდგომას. ეს სისტემა უზრუნველყოფს ყველა სამუშაო პროცესის შესაბამისობას და რეგულირებას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ წესებთან მიმართებაში.

ჩვენთვის ამ სტანდარტის ფლობა გულისხმობს იმას, რომ ორიენტირებული ვართ ხარისხიან და უსაფრთხო სამედიცინო სერვისის მიწოდებაზე. 2014 წელს მოხდა გერმანული სასერტიფიკაციო კომპანია TUV-SUD-ის მიერ ჩვენთვის ამ სერტიფიკატის მონიჭება 3 წლის ვადით და ყოველწლიურად, მათი მხრიდან, გვიტარდება საკონტროლო აუდიტი“.

მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტი და მათგან უკუკავშირის პრინციპით შეფასების მიღება კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია. დადებითი შეფასება სტიმულის მომცემია და დამატებითი ბიძგია განვითარებისთვის. სწორედ ამიტომაც და იმ მიზეზითაც, რომ კომპანიისთვის ხარისხი ნომერ პირველი ფაქტორია, ლაბორატორიებში ინერგება საინფორმაციო სისტემა, ასევე დაგეგმილია, რომ წლის ბოლომდე მოხდეს ლაბორატორიული ქსელის აპარატურით სრულად განახლება.

ნინო აბესაძე:

„მთავარი პრიორიტეტი ეს არის ნდობის მომენტი და მომსახურების ხარისხი. ჩვენ ყოველწლურად რამდენიმე ეტაპად ვატარებთ მომხმარებლის კმაყოფილების სამი ტიპის შეფასებას: ერთი არის ანკეტური სისტემა, მეორე სატელეფონო ზარებით გამოკითხვა და მესამე მისტიკური მომხმარებლის გამოკითხვა. მუდმივი მონიტორინგი საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნეს ჩვენი მომხმარებლის ინტერესები და მოთხოვნები.

ამ მომენტში ვმუშაობთ ლაბორატორის საინფორმაციო სისტემის დანერგვაზე, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაცია, როგორც პაციენტებთან, ისე ექიმებთან უფრო ეფექტური და კომფორტული გახდება. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ წლის ბოლომდე ყველა დიდი რეფერალური კლინიკის ლაბორატორია, მათ შორის თბილისის ამბულატორიის ლაბორატორია, აღიჭურვება მაღალი ხარისხის აპარატურით, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ გავაფართოოთ ლაბორატორიული კვლევების ჩამონათვალი და უფრო მეტი დასახელების ანალიზები გავაკეთოთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პასუხი ოკუპაციასა და პროვოკაციაზე

„რუდუნებით მოპოვებული სტაბილური ქვეყნის სახელი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. დღევანდელი ხელისუფლება ყველა შესაძლო საერთაშორისო ტრიბუნას გამოიყენებს, რათა საფრთხეები თავიდან იქნას აცილებული...“

ქეთი ხატიაშვილი

ძალიან ახლოს პროვოკაციასთან და ჯერ კიდევ შორს კონფლიქტების დარეგულირებამდე. როგორი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების პასუხი, პოზიცია და პოლიტიკა? რა პროცესები მიმდინარეობს ოკუპაციის ზონაში და არსებობს თუ არა პერსპექტივები? რა არის გამოსავალი, რა პოზიციებს აფიქსირებს ქართული მხარე და როდის მწვავდება ვითარება ე.წ. სასაზღვრო ზოლში? ამ საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე:

– დღევანდელი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს აფხაზ და ოს მეგობრებთან საერთო შეხების წერტილის გამონახვას. ყველგან, ჟენევის ფორმატი იქნება ეს თუ სხვა საერთაშორისო დონის შეხვედრები, ვაფიქსირებთ ჩვენს მისწრაფებას, რომ მოსახლეობამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რომელსაც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა მიიღებს ევროკავშირისკენ და ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვით, ჩვენ მათ კონკრეტულ პაკეტებსაც ვთავაზობთ. ახლა აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც სივრცე ჩაკეტილია, მოსახლეობას არ შეუძლია გადაადგილება...

– ისინი რუსეთის პასპორტებით გადაადგილდებიან...

– ამის საშუალება მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს, მოსახლეობა, უბრალო ადამიანები ასეთ საშუალებას მოკლებულნი არიან. ამ პაკეტებს ჩვენ სწორედ მათ ვთავაზობთ.

– ანუ თბილისის ეს მესიჯი მოსახლეობამდე მივიდა?

– მესიჯები დაგზავნილია. ხელისუფლებასთან ერთად, აქ დიდი როლი უნდა ითამაშოს არასამთავრობო სექტორმა.

რა გეგმა აქვს ხელისუფლებას? რა თქმა უნდა, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს და აუცილებელია სტრატეგიის ჩამოყალიბება, რა გეგმით ვიმოქმედებთ... თუმცა, სანამ სტრატეგია საკანონმდებლოდ ოფიციალურად დამტკიცდება, მანამ არსებობს სახელმწიფო ხედვა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, რომელსაც განუხრელად ვატარებთ... საკითხი პრემიერს პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

მონახაზი არსებობს, მაგრამ საკანონმდებლო დონეზე, ჯერჯერობით მისი განხილვა მიმდინარეობს შიდა კომისიის დონეზე...

– თქვენ თქვით, რომ მესიჯები ადრესატამდე მივიდა, როგორია სოხუმისა და ცხინვალის პასუხი?

– ახლა თავს შევიკავებ საპასუხო მესიჯებზე საუბრისგან. თუმცა, მოძრაობა დაწყებულია და,

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტყვეების გაცვლის პროცესი დაიწყო. ეს ეხება ჯაშუშობის ბრალდებით როგორც ჩვენ მიერ დაკავებულ პირებს, ისე რუსეთში დაკავებულებს. ნაწილი უკვე გამოუშვეს და ახლა საკითხი ასე დადგა – გაიცვალოს ყველა ყველაში...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორთან

„ჩვენ მათთან რუკებით არ ვსაუბრობთ. რუკებით საუბარი საერთოდ არ არის მართებული, იმიტომ რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველო აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იმ საზღვრებში, რომელიც კავკასიაზე გადის“

ალბათ, აჯობებს, შედეგებს დაველოდოთ. აქ სიფრთხილეა საჭირო. არ დაგვავიწყდეს, რომ ოსებსა და აფხაზებს თავისი პარტნიორი ჰყავთ რუსეთის სახით, რომელსაც საკუთარი თამაშის წესები აქვს.

– აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში რუსეთის ზეწოლა იგრძნობა?

– შს სამინისტრო უსაფრთხოების საკითხებზეა პასუხისმგებელი. მე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფორმატში ვმონაწილეობს, ამიტომაც შემიძლია ერგნეთის ფორმატის ფარგლებში ვისაუბრო. კომისიის სხდომებს რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ესწრებიან. ესენი არიან როგორც ფედერალური სამსახურის, ასევე საგარეო დაზვერვის წარმომადგენლები. ძირითადი მესიჯები მათგან ყოველთვის მოდის ე.წ. საზღვართან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, მათ რუსეთის ფედერაციასთან ხელშეკრულება გააფორმეს და სწორედ ამ დოკუმენტის ფარგლებში ახორციელებენ ისინი ე.წ. საზღვრის დაცვას.

– ეს საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვარია?

– აქ საუბარია1987 წლის რუკაზე, რომელიც „კაგებეს“ მიერ არის შედგენილი... ჩვენ მათთან რუკებით არ ვსაუბრობთ. რუკებით საუბარი საერთოდ არ არის მართებული, იმიტომ რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველო აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იმ საზღვრებში, რომელიც კავკასიაზე გადის. აქედან გამომდინარე, 1987 წლის, 1997 წლის, 1921 წლის რუკებზე საუბარი ზედმეტია..

– იგრძნობა პროვოკაციის მცდელობა? შეიძლება, ეს პროვოკაციები შევადაროთ 2008 წლის ომისწინა პროვოკაციას.

„ისინი ადგილობრივ მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ შემოდგომის შემდეგ ვეღარ შეძლებენ კუთვნილი მიწების დამუშავებას, რაც დასტურია იმისა, რომ საზღვარი გადმოწეულია“

– სამწუხაროდ, მათი მხრიდან ყოველთვის უნდა ველოდოთ რიგ პროვოკაციებს. ალბათ, ეს მიმართული იქნება ქვეყნის შიგნით ტემპერატურის აწევასთან. ეს უკანასკნელი ფაქტიც ამის დასტურია. 2008 წლის შემდეგ ამ მონაკვეთზე ორჭოსანისა და წითელუბნის მოსახლეობას თავისუფლად შეეძლო გადაადგილება, საძოვრებზე საქონლის გადაყვანა, მოსავლის აღება და რატომღაც 2015 წელს გაახსენდათ ხელმეორედ ე.წ. საზღვრისა და ბანერების დაფიქსირება და ბანერების დაფიქსირება მოხდა იქ, სადაც ნავთობსადენია. ეს შორსმიმავალი გეგმებია: საქართველო დღესდღეობით არის ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა კავკასიის რეგიონში, სადაც საერთაშორისო ინვესტიციები ხორციელდება, საერთაშორისო გადაზიდვებია, საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, აქ საერთაშორისო პროექტები ხორციელდება. აქედან გამომდინარე, როცა ორჭოსანში 450 მეტრით არის დაშორებული ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი ცენტრალური მაგისტრალიდან, ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ რაიმე პროვოკაცია არ მოხდება და რუდუნებით მოპოვებული სტაბილური ქვეყნის სახელი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. დღევანდელი ხელისუფლება ყველა შესაძლო საერთაშორისო ტრიბუნას გამოიყენებს, რათა საფრთხეები თავიდან იქნას აცილებული...

– შეიძლება, ეს უკავშირდებოდეს საფრანგეთში თავდაცვის მინისტრის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას?

– თუ თვალს გადავავლებთ მათ ქმედებებს, კავშირი აშკარაა. როგორც კი საუბარი იწყება ნატოს სამხედრო საწვრთნელ ბაზაზე, მაშინვე იძაბება სიტუაცია როგორც აფხაზეთის, ასევე სამაჩაბლოს მიმართულებით...

აქვე გეტყვით, რომ 2008 წლის შემდეგ, როცა მოხდა ოკუპაცია და რუსეთ-საქართველოს ომი, ამის შემდეგ, როგორც თავშიც აღვნიშნე, ორჭოსანსა და წითელუბანში მოსახლეობა თავისუფლად გადაადგილდებოდა, საქონელიც გადაჰყავდა საძოვრებზე და მოსავლის დამუშავება და აღებაც უპრობლემოდ შეეძლო, ახლა იქ ე.წ. ცხინვალის სასაზღვრო სამსახურის შენაერთები დგანან, რუსეთის ფედერალური სამსახურის ჯარისკაცებთან ერთად. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ შემოდგომის შემდეგ ვეღარ შეძლებენ კუთვნილი მიწების დამუშავებას, რაც დასტურია იმისა, რომ საზღვარი გადმოწეულია.

...უნდა შევთანხმდეთ, რომ არსებობს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრები, აქედან გამომდინარე, მათ უფლება არ ჰქონდათ...

– ამ ფონზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარება როგორ გესახებათ?

– როგორც წინა ხელისუფლებას, ასევე დღევანდელს ევროპელი კოლეგები და ამერიკელებიც მოუწოდებდნენ, დამსხდარიყვნენ რუსეთთან მოლაპარაკებების მაგიდასთან. დღევანდელ ხელისუფლებას იმაში მაინც ვერ დავადანაშაულებთ, რომ ევროპელებისა და ამერიკელების მესიჯი ვერ გაიგო და არ გაითვალისწინა. დაიწყო ეს ურთიერთობები, აბაშიძე-კარასინის ფორმატი მუშაობს და ამ ფორმატმა ნაწილობრივ რაღაც შედეგი გამოიღო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტყვეების გაცვლის პროცესი დაიწყო. ეს ეხება ჯაშუშობის ბრალდებით როგორც ჩვენ მიერ დაკავებულ პირებს, ისე რუსეთში დაკავებულებს. ნაწილი უკვე გამოუშვეს და ახლა საკითხი ასე დადგა – გაიცვალოს ყველა ყველაში...

– ეს რას ნიშნავს, მარტო ჯაშუშობის ბრალდებას ეხება გაცვლის პროცესი?

– ძირითადად ჯაშუშობის ბრალდებას, ტყვეთა გაცვლის ფორმატს ჩვენ ბრმად არ დავთანხმდებით, გაცვლა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საპირწონე პიროვნებებზე იქნება საუბარი.

– თქვენი აზრით, როგორია, საერთოდ, პერსპექტივა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით?

– 2006 წლამდე, იმდროინდელი ხელისუფლება ძალიან მიზნობრივ პოლიტიკას აწარმოებდა სამაჩაბლოს მიმართულებით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული პროექტი განხორციელდა. 2006 წლის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ, რუსების პოლიტიკას ავყევით და მივედით 2008 წლამდე...

– ხომ არ ფიქრობთ, რომ აქ კოსოვოს აღიარების ფაქტორმაც იმუშავა?

– კოსოვო რომ არ მომხდარიყო, რუსეთი ამ ნაბიჯს მაინც გადადგამდა, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. კოსოვომ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა. პროვოკაციას ავყევით მაშინ... 2007 წელს რუსეთის საოკუპაციო ჯარები ისე გავიდა საქართველოდან, ერთი ტყვია არ გაგვისვრია. ამ პროცესში ბევრი უწყება იყო ჩართული, რომ რაიმე პროვოკაცია არ მომხდარიყო... აჭარაშიც იყვნენ და სამცხე-ჯავახეთშიც იდგნენ. 2008 წლის მერე მივიღეთ სამაჩაბლოში მეოთხე ბაზა, აფხაზეთში კი – მეშვიდე, თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურით.

– ოფიციალური თბილისის პოზიცია როგორი იქნება პროვოკაციებზე? მოთმინებით ვუპასუხებთ?

– არაერთხელ განუცხადებიათ პრემიერსა და კიდევ სხვადასხვა პირებს, რომ ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, ვისაუბროთ სხვადასხვა ფორმატში აფხაზ და ოს მეგობრებთან და შევთავაზოთ ყველა ის სიკეთე, რაც იგივე ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მიიღებენ ჩვენი მოქალაქეები. სერიოზული ეკონომიკური შინაარსის პროექტები აქვს სამეგრელოს გუბერნატორს... შორსმიმავალი კარგი გეგმები გვაქვს. სამედიცინო კომპლექსის გახსნაზეა საუბარი, ჰუმანიტარული პროგრამები შეუზღუდავად იფუნქციონირებს... პაციენტების გადმოყვანა, მათი მკურნალობა და უკან დაბრუნება ხშირად გაგვიხორციელებია. არიან ისეთი პაციენტები, რომელთა ვინაობის გამჟღავნება სწორი არ იქნებოდა...

– მაგალითად, ანქვაბი?

– არა, ანქვაბი არა. არ მინდა ახლა ამაზე საუბარი, მათ პრობლემები შეექმნებათ. ასე რომ, აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ჩვენ მათზე ვზრუნავთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უეფას სუპერთასზე, საქართველოდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხოლოდ 33 პირი დაესწრება

EXCLUSIVE

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სუპერთასზე დასასწრებ ბილეთებს სფფ-ს თანამშრომლები უყიდიან

მაგდა კლდიაშვილი

11 აგვისტოს საქართველოს დედაქალაქი უეფას სუპერთასს მასპინძლობს. სუპერთასისთვის ერთმანეთს „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან. ამ მატჩზე მოხვედრას მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდილობს, მაგრამ მხოლოდ იღბლიანებს ხვდათ წილად თამაშზე დასასწრები ბილეთები. „ბარსელონასა“ და „სევილიას“ დაპირისპირებაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც მოხვდებიან, თუმცა მათზე დაწესებული ლიმიტი, ძალიან მცირეა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, უეფას სუპერთასზე სპეციალური ადგილებია გამოყოფილი, თუმცა მათი კვოტა მხოლოდ 50-ს შეადგენს.

როგორც ფეხბურთის ფედერაციაში განმარტავენ, შშმ პირებისთვის, ადგილების ეს რაოდენობა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ დააწესა. იმის გამო, რომ კვოტა ძალიან მცირეა, ადგილები დიდი ხნის წინ შეივსო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტრანსფერებისა და ბილეთების მენეჯერის, ნათია შენგელიას ინფორმაციით, ამ 50 ადგილიდან, ქართველი შშმ პირებისთვის მხოლოდ 33 ადგილია გამოყოფილი, დანარჩენი კი კლუბებისა და უეფასთვისაა. საქართველოში, მხოლოდ 25 ეტლიან და 8 უეტლო ადამიანს ხვდა წილად ბედნიერება, რომ ამ მატჩზე დაესწროს.

ნათია შენგელია, სფფ-ს ტრანსფერებისა და ბილეთების მენეჯერი:

„ჯამში, შშმ პირებისთვის 50 ადგილია გამოყოფილი. 40 ეტლით მოსიარულეთათვის და 10 - უეტლოსთვის. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ადგილი მათი თანმხლები პირებისთვის. სულ, 100 ადგილია შშმ პირებისა და მათი თანმხლები პირებისთვის გამოყოფილი. ამ დროისთვის კვოტა სრულად შევსებულია. მიუხედავად ამისა, არსებობს ექსტრა სიები, იმ შემთხვევაში, თუკი, „ბარსელონა“, „სევილია“ და უეფა, მათთვის განკუთვნილ ადგილებს არ აითვისებენ, ექსტრა სიებიდან მოხდება ამ ადგილების შევსება. თუმცა მოგვწერეს, რომ მათ მოჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“.

შენგელიას განმარტებით, სუპერთასში მონაწილე კლუბებს 5-5 ეტლიანი შშმ პირი ჩამოჰყვება, უეტლოები კი მათ არ ჰყავთ. ამდენივე ადგილი აქვს უეფას, თუმცა მათ დამატებით, ორი უეტლო ადამიანიც ჩამოჰყავთ. როგორც

Disabled
The disabled ticket requirement is as follows:

	Wheelchair	Wheelchair Companion	Non Wheelchair	Non Wheelchair Companion
General Public	25	25	8	8
FC Barcelona	5	5	0	0
Sevilla FC	5	5	0	0
UEFA	5	5	2	2
	40	40	10	10

Biletebi: Please print all disabled area tickets and deliver to GFF. Non-wheelchair disabled should come from Section 16 and have the appropriate entrance for disabled spectators printed on them.

სფფ-ს ბილეთების მენეჯერი ამბობს, ექსტრა სიებში მათ რვა ადამიანი ჰყავთ ჩასმული, თუმცა არსებული სიტუაციის ფონზე, ამ სიების არსებობა აზრს კარგავს, რადგან სიაში მყოფი ყველა ადამიანი აპირებს თამაშზე დასწრებას.

გავრცელებული ინფორმაციით, შშმ პირებისთვის მატჩზე დასასწრები ბილეთი უფასოა, თუმცა სფფ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაირკვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ბილეთებს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები უყიდიან, მათი თანხმლები პირებისთვის კი დასწრება უფასო იქნება, რადგან შშმ პირის სტადიონზე მიყვანა ერთგვარი ვალდებულებაა.

როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ შშმ პირები სუპერთასზე, შენგელია ამბობს, რომ მათ ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსეს შესაბამისი ინფორმაცია და განცხადების გამოქვეყნებიდან მალევე, ადგილები შეივსო, ამიტომ ბრალდებას, რომ ამაზე ფედერაციამ ინფორმაცია კარგად არ გაავრცელა, უსაფუძვლოს უწოდებს.

რომელი სექტორი ეკუთვნით შშმ პირებს და როგორ უნდა მოხვდნენ, რომელი გასასვლელებით, „დინამო არენაზე“, ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც შშმ და მათ თანხლებ პირებს მოქცევის ინსტრუქცია გააცნო.

„11 აგვისტოს, უეფას სუპერთასის მატჩზე, გათვალისწინებულია სპეციალური ადგილები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

შშმ პირები და მათი თანმხლები პირები განთავსდებიან „დინამო არენას“ აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, მე-15-16 სექტორებში. მათთვის სპეციალური შესასვლელი იქნება B ზონიდან (მთავარი შესასვლელის გვერდით, ცაბაძის ქუჩიდან).

მოცემულ სექტორებში, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის გათვალისწინებულია 40 ადგილი; პლუს 40 - მათი თანმხლები პირებისთვის. ხოლო უეტლო შშმ პირებისთვის - 10 ადგილი (პლუს 10 - თანმხლები პირებისთვის).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გათვალისწინებულია 18-ლარიანი ბილეთები. სფფ-ის თანამშრომლების გადაწყვეტილებით, ისინი დააფინანსებენ ამ ბილეთების მომავალ მფლობელებს და საჩუქრად გადასცემენ ყველა შშმ პირს.

ბილეთების გაცემა მოხდება ფეხბურთის ფედერაციაში. გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, სავარაუდოდ, უახლოეს მომდევნო კვირაში დაიწყება ბილეთების გაცემა. მანამდე, თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად ეცნობება ამის შესახებ.

ბილეთების მისაღებად, შშმ პირებმა უნდა წარმოადგინონ თავისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი“, - ნათქვამია სფფ-ს განცხადებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დოკუმენტის განახლებაზე მუშაობა უნდა წარმართულიყო 2013 წლის განმავლობაში, რაც რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გამო ვერ მოხერხდა

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფოში საფრთხეების შეფასების დოკუმენტი არ არსებობს. მისი განმარტებით, ეს ინფორმაცია მას თავდაცვის მინისტრმა დაუდასტურა.

„საფრთხეების შეფასების დოკუმენტი 2013 წლის შემდეგ აღარ არსებობს და ინფორმაცია ამის შესახებ თინა ხიდაშელმა დამიდასტურა. ეს უცნაური ფაქტია და გაკვირვებული ვარ, რომ სახელმწიფოს საფრთხეები განსაზღვრული არ აქვს“.

ექსპერტმა ლევან ალაფიშვილმა გაკვირვება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ქვეყანას არ აქვს „საფრთხეების შესახებ დოკუმენტი“. ამ საკითხის შესახებ „პრაიმტაიმნიუსს“ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში განმარტება გაუკეთეს:

„საქართველოს „საფრთხეების შეფასების დოკუმენტზე“ მუშაობა მიმდინარეობს და ის არის დამასრულებელ სტადიაში. „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წწ. დოკუმენტი“ შემუშავდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის კოორდინაციით და პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა 2010 წლის სექტემბერში. დოკუმენტი არის დიდი მოცულობის და მასზე მუშაობა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. შესაბამისად, დოკუმენტის განახლებაზე მუშაობა უნდა წარმართულიყო 2013 წლის განმავლობაში, რაც რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გამო ვერ მოხერხდა. მას შემდეგ, რაც აღმასრულებელი ფუნქციები პრეზიდენტისგან მთავრობას გადაეცა და 2014 წლის იანვარში შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომლის აპარატმაც, დაკომპლექტების შემდეგ, დაიწყო საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლების პროცესის კოორდინაცია. დოკუმენტის განახლებაში ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება, შეიქმნა სპეციალიზებული 16 სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა 100-მდე ადამიანი. 2014 წლის დარჩენილ პერიოდში და 2015 წლის განმავლობაში შემუშავდა „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი 2015-2018 წწ.“, რომელიც მთავრობისთვის წარსადგენად გადაეგზავნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელ მუდმივმოქმედ უწყებათაშორის კომისიას. აღნიშნულ მომენტში ზემოაღნიშნული კომისიის მიერ მიმდინარეობს დოკუმენტის განხილვა, რომელიც უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას“.

რა დასკვნა დაუწერა ნარმანიას ადეიშ

ახლა თბილისის მერი 25-მილიონიან ჯარიმაზე ალაპარაკდა, რომელიც შესაძლოა, სახელმწიფოს „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში დაეკისროს“

ივანე ხოხლოვი: „მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და ძალიან ბევრი ნაცნობიც“

მირიან ბოქოლიშვილი

ალბათ, გახსოვთ, „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ დედაქალაქის მერიის იმდროინდელ ხელმძღვანელობას არაერთ დანაშაულში ამხელდა. დავით ნარმანიას საარჩევნო დაპირებათაგან ერთ-ერთი „სითი პარკის“ კორუფციული სქემის გამოაშკარავება და მისი ჩანაცვლება იყო. როდესაც უკვე დედაქალაქის მერის პოსტზე მყოფ ნარმანიას ეს დაპირება შეახსენეს, მან ასეთი განმარტება გააკეთა:

„იმისთვის, რომ კომპანია „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება რეალურად შეგვეფასებინა, კონკურსის წესით შევარჩიეთ დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია „ერნსტ ენდ იანგი“, რომელიც აკეთებს სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს, ჩვენთვის მოამზადებს რეკომენდაციებს. ეს ყველაფერი იანვარში იქნება მზად“.

ნარმანიას ამ განმარტებიდან იანვარიც გავიდა, მარტიც, აპრილიც, მაისიც და ივნისიც... აუდიტის დასკვნაც დაიდო, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა... აღმოჩნდა, რომ აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა ნარმანიას უწყებისთვის არცთუ ისე სახარბიელოა. მართალია, დასკვნაში წერია, რომ „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება გარკვეულწილად კომპანიის სასარგებლოდ იხრება, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ არ არსებობს საფუძველი, რაც ამ კომპანიის საქმიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ახლა კი მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, სკანდალური დეტალი. საქმე ის გახლავთ, რომ ნარმანიას უწყებამ „სითი პარკის“ კანონიერების შესწავლა ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებულ პირთა წრეს ანდო. მართალია, კომპანია „EY“ („ერნესტ ენდ იანგი“) აუდიტორულ ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა და საკმაოდ დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს, მაგრამ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა ხელისუფლებასთან, კერძოდ კი ზურაბ ადეიშვილთან. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, „EY“-ს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ივანე ხოხლოვი ადეიშვილის სტუდენტობის მეგობარია. მას ამჟამადაც ახლო კავშირები აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან. შესაბამისად, თავიდანვე ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, რა დასკვნას დაუწერდა ნარმანიას ადეიშვილის მეგობარი, რომლის მომსახურება ბიუჯეტს რამდენიმე ათასი ლარი დაუჯდა (დაუზუსტებელი ინფორმაციით, 60 ათასი ლარამდე).

ფაქტია, რომ ამ დასკვნის შემდეგ ნარმანია „სითი პარკთან“ მიმართებაში ისეთივე რიხიანი აღარ გახლავთ, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში. ახლა თბილისის მერი 25-მილიონიან ჯარიმაზე ალაპარაკდა, რომელიც შესაძლოა, სახელმწიფოს „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში დაეკისროს. კონტრაქტშივე წერია, რომ სახელმწიფოსა და კომპანიას შორის ნებისმიერ დავას საერთაშორისო არბიტრაჟი განიხილავს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ისევ და ისევ კონტრაქტიდან გამომდინარე, ცალსახად კომპანიის სასარგებლო გადანყვეტილებას მიიღებდა.

„დღეს რომ ჩვენ კომპანია „სითი პარკთან“ ხელშეკრულება მოვშალოთ, 25 მილიონის გადახდის საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს მუნიციპალიტეტი, რაც ძალიან მძიმე პოლიტიკური საკითხია“, – აცხადებს დავით ნარმანია.

„სითი პარკთან“ საერთაშორისო დონის დავასა და სოლიდურ ჯარიმას დედაქალაქი ერთხელ უკვე გადაურჩა, როდესაც გიგი უგულავამ თვითმმართველობის არჩევნების წინ კონტრაქტის პირობები ცალმხრივად შეცვალა და ამით ამომრჩეველთა ხმების მოზიდვა სცადა, თუმცა ამას ოდნავ ქვემოთ შეგახსენებთ, მანამდე კი დავუბრუნდეთ კვლავ ზემოხსენებული აუდიტის დასკვნას.

თუკი დედაქალაქის მერმა იცოდა, რომ „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმება შეუძლებელი იყო, რა მიზნით გადაუნადა აუდიტორულ კომპანიას ათი ათასობით ლარი? ელოდა თუ არა მერია ასეთ დასკვნას და ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ივანე ხოხლოვისა და ზურაბ ადეიშვილის ახლო კავშირების შესახებ? ეს არის კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა დედაქალაქის მერს აუცილებლად მოუნევს. თავად ივანე ხოხლოვი ადეიშვილთან მეგობრობას არც უარყოფს და არც ადასტურებს.

ივანე ხოხლოვი:

– კვლევასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარს ვერ გავაკეთებთ. მერიასთან დადებული ხელშეკრულებით, კონფიდენციალურობა დაცულია, თუმცა ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც თავად მერიისგან შეიძლება გამოითხოვოთ.

– ინფორმაცია, რომ წინა ხელისუფლებასთან გაქვთ მჭიდრო კავშირები რამდენად რეალურია?

– ჩვენი კომპანია არავისთან არ არის დაკავშირებული. ჩვენ ვმუშაობთ 170-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიაში 200 ათასამდე თანამშრომელია დასაქმებული და ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი საკონსულტაციო კომპანია მთელ მსოფლიოში.

– კომპანიის გამოცდილება და ავტორიტეტი გასაგებია, თუმცა ამ შემთხვევაში საუბრობენ პირადად თქვენს კავშირებზე ზურაბ ადეიშვილთან... მართლაც მეგობრობთ თუ არა იუსტიციის ყოფილ მინისტრთან?

– მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და ძალიან ბევრი ნაცნობიც. რა კავშირებზეა საუბარი, ჩემთვის გაუგებარია.

როგორც უკვე გითხარით, „სითი პარკი“ ჯერ კიდევ გიგი უგულავას დროს განიხილავდა საერთაშორისო არბიტრაჟში სარჩელის შეტანას. ეს ის პერიოდია, როდესაც დიდი ჯარიმებით შენუხებული მძღოლების უკმაყოფილება პიკს აღწევდა. იმდროინდელმა მერმა თვითმმართველობის არჩევნების წინ ამ უკმაყოფილების ჩაცხრობა კომპანიასთან დადებული კონტრაქტის ცალმხრივად შეცვლით სცადა. თავად „სითი პარკის“ წარმომადგენლებმაც მაშინ ტელეეთერით შეიტყვეს, რომ დედაქალაქში პარკირების საათობრივი გადასახადი, ფიქსირებულით შეიცვალა.



კომპანიის წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილების საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებდნენ და ცხადი იყო, რომ სახელმწიფოს რამდენიმილიონიანი ჯარიმა დაეკისრებოდა, ამიტომაც უგულავამ კომპრომისზე წასვლა არჩია. როგორც ჩანს, სწორედ ამის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვილის მეგობარმა?

„სითი პარკი“ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მას არ აქვს არანაირი ისეთი დარღვევა, რომელიც შესაძლოა, გახდეს კონტრაქტის გაუქმების საფუძველი“

შემდეგ შეიცვალა ხელშეკრულება, კომპანიის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

თბილისის ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან არსებული ურთიერთობის დეტალების გარკვევა თავად „სითი პარკის“ წარმომადგენელთან ვცადეთ.

ლევან ტაბიძე, „სითი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:

– „EY“-ს აუდიტი შეუკვეთა თბილისის მერიამ. ეს არ იყო ჩვენი კომპანიის დაკვეთილი, შესაბამისად, დეტალები, ალბათ, მერიაში უნდა გაარკვიოთ. რაც შეეხება დასკვნას, იქ წერია, რომ კომპანია „სითი პარკი“ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მას არ აქვს არანაირი ისეთი დარღვევა, რომელიც შესაძლოა, გახდეს კონტრაქტის გაუქმების საფუძველი.

– თუმცა იქვე წერია, რომ თავის დროზე კონტრაქტი შედგენილია კომპანიის სასარგებლოდ...

– ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით, რადგან კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში, სადაც მონაწილეობდა არაერთი საერთაშორისო კომპანია, თუმცა „სითი პარკის“ გამარჯვების მიზეზი გახდა მისი დიდი გამოცდილება პარკირების კუთხით. გარდა ამისა კომპანიამ თბილისის მერიას შესთავაზა ყველაზე დიდი გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში შევიდოდა. მაშინ, პირველადი კონტრაქტის მიხედვით, აბსოლუტურად სხვა სისტემა უნდა ამოქმედებულიყო და, პრინციპში, ამოქმედდა კიდეც. კერძოდ, პარკირების ზონები იყოფოდა სამად და არსებობდა საათობრივი გადასახადი: პირველ ზონაში ერთი საათი იყო ერთი ლარი, მეორე ზონაში – 50 თეთრი, მესამე ზონაში კი – 20 თეთრი. დღეის მდგომარეობით კი, თავდაპირველად შეთანხმებული პირობებისგან განსხვავებით, პარკირების გადასახადი 24 საათის განმავლობაში შეადგენს არასრულ 14 თეთრს. შესაბამისად, ძალიან მარტივია იმის გაანგარიშება, რა თანხებზე იყო გათვლა ინვესტორის მიერ და რა მიიღო ამ შეცვლილი პირობებით.

– ეს პირობები ჯერ კიდევ გიგი უგულავას დროს შეიცვალა... მაინტერესებს, ცალმხრივად მოხდა ამის შეცვლა?

– დიახ, აღნიშნული ცვლილება მოხდა ჩვენთან კონსულტაციების გარეშე. კომპანიამაც ტელევიზიის საშუალებით შეიტყო, რომ პარკირების საფასური ფიქსირებული გახდა და აღარ არსებობდა საათობრივი გადახდის სისტემა, ასევე, 10 ლარამდე შემცირდა ჯარიმების ოდენობა. შესაბამისად, ამან ასახვა ჰპოვა კომპანიის შემოსავლებზე. ინვესტორს რომ სცოდნოდა, ამგვარად შეიცვლებოდა პირობები, შესაძლოა, თავიდანვე არ ჰქონოდა ინვესტიციის განხორციელების სურვილი და ტენდერში საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა. პირობების შეცვლის შემდეგ მოხდა საუბარი მერიასა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის, რადგან შესაძლოა, დავას გადაენაცვლა საერთაშორისო არბიტრაჟში. ამის შემდეგ შედგა კომპრომისული ვარიანტი და კონტრაქტი ჩამოყალიბდა დღეს არსებული სახით. ამიტომ, როდესაც საუბარია იმაზე, თითქოს „სითი პარკის“ სასარგებლოდ იხრება ეს ხელშეკრულება, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ბეგრაუნდი, რაც ამ პროცესს ახლდა და ის ზიანი, რომელიც კომპანიამ მიიღო პირობების შეცვლის შედეგად.

– ელით, რომ კომპანიას საქართველოში საქმიანობის უფლება მაინც ჩამოერთვას?

– დღეის მდგომარეობით კომპანია „სითი პარკი“ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, არ არღვევს არანაირ კანონს, რაც დადასტურდა თბილისის მერიის მიერ დაკვეთილი აუდიტორული კვლევითაც. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერ დავას, რომელიც შეიძლება მერიასა და „სითი პარკს“ შორის წარმოიქმნას, განიხილავს საერთაშორისო არბიტრაჟი. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ დროს დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და განვიხილოთ თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, თუმცა თუ საჭიროება შეიქმნა, შეგვიძლია, არბიტრაჟსაც მივმართოთ.

ხელისუფლება პიარსტრატეგიას ცვლის?

რას უკავშირდება პრესსამსახურის ხელმძღვანელების ცვლილება მთავრობაში?

ნონა ყანდიაშვილი

მირიან ბოქოლიშვილი

ბოლო დღეებში მთავრობაში პიარსამსახურების დონეზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება განხორციელდა. ერთმანეთის მიყოლებით შეიცვალა მერიის, ჯანდაცვისა და თავდაცვის სამინისტროების პრესსამსახურის ხელმძღვანელი პირები. კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია კიდევ რამდენიმე უწყებაში ამ მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებზე. გაჩნდა მოსაზრება, რომ ხელისუფლება ცვლის არსებულ პიარსტრატეგიას, რომელიც მაინცდამაინც დიდი წარმატებით არ გამოირჩევა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მათი კეთილდღეობისთვის არაფერს აკეთებს, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ მას, უბრალოდ, გაკეთებული საქმეები ვერ მიაქვს საზოგადოებამდე და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, პომპეზურ პიარს არ მიმართავს.

ამ ბოლო პოზიციას იზიარებს პიარტექნოლოგი არჩილ გამზარდიაც, რომლის თქმითაც, ხელისუფლებას პიარში ნამდვილად უჭირს, თუმცა ამ მიმართულებით ბოლო საკადრო ცვლილებები მისთვისაც გაუგებარია. თუ რატომ, ამაზე თავად ისაუბრებს.

არჩილ გამზარდია, პიარტექნოლოგი:

– სრულიად ვიზიარებ, რომ ხელისუფლებას არაეფექტური პიარი აქვს. ისიც ცხადია, რომ წინა ხელისუფლებას ჰქონდა არა პიარკამპანია, არამედ მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ვერ გაამართლა და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ. დღევანდელმა მთავრობამ, მათ შორის ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ მთავრობა საქმემ წარმოაჩინოს და არა საზოგადოებასთან ურთიერთობამ. პირადად მე, მაშინაც და ახლაც, ამას კრიტიკულად ვყურებდი. საზოგადოებას ხშირად აინტერესებს დამოკიდებულება. ამიტომაც საზოგადოებას უნდა მიაწოდო ის ინფორმაცია, რაც რეალობაა.

– ანუ არსებულმა პიარსტრატეგიამ ვერ გაამართლა?

– ფაქტია, რომ საზოგადოებას სჭირდება ინფორმაცია – მე მინდა ვიცოდე, რა ხდება ჩემ გარშემო. ეს საზოგადოების სრული უფლებაა. მიდგომა, რომ საზოგადოება თავისით გაიგებს, სად რა ხდება და რას აკეთებს სახელმწიფო, ცხადია, არასწორია. მაგალითად, აუცილებელია ინფორმაცია, რომ სამშობიარო ხარჯები თითქმის სამჯერ შემცირდა და სახელმწიფო შემოვიდა დაფინანსებაში. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა ინტენსიური მუშაობა, არა პროპაგანდა, არამედ ახსნა და ურთიერთობა. დღეს სახელმწიფო ეფექტურ პიარს ვერ ახორციელებს, გარდა ცალკეული შემთხვევებისა.

– ცალკეულ შემთხვევებში რას გულისხმობთ?

– მაგალითად, აუცილებლად

თამარ კაციტაძე

უნდა აღვნიშნო ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობა ამ მიმართულებით. ეს იყო შედეგი პიარსამსახურის ხელმძღვანელის, თამარ ბოდოკიას და მისი გუნდის მუშაობისა. მათ მოახერხეს საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა, ამიტომაც დღეს ეს სამინისტრო წარმატებულია. ვერ ვიტყვი, რომ ჯანდაცვამ რამე ისეთი გააკეთა, რაც ბევრმა სხვა სამინისტრომ ვერ გააკეთა, მაგრამ რომ დაააკვირდეთ დევნილების, სასჯელაღსრულების, სოფლის მეურნეობისა და კიდევ სხვა რამდენიმე უწყებას, აღმოაჩენთ, რომ სათქმელი ბევრია, მაგრამ არასაკმარისად მიდის მოსახლეობამდე ეს სათქმელი. საკმარისი ურთიერთობები არ არის...

– ბოდოკია ახსენეთ და სწორედ მას მოუწია სამსახურის დატოვება...

– ეს ჩემთვის ყოვლად გაუგებარი გადაწყვეტილებაა. ბოდოკია ერთ-ერთი გამორჩეული იყო მთავრობის პიარსამსახურებს შორის. ასეთი კადრი არ უნდა გაათავისუფლო, ან არ უნდა შეუქმნა ისეთი პირობები, რომ თავად წავიდეს სამსახურიდან. კარგი სპეციალისტი სამსახურიდან ან არ მოდის, ან თუ მოდის უკეთესში მიდის. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი დამსაქმებლის დიდი სირცხვილია, რომ ვერ ინარჩუნებს კვალიფიციურ კადრს...

გამზარდიას მიერ ხსენებული თამარ ბოდოკია ერთ-ერთია, ვინც ბოლო დღეებში პიარსამსახური დატოვა. ამბობენ, რომ ამის მიზეზი მინისტრ სერგეენკოსთან პირადი უთანხმოება გახდა. ითქვა, რომ ჯანდაცვის მინისტრმა თბილისის სტიქიის დროს ბოდოკიას მუშაობა დაუწუნა და მას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შვებულებაში ყოფნისას დაახია. თავად ბოდოკიამ განთავისუფლების შესახებ მედიასაშუალებებით შეიტყო და სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა:

„მეგობრებო, ყველას დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის და ამდენი თბილი სიტყვებისთვის. მე თვითონ ვარ გაოცებული თქვენი ასეთი ერთსულოვნებით. ასევე, ვარ გაურკვევლობაში და შვებულებაში მყოფი, რომელიც წასვლაზე მართლა ვფიქრობდი, სააგენტოდან ვიგებ, უშვებენო. აღარ ვეძებ ჭორის პირველწყაროს...

ჯერ განცხადება არ დამიწერია, მაგრამ დავწერ.

თქვენი მხარდაჭერა მსიამოვნებს, მაგრამ გთხოვთ, სანამ მეც არ გავრკვეულვარ, რა ხდება, თითს ნურავისკენ გაიშვერთ და ნურავის დაადანაშაულებთ.

სხვა ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, თვითცენზურა და თმენის ვალდებულება მომეთხოვება ჯერჯერობით, როგორც საჯარო მოხელეს“.

პირადი უთანხმოება სახელდება მერიაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების მიზეზადაც. ნარმანიას პრესმდივანი მაგდა პოპიაშვილი ბიძინა ივანიშვილის პრესმდივანმა ნონა ყანდიაშვილმა ჩაანაცვლა. ამბობენ, რომ პოპიაშვილს ბოლო პერიოდში ურთიერთობები განსაკუთრებულად დაეძაბა თბილისის ვიცე-მერთან დიმიტრი ქუმსიშვილთან.

თამარ ბოდოკია

მაგდა პოპიაშვილი

შედარებით ნაკლებად ხმაურიანი იყო ცვლილებები თავდაცვის სამინისტროში, სადაც მედიასთან ურთიერთობის სამსახურს ტელეკომპანია „კავკასიის“ ყოფილი ჟურნალისტი, თამარ კაციტაძე ჩაუდგა სათავეში. ამ დრომდე ამ სფეროს მინისტრის მრჩეველი, იმედა დარსალია კურირებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ბიზნესმენ თემურ უგულა



თეო ფერაძე

იკა ბობოხიძე

ბაია დავითაია

ეკა ნიჟარაძე

my View
ნინო მჭედლიშვილი

თემურ უგულავასა და მისი ქალების შესახებ თბილისში მუდმივად ჭორაობენ. საბაბიც არ ილევა. ბიზნესმენი ხშირად იცვლის საყვარელ ქალებს. ზოგთან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება, ზოგთან არაოფიციალურად ცხოვრობს.

ამბობენ, რომ უგულავა ყოფილ ქალბატონებს ეკონომიკურად უზრუნველყოფილს ტოვებს, ზოგისთვის ბინას ყიდულობს, ზოგსაც ძვირად ღირებული მანქანით ანებივრებს. უგულავას ეკუთვნის კომპანია „აჭარაბეთი“, კაზინო „აჭარა“, სასტუმროები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მისი სახელი და გვარი ყოველთვის ხვდება ქართველი მილიონერების სიაში.

უგულავას ეკუთვნის კომპანია „აჭარაბეთი“, კაზინო „აჭარა“, სასტუმროები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მისი სახელი და გვარი ყოველთვის ხვდება ქართველი მილიონერების სიაში.

ამბობენ, რომ უგულავა ყოფილ ქალბატონებს ეკონომიკურად უზრუნველყოფილს ტოვებს, ზოგისთვის ბინას ყიდულობს, ზოგსაც ძვირად ღირებული მანქანით ანებივრებს



რა კომენტარს აკეთებს მოდელი „პრაიმტაიმთან“

ნინის მაყურებელი პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ იცნობს. ის ოთო ფოლადაშვილის პარტნიორი იყო

რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენი თემურ უგულავა თავის მეორე ცოლს, ბაია დავითაიას ოფიციალურად შორდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთად სამი წელია აღარ ცხოვრობენ, აქამდე კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ბაიასა და თემურს ქონებრივი დავა აქვთ და ახლა გახმაურებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ამის შესახებ ბიზნესმენის პირველი ცოლიც საუბრობს, რომელიც აქამდე ასე საჯაროდ არ გამოჩენილა. თეო ფერაძე ყოფილ ქმარს მეორე ცოლთან ქონებრივი დავის მოგვარებაში გვერდში უდგას. ბაიას ერთ-ერთ ყვითელ პრესაში ეკითხებიან: „ჰოლიდეი ინი“ თემურმა გაჩუქათ, ასეა? – ნამდვილად გახლავართ ამ სასტუმროს ერთ-ერთი დამფუძნებელი, – პასუხობს ბაია.

თეასა და ბაიას გარდა ცნობილი ბიზნესმენის ცხოვრებაში ბევრი ქალი იყო, მათ შორის ცნობილებიც – მსახიობი ეკა ნიჟარაძე, დიზაინერი იკა ბობოხიძე.

ქალაქური ბომონდი დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდა თემურ უგულავას და იკა ბობოხიძის სიყვარულის ამბავს. ქალაქში ისიც ითქვა, რომ თემურმა ოჯახი იკას გამო დაანგრია და წყვილი ერთადაც კი ცხოვრობდა. უგულავა ცოლს, ბაია დავითაიას ოფიციალურად არც გაყრია, ბაია ამერიკაში ცხოვრობს. ბაიასა და თემურს ვაჟი ჰყავთ. რაც შეეხება დიზაინერ იკა ბობოხიძეს, მას პირველი ქორწინებისდან ორი შვილი, ნუცა და ლუკა ხურცილავები ჰყავს.

მაშინ იკა „პრაიმტაიმთან“ მიცემულ ინტერვიუში ასეთ კომენტარს აკეთებდა.

- 21 წლის ასაკში გავთხოვდი. ჩემი ყოფილი მეუღლე, ზვიად ხურცილავა, პროფესიით კინოპროდიუსერია, თუმცა ამჟამად მარკეტინგში მუშაობს.

- იკა, როგორც გავიგეთ, თქვენს ცხოვრებაში ახალი სიყვარულია.

- მოდი, ასე ვიტყვი, არის ცვლილებები ჩემს პირად ცხოვრებაში, მაგრამ ხმამაღლა ამაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს, სათუთია ეს ჩემთვის, ძალიან ფაქიზი თემაა. ჯერ არ მინდა ამაზე საუბარი. ბავშვები... მე თვითონაც არა ვარ ჩამოყალიბებული, არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი პირადი ცხოვრება მომავალში. ვუფრთხილდები იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან არიან დაკავშირებულები. ვნახოთ, რა იქნება.

იკაზე სიტყვაძუნწი აღმოჩნდა თემურ უგულავა. მისი განწყობიდან ჩანდა, რომ შეყვარებულია, თუმცა ამ თემაზე პრესასთან ლაპარაკი უჭირდა.

„მე სახლში დამტოვებდა, ჩამკოცნიდა, მუცელს დამიკოცნიდა და კლუბში მიდიოდა. ეგ და ეკა იქ დაეჯახნენ ერთმანეთს და დაიწყეს ურთიერთობა“

თემურ უგულავა:

- ამ თემაზე დეტალურად და კონკრეტულად ვერ გესაუბრებით.

- რა გარემოში გაიცანით ერთმანეთი?

- ძალიან კონკრეტულზე მიდიხართ, ეს ჩემი პირადია და არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. „ვგიჟდები იკაზე, მიყვარს, ერთად დავდივართ...“ მხოლოდ ამ ინფორმაციის მოპოვება მოახერხა მაშინ „პრაიმტაიმმა“.

რაც შეეხება მსახიობ, ეკა ნიჟარაძეს, მისი უმცროსი ვაჟი, ნოდარ უგულავა თემურის შვილია. მსახიობი თემურ უგულავამ ჯაზკლუბში გაიცნო. მაშინ თეა პირველ შვილზე იყო ორსულად. ხოლო მეორე შვილი ექვი თვის იყო, მეორე ქალი რომ გამოჩნდა თემურის ცხოვრებაში.

„მე სახლში დამტოვებდა, ჩამკოცნიდა, მუცელს დამიკოცნიდა და კლუბში მიდიოდა. ეგ და ეკა იქ დაეჯახნენ ერთმანეთს და დაიწყეს ურთიერთობა. ბავშვი რომ გავაჩინე, დედაჩემთან ვცხოვრობდი, ქმრის მისამართით კი ყურადღება მოვადუნე. მე შვილზე, თემური საქმეზე იყო გადართული. კაზინოს შენება რომ დაიწყო, რამდენიმე თვე ეკასთან და მის შვილებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად. მე ეკა ნიჟარაძეზე არაფერი ვიცოდი. ფეხმძიმედ ვიყავი და რომ არ მენერვიულა, ყველამ დამიმალა ეს ამბავი. რომ მივხვდი, რომ თემურს საყვარელი ჰყავდა, დავშორდი. ნუცა უკვე ერთი თვის გვყავდა. რა არ გააკეთა, ვინ არ მომიგზავნა, რომ შევრიგებულიყავით. შევრიგდით, შანსი მივეცი. თავსაც ვაბრალებდი, უყურ-

ვას ახალი გატაცება 19 წლის მოდელი ნინი ნებიერიძეა

ნინი ნებიერიძე

თემურ უგულავა

EXCLUSIVE

„მაშინაც და ახლაც მოდელი ჟურნალისტებთან ურთიერთობას გაურბის. სამაგიეროდ არ გაურბის საყვარელ მამაკაცთან ფოტოებისა და ვიდეოების გადაღებას. 49 წლის ბიზნესმენთან გადაღებული კოცნის ვიდეო, ნინიმ სოციალურ ქსელში თავად ატვირთა“

ადღებოდ რომ დავტოვე, ყურადღება ვერ გადავანაწილე. სახლი ვიყიდეთ და გადავედით. აღმოჩნდა, რომ ეკა ორსულადაა. თემურს ძალიან შეეშინდა. ამას რომ არ ვაპატიებდი, იცოდა. მთელი თბილისი გააფრთხილა, ეს თეამ არ გაიგოს, თორემ აღარაფერი მიშველისო. ეკას და თემურის შვილი, ნოდო უკვე ორი წლის ხდებოდა, როდესაც მე მისი არსებობის შესახებ გავიგე. ისინი უკვე ერთად აღარ იყვნენ. მე და თემურიც უკვე გაყრილები ვიყავით, ის ბაია დავითაიასთან იყო წასული. დეპრესიაშიც იმიტომ ჩავვარდი, რომ ორმაგი დარტყმა მივიღე, თურმე ტყუილში ვიცხოვრე, ერთად ვცხოვრობდით და ჩემგან მალულად ბავშვი არსებობდა კიდევ. იქნებ რომ მცოდნოდა, უკეთესი ყოფილიყო. თემური ალალია. მალავდა, ვერ გაამხილა ამხელა რამ. ჩემთან ალალი იყო და რომელი ქალის ხელში როგორ გარდაიქმნა წლების მერე, ეგ აღარ ვიცი. ახლა ნოდოც ნიუ-იორკშია, ერთად არიან და-ძმები. ეკასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბაიამ კი მთელ თბილისს გააგებინა ჩემი საყვარელი თემურ უგულავაა. თემურს თავიდან გაორება სჭირდა, ხან იქ იყო, მასთან, ხან ჩემთან. მაგრამ იმ ქალმა იმდენი გააკეთა, რომ სახლი იყიდეს და საცხოვრებლად ერთად გადავიდნენ. თემური მოვიდა და პატიოსნად მითხრა, ვერ გაგიკეთებ სხვასთან ვიყო, მერე მოვიდე და შენთან დავიძინოო. მირჩევნია გითხრა, რომ სხვასთან მივდივარო. გავგიჟდი, მაგრამ არ ვარ ის ტიპი, კაცი, რომელსაც ჩემგან წასვლა უნდა, დავაკაო. მერე იყო ჩემი დეპრესია. მაგრამ გავძლიერდი. განშორება და ტკივილი ჩემთვის უცხო რამ იყო, რადგან ოჯახში ვარდისფერი სათვალით გამზარდეს. ბაიამ და თემურმა ათი წელი გაატარეს ერთად. მესამე წელია გაყრილები არიან და ახლა გახმაურებული ქონებრივი დავა აქვთ. განქორწინებაზე შევიდა საქმე, მაგრამ ბაიამ მოსთხოვა – განქორწინება მოხდება მას შემდეგ, რაც მე მივიღებ შენი ქონების 50 პროცენტსო.

– ყოფილ მეუღლეს გვერდით უდგახართ?

– გვერდით ვუდგავარ. თემურის მტერი ჩემი მტერია. მტკივა და ვუდგავარ გვერდით. ყველა მის ყოფილ ქალთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბაიასთან მას შემდეგ ვურთიერთობ, რაც გაიყარნენ. პატარაა თბილისი და ბევრი საერთო ახლობელი გვყავს, ამიტომ მათი ქონებრივი დავის შესახებ ყველაზე ბოლოს მე გავიგე. ბაიამაც დამიმალა. არადა, თითქმის ერთი წელია ეს პროცესი მიდის და ძალიან მწყინს.

– თქვენ ყოფილი ქმრისგან არაფერი მოგითხოვიათ?

- უთანხმოებები გვქონია, მაგრამ ის გვპატრონობს. რა მაქვს მოსათხოვი? პირადად მე, ყოფილ ცოლს, არაფერს მაკლებს. იქ არის, მე თუ რაიმე მჭირდება. მით უმეტეს შვილები გზაზე დაყენებული ჰყავს და სხვასაც არაფერს აკლებს. ამდენი საქმე, ამდენი ცოლი და შვილი (ნუ, ეს მისი არჩევანია)... მაგრამ მაინც გვერდში ვუდგავარ და ვუგებ.

წერდა „პრაიმტაიმთან“ მიცემულ ინტერვიუში, თემურ უგულავას პირველი ცოლი.

თემურის ქალების სიას ნატალია ყანჩელიც მიემატა, რომელიც კომპოზიტორ გია ყანჩელის შვილი გახლავთ. მათი სიყვარულის ისტორიაზე ცოტა რამ არის ცნობილი. მალე ბიზნესმენმა ნატალია ყანჩელთანაც დაამთავრა ურთიერთობა. კომპოზიტორ გია ყანჩელის ქალიშვილი ბიზნესმენმა ლონდონში გაუშვა და ახალი რომანი გააბა. ამჯერად თემურ უგულავას გატაცება 19 წლის მოდელი, ნინი ნებიერიძე გახლავთ. ნინის მაყურებელი პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ იცნობს. ის ოთო ფოლადაშვილის პარტნიორი იყო. გადაცემის მსვლელობის დროს მაყურებელი შეამჩნევდა, რომ საკმაოდ ხალისიანი და მხიარული გოგოა ნინი. თუმცა მაშინაც და ახლაც მოდელი ჟურნალისტებთან ურთიერთობას გაურბის. სამაგიეროდ არ გაურბის საყვარელ მამაკაცთან ფოტოებისა და ვიდეოების გადაღებას. 49 წლის ბიზნესმენთან გადაღებული კოცნის ვიდეო, ნინიმ სოციალურ ქსელში თავად ატვირთა.

ჩვენ ნინის დავუკავშირდით.

ნინი ნებიერიძე:

- ნინი, გამარჯობა, „პრაიმტაიმიდან“ გაწუხებთ, ცუდ დროს ხომ არ გირეკავთ?

- არა, გისმენთ.

- შენი და თემურ უგულავას სიყვარულის შესახებ მინდა გკითხო, ამბობენ, რომ რომანი გქვთ...

- არ ვიძლევი ინტერვიუებს.

- არც უარყოფ და არც ადასტურებ ინფორმაციას?

- ინტერვიუებს არ ვიძლევი, თან ახლა მძინავს.

ჩვენ ბიზნესმენთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ მისი ტელეფონი გამორთულია. სავარაუდოდ, თემურ უგულავა საქართველოში არ იმყოფება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური კომპანი

ვინ გასცა ნებართვა 25 ტონა გენმოდიფიცირებული სოიოს შემოტანაზე?

კომპანიას მართლაც ძლიერი ლობი ჰყავს თითქმის ყველა ქვეყანაში და როგორც აღმოჩნდა, საქართველოშიც

მირიან ბოქოლიშვილი

არაერთ საერთაშორისო სკანდალში გახვეული კომპანია „მონსანტო“ ქართულ ბაზარზე შემოდის. 25 ტონა სოიოს გენმოდიფიცირებული თესლი უკვე საქართველოშია. „მონსანტოს“ შემოსვლას არც ჩვენს ქვეყანაში ჩაუვლია სკანდალების გარეშე.

საქმე ის გახლავთ, რომ გენმოდიფიცირებული სოიოს თესლის შემოტანა გარემოს დაცვის მინისტრის 2015 წლის 24 აპრილის #198 ბრძანების საფუძველზე მოხდა. ამ ბრძანებას მწვავე კრიტიკა მოჰყვა თავად მმართველი გუნდის წარმომადგენლების მხრიდან. კერძოდ, ფრაქცია „მრეწველები“ საქართველოში გენმოდიფიცირებული სოიოს თესლის შემოტანას მწვავედ დაუპირისპირდნენ და გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის, ელგუჯა ხოკრიშვილის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც კი ალაპარაკდნენ, თუმცა ხოკრიშვილის შემცვლელი, გიგლა აგულაშვილი ბრძანების გაუქმებას არ აპირებს და ირწმუნება, რომ საგანგაშო არაფერია. „მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე კი მიიჩნევს, რომ სოიოს ეს თესლი მინდორში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხვდეს.

„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მთავრობის იმ დადგენილებას ეყრდნობა, რომელიც მას შემდეგ უნდა ამუშავდეს, როცა გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების საბაჟოზე გადაკვეთა მოხდება. საბაჟოზე გადაკვეთა კი ვერ მოხდება, ვიდრე მეცნიერ-ექსპერტების მიერ არ იქნება შესწავლილი და არ იარსებებს დადებითი დასკვნა. მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში შეეძლო მინისტრს ასეთი ბრძანების გამოცემა. აქ არაფერ შუაშია ევროკავშირის რეესტრი – ასოცირების ხელშეკრულებაში ამდაგვარი არაფერი წერია. ევროკავშირი ვერ დაგვავალდებულებს და ასოცირების ხელშეკრულება ვერ მოგვთხოვს იმას, რომ სულ სხვა ქვეყანაში და არა ევროკავშირის ნევრ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციას გავუხსნათ კარი, მით უფრო, როცა საქმე ეკოლოგიურად არასუფთა გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს ეხება“, – აცხადებს ტყემალაძე.

„მრეწველებმა“ ზემოხსენებული კომპანიის საქმიანობის შესახებ დოკუმენტური ფილმიც კი მოამზადეს, რითაც სურთ დაამტკიცონ, რომ „მონსანტოს“ შემოსვლა ქართულ ბაზარზე კატეგორიულად დაუშვებელია. ფილმში მიმოხილულია ის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რომელიც გენმოდიფიცირებული პროდუქტების მწარმოებელ მსოფლიო მონოპოლისტის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში იმართება.

ამ ფილმით ირკვევა, რომ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ასი ათასობით ადამიანი უკვე 3 წელია, აპროტესტებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის გავრცელებას დევიზით – „არა მონოპოლისტ და გმო-ს მწარმოებელ „მონსანტოს“!

ცნობილია, რომ კომპანია „მონსანტო“ ამერიკის ყოფილი ქიმიური კომპანიის ბაზაზე შეიქმნა, გმო პროდუქციის წარმოება კი შეერთებულ შტატებში 1994 წლიდან დაიწყო.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გენოტიპი ხელოვნურად არის შეცვლილი გენური ინჟინერიის გზით. მაგალითად, კარტოფილში ჩასვეს მორიელის გენი, ხოლო პომიდვრის დნმ-ს ჯაჭვში – პოლარული ზღვის თევზის, კამბალას გენი. შედეგად, ამ პროდუქციის მოყვანა უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი შესაძლებელია.

არის თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტები უვნებელი მცენარეებისთვის, ცხოველებისთვის და რაც მთავარია, ადამიანებისთვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ფრანგი მეცნიერები ცდილობდნენ. კვლევის შედეგები საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა. სპეციალისტები ორი წლის განმავლობაში საიდუმლოდ იკვლევდნენ ჰერბიციდით დამუშავებული ტრანსგენური სიმინდის გავლენას ვირთხებზე. საცდელ ორგანიზმებში გამოვლინდა სარძევე ჯირკვლების გიგანტური სიმსივნეები, მეორე თაობა განუვითარებელი დაიბადა, მესამე კი – საერთოდ სტერილური.

აღსანიშნავია, რომ ყველა კვლევა, რომელიც „მონსანტოს“ მიერ წარმოებული პროდუქციის საშიშროებაზე მიუთითებდა, საგულდაგულოდ იფარცხებოდა. მეცნიერებს კი, რომლებიც ამ კვლევებს აწარმოებდნენ, ლიცენზიას უჩერებდნენ. აშკარა იყო ამ კომპანიის მძლავრი ფინანსური გავლენა, სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებებზე. მაგალითად, შოტლანდიის როვეტის ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით მეცნიერი არპატ პუშტაი ტრანსგენური კარტოფილის შესწავლას ხელმძღვანელობდა. კვლევაზე ორი წლის მანძილზე 30 მეცნიერი მუშაობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც დიდი ბრიტანეთი საკუთარ ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციის შეტანისთვის ემზადებოდა.

ყველა კვლევა, რომელიც „მონსანტოს“ მიერ წარმოებული პროდუქციის საშიშროებაზე მიუთითებდა, საგულდაგულოდ იფარცხებოდა. მეცნიერებს კი, რომლებიც ამ კვლევებს აწარმოებდნენ, ლიცენზიას უჩერებდნენ

„სამინისტრო დარწმუნებული იყო, რომ ამ კვლევების შემდეგ გენმოდიფიცირებული პროდუქტებისთვის ქვეყნის ბაზარი გაიხსნებოდა. ევროპის საუკეთესო ლაბორატორიას ერთი სული ჰქონდა, დაემტკიცებინა, რომ ამ საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობდა“, – ამბობს არპატ პუშტაი, თუმცა მოულოდნელად მისმა კვლევებმა სრულიად საპირისპირო შედეგი აჩვენა.

როდესაც დიდ ბრიტანეთში ამერიკიდან გენმოდიფიცირებული სოიოს პირველი პარტია შევიდა, არპატ პუშტაიმ ბრიტანულ ტელევიზიას ინტერვიუ მისცა:

„როგორც ამ სფეროში მომუშავე მეცნიერი, ვაცხადებ – უსამართლობაა ბრიტანეთის მოქალაქეების საცდელ ბაჭიებად გამოყენება“.

კომპანია „მონსანტო“ მალევე მიხვდა კვლევის შედეგების მნიშვნელობას. ეს ამბავი მანამდე გაიგეს, სანამ ინტერვიუ ეთერში გავიდოდა, ვინაიდან შოტლანდიის კვლევითი ინსტიტუტი „მონსანტოსგან“ სოლიდურ დაფინანსებას იღებდა. ინტერვიუს ჩაწერიდან მეორე დღეს პუშტაის და კვლევაზე მომუშავე ყველა მეცნიერს ლიცენზია ჩამოართვეს, თუმცა ამ კვლევის შედეგები ბრიტანეთის მოსახლეობისთვის მაინც ხელმისაწვდომი გახდა და მასობრივი უკმაყოფილებაც გამოიწვია.

არპატ პუშტაის ბედი ეწია ყველა იმ მეცნიერს, რომელმაც სხვადასხვა დროს „მონსანტოს“ საწინააღმდეგო დასკვნა დადო. ასე მოხდა ვეტერინარ რიჩარდ ბეროუზის შემთხვევაშიც, რომელმაც „მონსანტოს“ მიერ წარმოებული პრეპარატი – „პოსილაკი“ შეისწავლა. ეს არის ტრანსგენური ჰორმონი, რომელიც მსხვილფეხა საქონლის ხელოვნურ გაზრდასა და ძროხის წველადობის 20 პროცენტით მატებას უწყობს ხელს. რიჩარდ ბეროუზი დაინტერესდა, რა ინფექციები და დაავადებები შეიძლებოდა შეჰყროდა საქონელს ამ პრეპარატის მიღების შემდეგ, ან ხომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ია ქართულ ბაზარზე

ჯორჯ ბუში (უფროსი) „მონსანტოს“ ლაბორატორიას სტუმრობს და კომპანიის მესვეურებს მიმართავს – „პრობლემების არსებობის შემთხვევაში პირადად მას დაუკავშირდნენ“

კარტოფილში ჩასვეს მიჩრიელის გენი, ხოლო პიმიდვრის დნმ-ს ჯაჭვში – ვილარული ზღვის თევზის, კამბალას გენი. შედეგად ამ პრიდუქციის მოყვანა უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი შესაძლებელია

არ შეექმნებოდათ პრობლემები გამრავლებასთან დაკავშირებით. ამ საქმით დაინტერესების შემდეგ ვეტერინარს ლიცენზია ჩამოართვეს და სამსახურიდან დაითხოვეს, „მონსანტოს“ ადვოკატები კი სამართლებრივი პროცედურებით ემუქრებოდნენ.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ არსებობს კვლევები, რომელიც „მონსანტოს“ სასარგებლოდ მეტყველებს, თუმცა მათი უმეტესობა თავად ამ კომპანიის მიერ არის დაფინანსებული, შესაბამისად, კვლევის შედეგებიც ბევრ კითხვას ბადებს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მხოლოდ გასულ საუკუნეში, 1995-2000 წლებში „მონსანტომ“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით 50-მდე სათესლე კომპანია შეიძინა, სადაც გამოჰყავთ სოიოს, სიმინდის, ხორბლის, ბამბისა და ბოსტნეულის თესლები. ცნობილია ამ კომპანიის მძლავრი გავლენა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოების მაღალ ეშელონებზე. მაგალითად, არსებობს საარქივო მასალა, სადაც ჯორჯ ბუში (უფროსი) „მონსანტოს“ ლაბორატორიას სტუმრობს და კომპანიის მესვეურებს მიმართავს – „პრობლემების არსებობის შემთხვევაში პირადად მას დაუკავშირდნენ“. ამის შემდეგ კი შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი საჯაროდ აცხადებს, რომ ამერიკა მხარს უჭერს „მონსანტოს“ ნებას გენმოდიფიცირებული პროდუქტების გავრცელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, გმო პროდუქციას ბოლო პერიოდში მოწინააღმდეგეები ევროპის პოლიტიკურ წრეებში გამოუჩნდნენ. სერიოზული ხმაური მოჰყვა ევროსაბჭოში, დეპუტატ კარენ ლეპაჟის განცხადებას:

„ჩვენ დიდი სისულელე გავაკეთეთ, როდესაც გენმოდიფიცირებული პროდუქტები ევროპის ბაზარზე დავუშვით. ახლა საკითხის სხვა კუთხით შეფასების დროა. საჭიროა გამოვაცხადოთ ორწლიანი მორატორიუმი ამ თემის უკეთ შესწავლის მიზნით“.

ევროსაბჭოს დეპუტატის ეს გამოსვლა ხმაურიანი, თუმცა უშედეგო აღმოჩნდა... ამ კომპანიას მართლაც ძლიერი ლობი ჰყავს თითქმის ყველა ქვეყანაში და, როგორც აღმოჩნდა, საქართველოშიც... ფაქტია, რომ „მონსანტომ“ საქართველოს ხელისუფლების შიგნით სერიოზული გახეთქილება ჩამოაგდო და საპარლამენტო უმრავლესობის ერთი ფრთა, „მრეწველების“ სახით, მთავრობას დაუპირისპირა.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ გოგი თოფაძის გუნდმა საკუთარი ინიციატივის გატანასა და გმო პროდუქციის აკრძალვას მიაღწიოს, თუმცა მათ უკვე შეძლეს ერთი ცვლილების განხორციელება. კერძოდ, 2015 წლის პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“, რომელიც სწორედ ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ ინიციატივით მომზადდა.

აღნიშნული კანონის მიხედვით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში უნდა განთავსდეს წარწერა „გმო“, ხოლო გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში წრიულ ფორმაში წარწერა „გმ“. აღნიშნული წარწერები იმდენად თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი და მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა მისი ადვილად იდენტიფიცირება შეძლოს.

გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის შემცველი პროდუქტის ეტიკეტირებისას აღნიშნული უნდა იყოს ინგრედიენტის სახელიც.

შესაბამისად, ბიზნესოპერატორები ვალდებულნი ხდებიან, გენმოდიფიცირებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას ეტიკეტირების აღნიშნული ნორმები დააკმაყოფილონ.

კანონის მიხედვით, ეტიკეტირების მოთხოვნათა შეუსაბამობის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ვალდებული იქნება, შეუსაბამობა აღკვეთოს და სავაჭრო ქსელიდან არაეტიკეტირებული გენმოდიფიცირებული პროდუქტი ამოიღოს. შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი გენმოდიფიცირებული პროდუქტი განადგურებას დაექვემდებარება.

ეტიკეტირების მოთხოვნების შესრულებაზე დაწესდება სახელმწიფო კონტროლი – ეტიკეტის შეუსაბამობაზე სახელმწიფოს კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს, იმპორტისას – ფინანსთა სამინისტრო.

ასევე, განისაზღვრა პასუხისმგებლობის საკითხი მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში. კერძოდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 5 ათასი ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ათასი ლარის ოდენობით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



მაგდა კლდიაშვილი

გიორგი მიქაბერიძემ ცოლად საბერძნეთის მოქალაქე მოიყვანა

ბოლნისის „სიონის“ 27 წლის ნახევარმცველი, გიორგი მიქაბერიძე დაქორწინდა.
ფეხბურთელის რჩეული საბერძნეთის მოქალაქე, ნინო ოსეფაიშვილია, რომელიც პროფესიით ფილოლოგია. ნინო წლების განმავლობაში ცხოვრობდა საბერძნეთში და შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მომავალმა საქმრომ გადააწყვეტინა საქართველოში დაბრუნება.
წყვილმა ხელი იუსტიციის სახლში მოაწერა და მეგობრების წრეში აღნიშნა გაბედნიერება. ქორწილს კი შემოდგომით გეგმავენ.

ალექსი ბენაშვილი „ლოკომოტივში“ ითამაშებს

ალექსი ბენაშვილი ახალგაზრდულ „ლოკომოტივში“ ითამაშებს. 26 წლის შემტევი ლანჩხუთის „გურიადან“ უმაღლესში დაბრუნებულ „ლოკომოტივში“ გადმოვიდა და ამიერიდან, ამ გუნდის ღირსებას დაიცავს.
ფეხბურთელმა და კლუბმა კონტრაქტი 6+6 სისტემით გააფორმა. გურულთა რიგებში, ბენაშვილმა 14 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი მიითვალა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბოლნისის „სიონის“ ლეგიონერი მამა გახდა

ბოლნისის „სიონის“ პორტუგალიელი თავდამსხმელი, ლუის ალბერტო ვიეირა მედინა მამა გახდა.
23 წლის ფორვარდს ქალიშვილი რამდენიმე დღის წინ შეეძინა. გუნდმა ის ვარჯიშებიდან გაათავისუფლა, რომ მეუღლის მშობიარობას დასწრებოდა, თუმცა ფეხბურთელმა მაინც ვერ შეძლო შვილის დაბადებაზე დასწრება, რადგან მშობიარობის ვადამ გადაიწია, მას კი საქართველოში მოუხდა დაბრუნება.
ახლა ლუის მედინას უკვე საქართველოში ჰყავს ოჯახი. მისი მეუღლე და ჩვილი საქართველოს, კვირას ღამით ეწვივნენ და ეს მათი პირველი ვიზიტია აქ.



გიორგი ლორია „ოლიმპიაკოსიდან“ წამოვიდა

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მეკარე, გიორგი ლორია „ოლიმპიაკოსიდან“ წამოვიდა.
ქართველმა ფეხბურთელმა ბერძნული კლუბის შეკრება, რომელიც ზეეფელნტში მიმდინარეობდა, დატოვა და ათენში გაემგზავრა, სადაც კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შეხვედეს.
ლორიამ პირეოსელებთან ხელი დაახლოებით ერთი თვის წინ მოაწერა, თუმცა საბერძნეთში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო, კლუბი მისთვის ხელფასის გადახდას ვერ მოახერხებს.
იქიდან გამომდინარე, რომ თურქულმა „ტრაბზონსპორმა“, სადაც მთავარ მწვრთნელად შოთა არველაძე დაინიშნა, ლორიას შეთავაზება საჯაროდ გაუკეთა, არ არის გამორიცხული, რომ ქართველი კიპერი სწორედ არველაძის გუნდში ვიხილოთ.

ვარლამ კილასონიას ვარლამ კილასონია მიჰყავს

ბოლნისის „სიონის“ ახალი მთავარი მწვრთნელი, ვარლამ კილასონია გუნდში, თავის ძმისშვილს, ასევე ვარლამ კილასონიას ეპატიჟება.
22 წლის მცველი ცხინვალის „ცხინვალის“ რიგებში ირიცხება, მაგრამ ბიძა-ძმისშვილს მუშაობა ერთად სურს და ამის გამო, უმცროს კილასონიას „ცხინვალის“ დატოვება სურს.
ფეხბურთელი კილასონია მწვრთნელ კილასონიასთან რუსთავის „მეტალურგში“ თამაშობდა და მისი თავკაცობით 26 შეხვედრა ჩაატარა, რის შემდეგაც „ცხინვალში“ გადავიდა.
ახალგაზრდა მოთამაშემ კლუბთან ორმხრივ შეთანხმებას მიაღწია და ახალ სეზონს „სიონის“ რიგებში დაიწყებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნათელაშვილი სკანდალში ეხვევა

ქეთი ხატიაშვილი

სოსო შატბერაშვილი წლების განმავლობაში ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. „უბრალოდ ლიდერი კი არა, გენერალური მდივანი და საარჩევნო სიაში მუდმივად მეორე ადგილს ვიკავებდი“, – გვახსენებს შატბერაშვილი, რომელმაც რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ლეიბორისტული პარტია ორი წლის წინათ დატოვა.

დღეს „პრაიმტაიმთან“ იხსენებს იმ ფულადი გარიგებების შესახებ რომელიც, მისივე თქმით, შალვა ნათელაშვილს, ერთის მხრივ, სააკაშვილის ხელისუფლებასთან და მეორე მხრივ, ცალკეულ ბიზნესმენებთან ჰქონდა. სოციალურ ქსელებში ნათელაშვილის ვილის ფოტოც გაჩნდა, რომელიც, როგორც ითქვა, საოცრად მდიდრული და ფეშენებელურია. „პრაიმტაიმს“ სოსო შატბერაშვილს ესაუბრა:

– დიახ, მართლაც ფეშენებელური ვილაა, მიბრძანდით სოფელ ბაზალეთში და თავად დარწმუნდებით, ნათელაშვილი თუ შიგნით შეგიშვებთ, ნახავთ მწვანე მალაქიტით, თეთრი მარმარილოთი და უნიქსით მოპირკეთებულ ბუხრებსა და კიბეებს, ჭედურობით გაკეთებულ მოაჯირებს... მოკლედ, ფეშენებელურ რაღაცებს ნახავთ. ტრაბახობდა კიდეც, ევროპის ვერც ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ვერ შეედრება ჩემს ვილასო, ნამყოფი ვარ და მართლა მასეთი მოწყობილია.

– ითქვა, რომ მამაპაპისეული სახლია...

– მაგის მამა და პაპა წესიერი ხალხი იყო და მაშინ წესიერი ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობდა, თვითონაც ძალიან გაჭირვებაში ცხოვრობდა, სანამ პოლიტიკაში შევიდოდა. საიდან გააკეთებდა მისი მამა-პაპა მანდ ეგეთ რემონტს? კომუნისტები მაშინვე წაართმევდნენ. ისეთები გააკულაკეს, ვისაც მართლა შრომით ჰქონდათ მოპოვებული ქონება. ისინი წესიერი ხალხი იყვნენ და რატომ აყენებს შეურაცხყოფას, ნათელაშვილმა კი თავისი თაღლითობით, გაიძვერობითა და ნაცებზე მიყიდვით ააშენა ეს სასახლე. ის აშენდა 2011 წლის შემდეგ...

– რისთვის დასჭირდათ ნაციონალებს ნათელაშვილი?

– იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილი ელანძღა... მის მიერ ბიძინას ლანძღვა თურმე დიდი ფული ჯდებოდა და სააკაშვილისგან აღებული ფულით ააშენა ეს ვილაც...

„ნათელაშვილმა თავისი თაღლითობით, გაიძვერობითა და ნაცებზე მიყიდვით ააშენა ეს სასახლე“

„ნათელაშვილი თუ შიგნით შეგიშვებთ, ნახავთ მწვანე მალაქიტით, თეთრი მარმარილოთი და უნიქსით მოპირკეთებულ ბუხრებსა და კიბეებს, ჭედურობით გაკეთებულ მოაჯირებს...“

– რა თანხებზეა საუბარი?

– ლადო სადღობელაშვილმა წარადგინა საბანკო ანგარიშები, ბელა ალანიას სახელზე ავსტრიის ბანკში 2010 წელს 117 ათასი ევროა ჩარიცხული, 2011 წელს – 117 ათასი ევრო, 2012 წელს – 98 ათასი ევრო. აცხადებენ, ეს ფული ავსტრიაში ქართველებმა ნათელაშვილის ოპერაციისთვის შეკრიბესო. შალვას სტენტირების ოპერაცია დაჯდა 12-15 ათასი, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა გადაიხადა. ასე რომ, 2010-11-12 წლებში საიდან გაჩნდა ეს ფული? ოპერაცია ნათელაშვილს უკვე გაკეთებულიც ჰქონდა და მონელებულიც.

ასევე, ვადასტურებ, რომ ვინმე ებრაელ ბიზნესმენს ანატოლი მოტკინს ნათელაშვილთან მოჰქონდა ფული ოფისში, რამდენჯერმე ავსტრიაშიც ჩაიტანა. ამის თვითმხილველები ვართ ყველა. როცა კომიტეტის სხდომა მოვიწვიეთ და წამოსვლა დავაპირეთ, ეს არ უარყვია, დიდ ებრაელ ხალხს მადლობა გადაუხადა... მოტკინი თურმე 30%-ს იღებდა, ეს კი 2 მილიონიაო, თქვა ნათელაშვილმა. ახლა წარმოიდგინეთ, თავად რამდენს იღებდა.

– ეს ფული ნათელაშვილის საკუთრება იყო და ის პარტიაზე არ იხარჯებოდა?

– ნაწილი პარტიას დაახარჯა საარჩევნო კამპანიისთვის, დაახლოებით 300 ათასი, დანარჩენი თანხა – უზარმაზარ თანხებზეა საუბარი, სად წაიღო, არავინ იცის. ამბობენ, ევროპული ბანკის ანგიშებზეაო.

– დღესაც უხდიან ფულს ივანიშვილის კრიტიკისთვის?

– საფუძვლიანი ეჭვია, რომ დღესაც უხდიან... თავად ნახეთ, ადრე ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ისე იყო გადაკიდებული ჩვენზე, რომ ფეხიც არ შეგვიდგამს იქ, იშვიათად 20 წამით გვაშუქებდნენ, დღეს „რუსთავი 2“ მისთვის გახსნილია და მისი მუდმივი სტუმარია. ესეც საკმარისია იმისთვის, რომ მათ შორის ალიანსი გაიშიფროს.

„ასეთ სიბინძურეებს არ ვპასუხობთ, რადგანაც ქვეყანაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია“

ბოლო აქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისუფლების მოედანზე ჩაატარა, არსებობენ თვითმხილველები, რომლებიც დაადასტურებენ, როგორ დადიოდნენ ლეიბორისტები და ხალხს ეუბნებოდნენ: ნაციონალების აქციაზე მიდით, სააკაშვილია ერთადერთი მხსნელი საქართველოსიო.

– სააკაშვილსაც ხომ ლანძღავდა?

– ბოლო დროს სააკაშვილი გალანძღული არ მახსოვს. ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე ლანძღავდა, შემდეგ საერთო მტერი გაუჩნდათ. სხვათა შორის, გაგახსენებთ, რომ შალვამ 2007 წელს ივანიშვილი პრემიერობის კანდიდატად დაასახელა, ეს მე ვურჩიე მას. და მაშინ ძალიან მოეწონა ეს იდეა, თქვა, რომ ის ჩემი დის მეზობელი იყო და ვიცნობდი და ვმეგობრობდიო. შემდეგ კი სააკაშვილის პოზიცია დაიჭირა.

როცა ივანიშვილი პრემიერად დაასახელა, მაშინ ის, არც კრიმინალი ყოფილა, არც ოლიგარქი, არც ლებედის გამქაჩველი, არც ელცინის გამქაჩველი, მაშინ არც მკვლელი იყო და არც კორუმპირებული. მერე და მერე გახდა ყველაფერი ერთად და ამქვეყნიური ყველა ცოდვა აჰკიდა. მანამდე სამების ამშენებელი, დიდი ქველმოქმედი და სუფთა კაცი იყო...

ჩვენ ლეიბორისტული პარტიის პოზიციითაც დავინტერესდით. როგორც პარტიაში აგვიხსნეს, მათ გადაწყვიტეს, „ასეთ სიბინძურეებს არ უპასუხონ, რადგანაც ქვეყანაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია, ვიდრე ვიღაცის თავებში მოხარშული სიბინძურეები“.

გიორგი გუგავას განცხადებით, ხელისუფლებას ეშინია ლეიბორისტული პარტიის და ამიტომაც ესხმის მას თავს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბობოხიძეს, მაგალითად, აქვს ბევრად მეტი პიროვნული ინტელექტი, ვიდრე ის გამოხატავს, ისევე როგორც ჯაჭვლიანსა და სხვებსაც“

არჩილ გამზარდია: „შემდეგი პროგრესი იქნება, როდესაც საზოგადოება მშვიდად და უფრო კვალიფიციურად გააკეთებს არჩევანს“

ქეთი ხატიაშვილი

ახალი თაობა პოლიტიკაში, მოლოდინი დიდია, თუმცა კონკრეტული გვარები ჯერ არ ჩანს. როგორც კი გაირკვა, რომ გადაცემა „2030“ იხურება, რომელსაც არჩილ გამზარდია აკეთებდა, ეჭვებიც მაშინვე გაჩნდა – ის პოლიტიკაში მიდის.

პოლიტიკა ქართულად, პრობლემები, ქართული და ევროპული პერსპექტივები. როგორია არჩილ გამზარდიას დამოკიდებულება პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან.

– არჩილ, შენ მიმართ არსებობს კითხვის ნიშნები და დაინტერესება. ვარაუდობენ, რომ მალე პოლიტიკაში ჩაერთვები, ხედავ შენში პოლიტიკოსს?

– ეს შეკითხვები და ინტერესები არსებობს მხოლოდ მედიაში და სხვაგან არც ერთ დონეზე. პირადად მე არავისთან არ მქონია ამ საკითხზე საუბარი. ფიქრით შეიძლება ბევრ რამეზე ვფიქრობ, ისევე როგორც ძალიან ბევრი ჩვენგანი, მაგრამ, როცა დღის წესრიგში მსგავსი არაფერი დგას, რა შეიძლება მომავალში მოხდეს, ამით თავს არ ვიღლი.

ვფიქრობ, პირადად ჩემს პროფესიულ საქმიანობაში ახალ გამოწვევებსა და ახალი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს არ უნდა ველოდო. ამ წუთისათვის მსგავსი მოცემულობა არ გვაქვს. თუ გაჩნდება, მერე ფიქრი ნებისმიერ საკითხზე შეიძლება.

მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ – პედაგოგობა. ვიტყვი, რომ წარმატებით ავითვისე ახალი გადაცემის წარმოების საქმიანობა, მთავარი პროდიუსერით დაწყებული და წამყვანით დასრულებული. ეს დროებითი, მაგრამ ძალიან საინტერესო გამოწვევა იყო. მე ვარ საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის სპეციალისტი, ამიტომაც ამ სპეციალობის ფარგლებში ვმუშაობ და სხვა სიახლე ამ წუთისთვის არც დღის წესრიგში დგას და არც არავის შემოუთავაზებია რამე... თუ გაჩნდება, მერე დავიწყებ ფიქრის.

– პოლიტიკაზე ვსაუბრობთ... შენი აზრით, როგორია პოლიტიკური კულტურა საქართველოში... პრორუსულ ძალებზე არ გკითხავთ, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ პროდასავლელი პოლიტიკოსები, თქვენი აზრით, რამდენად იცავენ და მისდევენ პროდასავლურ ღირებულებებს პოლიტიკური თამაშის დროს?

– პოლიტიკური კულტურა, პრაქტიკულად არ გვაქვს, თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც ამ პოლიტიკური კულტურის კონტექსტში მოიაზრება. ჩვენთან ეგოცენტრისტული მიმართულებები უფრო სჭარბობს. ერთი და ორი ადამიანის პირადი მაღალი კულტურით განპირობებული საქციელი, ზოგადად, პოლიტიკურ კულტურას ვერ შექმნის... რთული მდგომარეობაა. პოლიტიკური კულტურის არარსებობის გამო ჩვენთან სხვადასხვა პარტიების სხვადასხვა წარმომადგენლები ერთმანეთთან ურთიერთობებში სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ხშირად სწირავენ. ამიტომაც ჩვენში პარტიული და პირადი ინტერესები დომინირებს. პოლიტიკური ინტერესებიც კი არა, დღეს მნიშვნელოვანია პირადი ინტერესები – როცა პარტია გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი. ამიტომ გვაქვს არანორმალურად დიდი დინამიკა პარტიების ცვლის, მუდმივად ვხედავთ ყოფილი პარტნიორების დაპირისპირებას.

ახალი თაობის პოლიტიკოსები, ალბათ, პროგრესს შემოიტანენ პოლიტიკაში. სამწუხაროდ, ახალი თაობა დღეს გაიგივებულია რამდენიმე ფსევდოარასამთავრობო ორგანიზაციასთან. თუმცა, პერსპექტივას მაინც ახალ თაობაში ვხედავ...

რაც შეეხება იმას, რამდენად შეესაბამება მათ მიერ დეკლარირებული ღირებულებები მათ საქციელს, დასავლური კულტურა, დასავლური ორიენტირი უპირველესად ნიშნავს სახელმწიფოში იმ სტანდარტებისკენ სწრაფვას, სადაც ადამიანის უფლებები დაცულია, არსებობს მოქმედებისა თუ გამოხატვის სხვა სტანდარტებიც...

წინა ხელისუფლება, მაგალითად, არანორმალურად ატრიალებდა ევროპულ ორიენტაციას, ადამიანის უფლებები პრაქტიკულად არ არსებობდა, პოლიტიკური ოპონირების შესაძლებლობები არ არსებობდა, ბიზნესი მძიმე მდგომარეობაში იყო... ასე რომ, დეკლარირება არ ნიშნავს იმას, რომ შენ ამისკენ მიილტვი.

ჩვენ ხშირად ვბრაზდებით ხოლმე ევროპის მშვიდ და დინჯ რეაქციებზე, გვინდა და ვითხოვთ, რომ ევროპა ისეთივე იმპულსური და მყისიერი იყოს თავის გადაწყვეტილებებში, როგორც ჩვენ. ვხედავთ, რომ ევროპა ძალიან ფრთხილი, მოზომილი და დინჯია, ბოლომდე ცდილობს, პროდუქტიული პოლიტიკა აწარმოოს მათთვის არასასურველ პარტნიორებთანაც კი.

ახლა ხელისუფლება მუშაობს ასოცირების ხელშეკრულების იმპლიმენტაციაზე, ადამიანის უფლებები მეტად დაცულია, პოლიტიკური ოპონირება მეტად უსაფრთხო და დაცული. სახელმწიფო უფრო ფრთხილი და მოზომილია – ნაკლებად საშიშია პარტნიორებისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კონტექსტში, ბუნებრივია, მთავრობა ცდილობს რეალურ დასავლურ ორიენტირზე ტრიალს და ეს ფაქტობრივი მოცემულობაა.

თუმცა, სახელმწიფოსა თუ კერძო სექტორში, ასევე საზოგადოებასა თუ სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებში, არასაკმარისი პროგრესული ადამიანების და სხვა ბევრი ფაქტორის გამოც ეს პროცესი ფერხდება და სასურველ ეფექტს ვერ ვიღებთ.

„დღეს მნიშვნელოვანია პირადი ინტერესები – როცა პარტია გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი“

– პარლამენტში კოალიცია „ქართული ოცნების“ მხრიდან ზოგიერთ შემთხვევაში რადიკალური და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები კეთდება. ამაზე რას იტყვით?

– სრულიად ვუერთდები იმ ადამიანებს, ვინც ამას კატეგორიულად გმობს. ჩვენ, სამწუხაროდ, ორმხრივ პროცესში ვართ, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ნევრი გამოდის და იგინება, მეორე წევრი ჟარგონს მიმართავს, სა-
პასუხოდ მმართველი ძალიდან
ვიღაც გამოდის და, ასევე,
იმპულსურობითა და არაა-
დეკვატურობით პასუხო-
ბს. არადა, ამ ადამიანებს
ბევრად მეტი შინაგანი
ინტელექტი აქვთ. ბო-
ბოხიძესაც, მაგალი-
თად, აქვს ბევრად მეტი
პიროვნული ინტელე-
ქტი, ვიდრე ის გამო-
ხატავს, ისევე როგორც
ჯაჭვლიანსა და სხვებს-
აც. თუმცა, ალბათ, იმ-
იტომ რომ ჩვენი ქცევები
ჯეროვნად არ ფასდება და
არ ვზარალდებით, იმპულსურ
ქმედებებს უფრო ვთანხმდებით,
ვიდრე გონიერებას.

რაც შეეხება გადახალისებას, საერთოდ, პოლიტიკური სპექტრი კრიზისის მდგომარეობაშია. ადამიანური რესურსის ნაკლებობაა და არ იციან, რა შესთავაზონ საზოგადოებას, ამიტომ არის არჩევნებზე დღითი დღე უფრო მცირე აქტივობა.

მმართველმა ძალამ გარკვეული ეტაპი დაასრულა, ამ ადამიანებმა, ვის ქცევებსაც კრიტიკულად ვაფასებთ, ერთი ომი წინა ხელისუფლების დროს გადაიტანეს, თავიანთი ფუნქცია შეასრულეს, ზოგში რესურსი კიდევ არსებობს. მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ შემადგენლობა უნდა გადახალისდეს, მეტი ინტელექტუალი, მეტი პროფესიონალი... ისინი, ვინც სპეციალიზდებიან სხვადასხვა დარგში და არ არიან ამორფული ტიპები და, ზოგადად, ცნობილი სახები.

ჩვენ ყოველთვის გვიჭირს ახალ ეტაპზე გადასვლა. ეს ახალი ეტაპის პრეცედენტი მინდა შეიქმნას.

მიმდინარე წლებში შეიქმნა ერთი უნიკალური ამბავი – ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით, ეს არ გვახასიათებდა. ეს პროგრესი აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს და ჩვენ ახლა კიდევ უფრო წინ უნდა წავიდეთ... შემდეგი პროგრესი იქნება, როდესაც საზოგადოება მშვიდად და უფრო კვალიფიციურად გააკეთებს არჩევანს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია გეგუჩაძე - ვისთვისაც მარცხი მისაღებია, ის ფეხბურთელი

„იმის მტკიცება, რომ ქართული ფეხბურთი წინ მიიწევს, ნონსენსია“

„სხვადასხვა მიზეზებია და ამის დაკონკრეტება, შიდა საგზარეულოა“

მაგდა კლდიაშვილი

თბილისის „დინამო“ გია გეგუჩაძემ ჯერ ორი თვეც არაა, რაც ჩაიბარა. გუნდის შემადგენლობა გადახალისდა, იყო შეკრებაც, თუმცა, ყაზახეთის შემდეგ, ქვეყნის საფეხბურთო ფლაგმანი, ამჯერად აზერბაიჯანულ „გაბალასთან“ გამოვარდა. ვის აბრალებს გეგუჩაძე მარცხს და რას ფიქრობს ფეხბურთელებზე, რომლებიც წაგებული თამაშის შემდეგ გასართობად მიდიან. „პრაიმტაიმი“ გია გეგუჩაძეს ესაუბრა.

- ორი თამაშის ჯამში, რა დააკლდა „დინამოს“ გაბალასთან მატჩში?

- ჩვენ რომ ბოლომდე გულახდილები და ობიექტურები ვიყოთ, ალბათ, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ მარცხი. შეიძლება ბევრი მიზეზი იყოს, თუ რატომ, რისთვის განვიცადეთ ეს მარცხი და გამოვვარდით. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მსაჯს დავაბრალო. კაცნაკლული როდესაც ხარ, ეს უდიდესი უპირატესობაა. ორ თამაშზე კაცნაკლული ამთავრებ თამაშს, ეს თამაშის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ნამდვილად არ იყო გადამწყვეტი. ვფიქრობ, მაინც უნდა გადაგველახა, გაგვევლო ეს ბარიერი. ამის ძალა შეგვწევდა. ბევრი რაღაცაა, იგივე შეუთამაშებლობა, გუნდი არ იყო სათანადოდ ფიზიკურად და ტაქტიკურად მომზადებილი. იყო ეს მომენტები, მაგრამ არ ვარ იმ აზრზე, რომ ამას დავაბრალო გამოვარდნა.

- თუმცა „დინამო“ არ იყო ერთადერთი გუნდი, რომლის ფეხბურთელებმაც წითელი ბარათები მიიღეს. ყველა ქართულმა გუნდმა თავისი თამაშები კაცნაკლულებმა დაასრულეს, მენტალიტეტში გვაქვს პრობლემა?

- მენტალიტეტი ერთი პრობლემაა. მეორე - ისევ უნდა დავუბრუნდეთ ეროვნული ჩემპიონატის დონეს. ევროპაზე გაზრდილია სისწრაფეები, აბსოლუტურად სხვა გარემოა და გიწევს შეჩვევა. შეუჩვეველია ფეხბურთელი არ არის იმ სისწრაფეებზე, ალბათ, კონცენტრაციაც მართებს, სხარტი და გონიერი უნდა იყოს. ეს არის ჩვენი ფეხბურთელების პრობლემა.

- თქვენს გუნდში ყველაზე სუსტ რგოლად მეკარე გამოიყურება, დაცვაც არასაიმედოდ ირჯება. მათი თამაშით კმაყოფილი ხართ?

- გუნდში არის პრობლემები. ამას ვხედავ და არ გავურბივარ. ეს არის მზარდი გუნდი, რომელიც კიდევ გაიზრდება და გაცილებით უკეთ ათამაშდება. ჩვენ არ ვამბობთ უარს სელექციაზე. ამ მხრივ, მიმდინარეობს მუშაობა. უახლოეს მომავალში, ბევრი რამ, შეიძლება სულ სხვაგვარად წარმოვაჩინოთ. კონკრეტულად, ვერ დავაბრალებ ვერც მეკარეს, ვერც დაცვის ხაზს აგებს მთლიანად გუნდი და მთლიანი პასუხისმგებლობა მთავარ მწვრთნელზეა.

- სამი ქართული კლუბი უკვე გამოეთიშა ევროასპარეზობას. ამ წაგებული თამაშების შემდეგ, ბევრმა მათგანმა, მათ შორის, თქვენმა ფეხბურთელებმაც, სოციალურ ქსელებში ატვირთეს გართობის ფოტოები, რა ხდება, სინანულის და სირცხვილის განცდა დაიკარგა, ეს მისაღებია?

- არ არის ნამდვილად მისაღები. ფეხბურთელი თუ მომავალზე ფიქრობს და თუ აქვს იმის განცდა, რომ ფეხბურთი ითამაშოს, უნდა განიცადოს, უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ იმისთვის თამაშობს, რომ გაიზარდოს. ევროპული დონის თამაშები არც ისე ხშირად ტარდება. მარცხი უნდა იყოს მიუღებელი, ვისთვისაც მარცხი მისაღებია, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ის ფეხბურთელი ვერასდროს ვერ გაიზრდება.

- როდესაც შარშან დინამო ყაზახურ „აქტობესთან“ გამოვარდა, კლუბის მფლობელმა ახალი მწვრთნელი პოსტიდან დაითხოვა, თქვენ გქონდათ საუბარი რომან ფიფიასთან?

- როცა კონტრაქტზე ხელს ვაწერდი, ჩვენ განვაცხადეთ, რა იყო ჩვენი მიზანი. ამ ეტაპზე, აქცენტი ევროპულ ასპარეზზე არ გაგვიკეთებია. ვთვლი, რომ კლუბის ხელმძღვანელი გაგებით მოეკიდა. შეუძლებელია, ერთ თვეში იმ დონემდე მიხვიდე, რომ აშკარა იყოს შენი პრეტენზიები და გარკვეული ეტაპების გავლა. ახლა, ჩვენ, ყველანი გაგებით ვხვდებით ამას. ვხვდებით, რომ უდიდესი სამუშაო იქნება გასაწევი. როგორ ვთქვა, რომ მისაღებია დღეს ეს, დღეს ჩვენ თვალები დავხუჭეთ, მაგრამ ხვალ უკვე მიუღებელი იქნება პირადად ჩემთვისაც.

- როდესაც გაირკვა, რომ „გაბალა“ „დინამოს“ ხვდებოდა, კლუბის სპორტულმა დირექტორმა, ლევან ზუხბაიამ გააკეთა განცხადება, რომ ქართული კლუბები იმიტომ ვარდებიან აზერბაიჯანულ გუნდებთან, რომ ისინი არ შეხვედრიან თბილისის „დინამოს“. „დინამომაც“ წააგო და გამოვარდა გათამაშებიდან, უპასუხისმგებლო არ იყო ეს განცხადება?

- ჩვენთან ასე აეწყო, აზერბაიჯანულ კლუბებს ვხვდებით. მანანდე პერიოდი გვქონდა, რომ ყაზახურ გუნდებს ვხვდებოდით და ვარდებოდნენ ქართული გუნდები. კითხვაც დამისვით პრესკონფერენციაზე, რა გვჭირს აზერბაიჯანელებთან. მანამდე ქუთაისის „ტორპედოში“ მქონდა თამაში ყაზახებთან. რატომ გვიჭირს ყაზახებთან, რატომ ვერ მივდივართ ევროპულ გუნდებთან საასპარეზოდ, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის რეიტინგი დაბალია. გაგვასწრეს ამ ქვეყნებმა ფეხბურთის განვითარებაში. იმის მტკიცება, რომ ქართული ფეხბურთი წინ მიიწევს, ნონსენსია. ამდენად, აზერბაიჯანულ კლუბებთანაც გვიჭირს. მეორე მხარეც აქვს ამას. მაგალითისთვის, გამოვდივარ მე, მთავარი მწვრთნელი და ვამბობ, რომ ჩვენ აზერბაიჯანულ გუნდთან ვითამაშებთ, მაგრამ უპირატესობა აშკარად მათ მხარესაა. ჩემი ფეხბურთელი როგორ განეწყობა ამ თამაშისთვის? ასევეა კლუბის ხელმძღვანელობაც. თუ კლუბის ხელმძღვანელობა იმთავითვე იტყვის, რომ ფავორიტებად მოწინააღმდეგეს მიიჩნევს, ფეხბურთელს ვერ განაწყობ საბრძოლველად.

- გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებსაც ბოლო პერიოდში თამაში მოუწიათ საქართველოში, ამბობენ, რომ ბოლო 6 თვეში, კიდევ უკან წავიდა ქართული ფეხბურთი, თქვენ წლებია მუშაობთ,

„იმ ნიჭიერებიდან, რომელიც ჩვენშია, სამწუხაროა, რომ წლების შემდეგ ასეთ შედეგს ვიღებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

) ვერასდროს გაიზრდება

„დინამოს“ ინფრასტრქუტურა და ყველანაირი პირობა აქვს, რაშია პრობლემის არსი?

- აქ გადასარევი პირობებია, მაგრამ გუნდი, რომელიც ასპარეზობს ეროვნულ ჩემპიონატში და, ფაქტობრივად, მზადებას გადის აქ, მზადების ყველაზე მაღალი ფორმა კი თამაშია, ვერც ვარჯიშს შეცვლი და ვერ მიაღებინებ იმაზე მეტ დატვირთვას, რომელსაც ეს ფეხბურთელი თამაშისას იღებს. ჩვენი ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა და აქ ემზადები იმ თამაშებისთვის.

- არის თუ არა პრობლემა ის, რომ ფეხბურთელებს არ აქვთ საფეხბურთო განათლება, ზოგადად, განათლებას რომ თავი დავანებოთ?

- გეთანხებით. ერთ რამესაც გეტყვით, არის ნიჭიერება. არც მოველოდი, ისე სწრაფად აითვისეს ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები. ეს არ არის სრულყოფილი, შორს ვართ სრულყოფისგან, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში, ამ შედეგსაც არ ველოდი. ეს იმას მიუთითებს, რომ ამის ნიჭი გვაქვს, რომ მალე ავითვისოთ, მივიღოთ. ბავშვთა ფეხბურთში არსებული პრობლემები მოსდევთ. მზარდი ორგანიზმი, ფიზიკურადაც უნდა ვითარდებოდეს, რასაც ველარ ვშველით. იმ ნიჭიერებიდან, რომელიც ჩვენშია, სამწუხაროა, რომ წლების შემდეგ ასეთ შედეგს ვიღებთ, ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემების გამო.

- ამ გადასახედიდან, გამართლებული იყო თუ არა 16 გუნდიანი ჩემპიონატი?

- ჩემი აზრი ნათელია. არაერთხელ დამიფიქსირებია. 16 გუნდი არ არის მისაღები დღეს ჩვენი ჩემპიონატისთვის, თორემ ხვალ და ზეგ შეიძლება დადგეს ეს საკითხი. თუნდაც იმიტომ, რომ არ არიან კადრები. კადრებში მხოლოდ ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ. არის ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემები. რომ ვიძახი, ჩვენი ჩემპიონატის დონე დაბალია-მეთქი, სწორედ ეს არის. გაცილებით უკეთესი ჩემპიონატი შეიძლება გვქონდეს ათი გუნდით. დაძაბულობა ათგუნდიანშიც იქნებოდა, ხარისხს კი უფრო მაღალს მივიღებდით. უკეთესი კადრების გადანაწილება მოხდებოდა გუნდებში და შედეგს მივიღებდით უკეთესს. არავის წინააღმდეგი არ ვარ, უბრალოდ, ვაფიქსირებ ამას.

- სელექცია ახსენეთ, რა პოზიციებზე გეგმავთ გაძლიერებას, თავდასხმაში იქნებით იაშვილი-ქვილითაიას იმედზე?

- ვოლკოვი და არაბულიც გვყავს. უბრალოდ, მოსამზადებლები არიან და მათი იმედიც მაქვს. არ დაგიმალავთ, ვფიქრობ გაძლიერებაზე.

- იყვნენ თუ არა ისეთი ფეხბურთელები, რომელთა მოყვანაც გინდოდათ გუნდში და ფინანსური საკითხების გამო ვერ დააკმაყოფილეთ?

- ვერ ვიტყვი, რომ ფინანსური პრობლემების გამო. ბევრი ფეხბურთელი განიხილებოდა, გვქონდა საუბრები, შეხვედრები, ბევრი ჩვენთვის სასურველი ტრანსფერი არ შედგა, მაგრამ არა იმის გამო, რომ ფინანსური პრობლემები იყო. სხვადასხვა მიზეზებია და ამის დაკონკრეტება, შიდა საქმეა.

- ალექსანდრე იაშვილზე მინდა გკითხოთ, ის გარკვეული პერიოდი წასული იყო ფეხბურთიდან, შემდეგ დაბრუნდა, თქვენ ის „დინამოში“ მიიყვანეთ, როგორია მასთან მუშაობა?

- ძალიან კარგია მასთან მუშაობა. ნამდვილი პროფესიონალია, თქმაც არ სჭირდება არაფრის, ისე გულით და სულით ეკიდება საქმეს. ვთვლი, რომ ჩვენ, მისი გუნდში მოწვევით, ძალიან კარგი ნაბიჯით გადავდით. სუფთა საფეხბურთო კუთხით, ეს ერთი მხარე, მეორე - ადამიანური და მესამე, მგონია, რომ იაშვილს ძალიან დიდი დამსახურება აქვს ამ კლუბში. საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ მისი გაცილება, ვფიქრობ, აქედან უნდა მოხდეს.

- რისთვის იბრძოლებს გუნდი ახალ სეზონში, ეს მხოლოდ ჩემპიონობა იქნება?

- რა თქმა უნდა! სხვა მიზანი არ მგონია, მისაღები იყოს. ეს არის ჩემპიონობა და თასის აღება.

- მინდა გკითხოთ „ზესტაფონზეც“. თავის დროზე, როცა ილია კოკაიამ ევროსარბიელის შემდეგ ყველა ფეხბურთი გაუშვა, თქვენი დარჩენა რამ განაპირობა?

- იცით რა არის? ეს უფრო ჰგავდა გუნდის შენარჩუნების, არდაშლის მცდელობას, იმიტომ, რომ ტენდენციები უკვე მოჩანდა ქართული ფეხბურთის, საით ვითარდებოდა. მფლობელის მდგომარეობაში ყველანაირად შევდივარ. ჩვენ შორის საუბარი რომ შედგა, ვთქვით, შევხედოთ, ნახევარი წელი, რა იქნება, როგორ და როგორ იქნება. ამის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილება. ეს იყო მიზეზი.

„იაშვილს ძალიან დიდი დამსახურება აქვს ამ კლუბში. საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ მისი გაცილება, ვფიქრობ, აქედან უნდა მოხდეს“

ალექსი ახვლედიანი - როდესაც ამ თანამდებობას დავთანხმდი, ამისთვისაც მზად ვიყავი

მაგდა კლდიაშვილი

ოლიმპიური ცეცხლი უკვე თბილისშია. ცეცხლის შემოსვლის ღონისძიება დედაქალაქში კონცერტით დასრულდა და მასში მონაწილეობა მთავრობის მეთაურმაც მიიღო. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ოლიმპიურ ცეცხლს 26 ივლისს მიაბრძანებენ, სადაც შეკრებილ ადამიანებს გრანდიოზული სანახაობა ელით. გახსნის ღონისძიებისთვის მზადება უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს სტადიონზე. თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება ბოლო ეტაპზეა, დედაქალაქში 10 ათასამდე სტუმარს ელოდებიან. „პრაიმტაიმის“ კითხვებს „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ალექსი ახვლედიანი პასუხობს.

- რა ეტაპზეა ოლიმპიური თამაშების სამზადისი?

- შეიძლება ითქვას, რომ მოსამზადებელი სამუშაოები აღარ მიმდინარეობს. უკვე გადასულები ვართ მოლოდინის რეჟიმში. ობიექტების გახსნა ოფიციალურად ახლა იყო, თორემ უკვე დიდი ხანია დასრულებულია ყველაფერი. 20 ივლისს ოფიციალურად გავხსნით ოლიმპიურ სოფელს. ბოლო ინფრასტრუქტურული ობიექტი, რომელიც 23 ივლისს გაიხსნება, ჩოგბურთის კორტებია. იქაც ყველაფერი დასრულებულია.

- ყველაზე მეტი აჟიოტაჟი ხელბურთის სპორტის სასახლესთან დაკავშირებით მიდიოდა, როგორ დასრულდა ეს ყველაფერი?

- ყველა დამეთანხმება, ალბათ, რომ რა პირობებიც საორგანიზაციო კომიტეტმა დადო, ასი პროცენტით შესრულებულია. 10 რიცხვიდან, ჩვენთან ერთად ევროპელი დამკვირვებლები მუშაობენ და მათაც აღნიშნეს, რომ ყველაფერი ევროპული სტანდარტებით არის შესრულებული, რაც სასიხარულოა.

- ანუ ყველა ის ობიექტი, რაც აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, უმაღლესი ხარისხისაა?

- კი, ბატონო. პროექტი მანამდეც იყო შეთანხმებული ევროპის შესაბამისი ფედერაციების ტექნიკურ დელეგატებთან. ყველამ გაიარა სერტიფიცირება. ასე რომ, მოლოდინის რეჟიმში ვართ, რათა შევასრულოთ ჩვენი ბოლო დაპირება და ეს არის აღიარება, რომ 2 აგვისტოს ეს ოლიმპიური თამაშები ყველამ ერთხმად აღიაროს.

- შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული თამაშების დასრულების შემდეგ, საქართველოს გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა ექნება?

- რა თქმა უნდა. როგორც მინიმუმ, 9 სახეობაში გვექნება გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა, ნებისმიერი რანგის ღონისძიებისთვის და არამარტო ინფრასტრუქტურა, ინვენტარი, ელექტრონული აღჭურვილობები და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება, მსოფლიო რუკაზე აბსოლუტურად სხვა სტატუსს მოგვცემს, რასაც ჰქვია ფართომასშტაბიანი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩამტარებელი ქვეყანა. ეს მარტო სპორტისთვის არ არის, ეს შეიძლება იყოს გამოყენებული ხელოვნებისთვის და სხვადასხვა მიმართულებებით. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ შეგვიძლია, ათი ათასობით ადამიანის მიღება და გამასპინძლება, მსგავსი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

- რა დაუჯდა სახელმწიფოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება?

- მთლიანად დაჯდა 63 მილიონი. აქედან, საორგანიზაციო ხარჯებია 11 მილიონი, დანარჩენი კი ინფრასტრუქტურულ პროექტებშია ჩადებული.

- სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობა რამდენად დიდია?

- შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც არის ჩვენი უშუალო კოორდინატორი და ხელმძღვანელი. კომისიას პრემიერი ხელმძღვანელობს და მინდა, გითხრათ, რომ დღეში 10 სატელეფონი საუბარი მაინც გვაქვს მასთან, იმ დონეზეა ჩართული და გარკვეული ყველა საკითხში.

- აეროპორტი მზადაა მიიღოს ამდენი სტუმარი?

- გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ ჩამოსაფრენ და გამოსასვლელ დარბაზში. მიემატა გასასვლელები, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ კუთხით, არანაირი პრობლემა არ იქნება.

- როდესაც ქვეყანაში ასეთი ივენთი ტარდება, მიახლოებით ითვლიან, რა შემოსავალს მოუტანს ეს ქვეყანას, თქვენ გაქვთ ეს მიახლოებითი ციფრი?

- ის, რომ მხოლოდ ერთი უბანი „ახალი თბილისი“ დედაქალაქს 3-4-ჯერ მეტს მოუტანს, რაც ჩაიდო, ამის მომსწრე ყველანი ვიქნებით. ეს არ არის უბრალოდ ოპტიმისტური გათვლა. ეს რეალობაზეა დაფუძნებული. იმიტომ, რომ აუქციონი ჩატარდა და ერთი კვადრატულის ფასმა 15 დოლარით აიწია. დარწმუნებული ვარ, ეს გაორმაგდება. საკმაოდ დიდი იქნება ის ეფექტი, რასაც ველოდებით ამ ღონისძიებისგან.

- რამდენი სპორტსმენით იქნება საქართველოს ოლიმპიურ ფესტივალზე წარმოდგენილი?

- საქართველოს ყველა სახეობაში ჰყავს წარმომადგენელი. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა 200 კაციანია და პროგნოზი ისეთია, რომ წესით, ეს ყველაზე უხვმედლიანი და მაღალი სინჯების ოლიმპიური ფესტივალი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

- მიხეილ მესხზე უკვე მონტაჟდება კონსტრუქციები, ერთ-ერთი მათგანი გემია. რა დანიშნულება ექნება მას და როგორი იქნება გახსნის ცერემონიალი?

- გემი ნამდვილად იქნება, სხვა კონსტრუქციებიც. დეტალების გამხელის უფლება არ მაქვს. როგორც შევპირდით, გულშემატკივრებსა და თანამოქალაქეებს, ბევრი სიურპრიზი იქნება. ბევრ ისეთ რამეს ნახავთ, რომელიც საქართველოში არასდროს ყოფილა. ერთ-ერთი პირველი ხატვის მექანიზმებია. გახსნა შთამბეჭდავი იქნება.

- საორგანიზაციო კომიტეტს ბრალდებები წაუყენეს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კომპანიასთან 6 მილიონიანი ტენდერი გაფორმდა, თქვენი სახელი დაუკავშირეს ჯანყარაშვილსა და ჩხარტიშვილსაც, იყავით პროკურატურაში დაბარებული?

- არ მეგულება ისეთი გამჭვირვალე ორგანიზაცია, როგორიც ჩვენია. არ არსებობს კითხვა, რომელზეც პასუხი არ გვქონდეს გაცემული. მეორე ბრალდებას რაც შეეხება, სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დავიბადე და გავიზარდე, აქტიურ სამსახურებში ვმუშაობდი, არ ვიცნობ ჯანყარაშვილს და არასდროს შევხვედრივარ მას. ჩემთვის ეს გასაკვირი და აბსურდია. რაც შეეხება ტენდერებს, კონკურსებს, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. 3 აგვისტოდან ლიკვიდაციის რეჟიმში გადავდივართ, რაც იმას ნიშნავს, რომ აუდიტის სამსახური შემოვა. შეამოწმონ თითოეული ხარჯი, მათი მიზნობრიობა. ჩემმა შვილმა დამირეკა უცხოეთიდან, სკანდალი, ალექსი ახვლედიანი პროკურატურაში დაიბარესო. რა პრობლემაა. აქამდე არავის დავუბარებივარ. მთავარია, ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. ყველა, რაღაცნაირად მიეჩვია უსაფუძვლო ბრალდებებს. როცა ანგრევ, არავინ გეკითხება, შენება თუ დაიწყე, უზარმაზარი ტალახის სროლას იწყებენ. როცა დავთანხმდი ამ თანამდებობას, ამისთვისაც მზად ვიყავი, დღესაც მზად ვარ და ხვალაც ვიქნები. პროკურატურაში დაბარება რა პრობლემაა, მით უმეტეს, ნახევარი ცხოვრება ამ უწყებაში მაქვს გატარებული, როგორც თანამშრომელს. არ გამიჭირდება კითხვებზე პასუხების გაცემა. დღემდე, თუ რამე კითხვა დაისვა, შევეცადეთ, გვეპასუხა ყველაფერზე. ვერაფერი დაიმალება. ლიკვიდაციის რეჟიმში შემოწმდება ყველაფერი და დაიდება დასკვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE სკანდალი

„რაც არ უნდა მომგებიანი იყოს, ვერ ვიმღერებ რუსულ სიმღერას. არც ვიცი და არც მომწონს“

„ვიღაც ახლოს იყო იქაურ სტაფთან, ვიღაც - არა. ვიდეოებიდან ქართველი მაყურებელი თავად შეაფასებს ვინ იმსახურებდა ფინალურ ეტაპზე ყოფნას და ვინ - არა“

my View
ნინო მჭედლიშვილი

შვიდ ივლისს უკრაინიდან საქართველოში დაბრუნდა ქართველი შემსრულებლების ჯგუფი, რომლებმაც უკრაინულ „იქს ფაქტორში“ მიიღეს მონაწილეობა. პროექტის რამდენმე ტური გადაცემის მესვეურებმა წინასწარ ჩაწერეს. ახლა დარჩენილია ლაივ კონცერტები, რომლისთვისაც მომღერლები უკრაინაში ოქტომბრის დასაწყისში ჩავლენ. ოთხი მენტორის ყველა სამეულს ქართველი კონკურსანტი ჰყავს. ჯგუფებში ბრძოლას განაგრძობს „სპარკლი“, ბიჭებში ბესო ნემსაძე, გოგონებში, ნინი ნუცუბიძე და თათია კობალაძე და 25 წელს ზევით კატეგორიაში ქრისტინე მარტიაშვილი.

საქართველოში დაბრუნებული კონკურსანტები ცუდ საცხოვრებელ პირობებზე, მძიმე სამუშაო რეჟიმსა და ე.წ. „ჩაწყობებზე“ ალაპარაკდნენ. ჩვენ რამდენიმე მათგანი ჩავწერეთ.

ქრისტინე მარტიაშვილი:

- ბოლო 7 წელია, რაც სიმღერა დავიწყე. მანამდე არ მჯეროდა საკუთარი შესაძლებლობების. ხალხის სიყვარული და სიმპათია რომ ვიგრძენი, გავთამამდი. თავიდან ბარებში ვმღეროდი, რესტორნებში, ქორწილებში, კორპორატიულ საღამოებზე. მერე „ახალ ხმაში“ ვცადე ბედი. ლელა წურწუმიას გუნდში მოვხვდი. რინგიდან გამოვეთიშე პროექტს და ამის მერე კონკურსში მონაწილეობის სურვილი აღარ გამჩენია. ემოციურად ვუდგები ყველაფერს, კონკურსები ცუდ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს ჩემზე. ძალიან ვნერვიულობ სცენაზე და „ახალი ხმის“ ჩემი გამოსვლებით თავადაც არ ვიყავი კმაყოფილი.

- ამის მიუხედავად, გადაწყვიტე მონაწილეობა მიგეღო უკრაინულ „იქს ფაქტორში“. რატომ?

- მეგობარმა მითხრა, რომ საქართველოში პრეკასტინგი ტარდებოდა უკრაინული „იქს ფაქტორისთვის“. ზუსტად ნახევარი საათი იყო დარჩენილი შესარჩევი ტურის დასრულებამდე, რომ მივედი. ძალიან ბევრი ჩემი ნაცნობი, მეგობარი იყო კასტინგზე, რომლებსაც მერე აღარ დაურეკეს და ძალიან გამიკვირდა.

- მაგალითად?

- მეგი ბეჟუაშვილი, ედვარდ ტატიანი და ა.შ... საქართველოდან დაახლოებით 20-30 მონაწილე წაგვიყვანეს. აქედან შემდეგ სამეულებში გადავიდნენ, ჯგუფი „სპარკლი“ (ჯგუფებში), ბესო ნემსაძე (ოთო ნემსაძის ძმა, ბიჭების კატეგორიაში), ნინი ნუცუბიძე და თათია კობალაძე (გოგოების კატეგორიაში) და მე, 25 წელს ზემოთ კატეგორიაში. ძალიან რთული კონკურსი ყოფილა, ამ დონის კონკურენციას მართლა არ ველოდი. დრო ცოტა გვქონდა. ექვსი ღამიდან მთლიანად 10 საათი გვეძინა. ასეთი არჩევანი გვქონდა, ან დაგვეძინა, ან სიმღერა გვესწავლა ერთ ღამეში, რომელიც მეორე დღეს კონკურსზე უნდა გაგვეტანა. ბევრი ისეთი სიმღერა იყო, რომელიც საერთოდ პირველად მოვისმინეთ.

- როგორ პირობებში გიწევდათ ცხოვრება?

- ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ვიყავით, ძალიან კარგ პირობებში. 200 კაცი ერთ სასტუმროში დამეთანხმებით ცოტა რთულია. კვებასთან დაკავშირებით იყო პრობლემები, ამდენი ადამიანის გემოვნება ერთმანეთს, ბუნებრივია, ვერ დაემთხვევა. არც მე მომწონდა კონკრეტული კერძები, მაგრამ უნდა მეჭამა, რომ ენერგიაზე ვყოფილიყავი. უძილობა და თან უჭმელობა ერთად ბოლოს მომიღებდა. გათვალისწინებული იყო ვეგეტარიანელი მონაწილეების კვებაც. თუმცა იყო მომენტები, როცა ვერ ვჭამდი მათ საკვებს და მაღაზიაში ვყიდულობდი.

- რაღაც ბანაკზე და საშინელ პირობებზე საუბრობდნენ ქართველი კონკურსანტები...

- ბანაკს ეძახდნენ, თორემ, ვიმეორებ, ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო იყო, ჰიგიენის ნორმების სრული დაცვით. ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ. ამ შედეგისთვის კიდევ გავიმეორებდი იმ 6 დღეს. მართალია ძალიან დავიღალე, მივიღე ფსიქოლოგიური სტრესი, ვიტირე კიდეც, მაგრამ ძალიან დიდი გამოცდილება იყო ეს ჩემთვის.

- რატომ იტირე, რა იყო ყველაზე რთული?

- არ ვიცოდი სიმღერები, რომელიც 2 საათში უნდა გამეტანა სცენაზე, ვნერვიულობდი, მოვასწრებდი თუ არა. მარტოდ ვგრძნობდი თავს, მოწყვეტილი ოჯახს, მეგობრებს...

- მართალია, რომ ძირითადად რუსულენოვან სიმღერებს გთავაზობდნენ?

- ნახევარი ინგლისური იყო, ნახევარი - რუსული. უკრაინელი კონკურსანტი მეტი იყო, ეს ბუნებრივიცაა. ერთი-ორი ქართული სიმღერაც ჩაგვისვეს, ნინო ქათამაძის რეპერტუარიდან.

- როგორც ვხვდები, კონკურსი ჯერ არ დამთავრებულა.

- არა, დამთავრდა მხოლოდ ჩაწერები. ეს ვიდეოები რომ გავა ეთერში, დაიწყება ლაივები.

- ქრისტინე, შენმა კოლეგებმა, ქართველმა კონკურსანტებმა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ინტერვიუებში არ გახსენეს, როგორ გგონია, რატომ?

- ალბათ, არ არ ასეთი ბდა, ქრისტინესავით უნდა მოიქცე, ხალხი ხინკალზე დაპატიჟო, გაუშინაურდე და ყველაფერი კარგად იქნებაო. ხინკლით თუ წყდება ამხელა კონკურსების ბედი, არ დაინანოთ ხალხო ფული (იცინის).

- ხინკალფართი უკრაინაში მოაწყვეთ?

- ჰო, ერთ-ერთ უკრაინელ, კონკურსის ადმინისტრატორ გოგოს, ჯერ კიდევ საქართველოდან, სოციალური ქსელით, ტელეფონით დავუმეგობრდი. იმდენდ ხშირად გვირეკავდა ყველას... ეს მეგობრობა გამოიყენეს ბოროტად, თორემ მას არაფერი შეეძლო. მიხარია, თუ ვინმეს ჰგონია, ისეთი მაგარი ვარ, რომ უკრაინულ „იქს ფაქტორს“ ვაწყობ.

გიორგი ჩიქოვანი:

- დაახლოებით 16 კაცი წავედით საქართველოდან პრექასტინგის შედეგად უკრაინულ „იქს ფაქტორში“. პირობები ნორმალური იყო, საკვები არ მოგვეწონა. მე უფრო კონკურსის სირთულეს გავუსვამ ხაზს. დასვენების დრო არც გვქონდა, ამდენად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორ ნომერში ვიცხოვრებდით.

- რა იყო მთავარი სირთულე?

- ტურები, რომელიც გავიარე. ერთ ტურში ისეთი სიმღერა შემხვდა, რომელიც მოსმენილიც კი არ მქონდა. მოსამზადებლად 2 საათი მქონდა. მელოდიის დამახსოვრება მოვახერხე და ტექსტის სადგამი მოვითხოვე, რომ წამეკითხა. მესამე ტურში თავად უნდა აგვერჩია სიმღერა. 10-12 ინგლისურენოვანი სიმღერა იყო, დანარჩენი უკრაინული და რუსული. იმ ათიდანაც 1-2 ვიცოდი მარტო. კლავიშთან უნდა შეგვესრულებინა მესამე ტურის სიმღერა. ეს ტურიც დავძლიე. მაგრამ სკამების ტურში ვერ გავედი. იქ ქართული „იქს ფაქტორისგან“ განსხვავებით 3 სკამია. ბოლო გამომსვლელის გამო ამაყენეს სკამიდან.

- შენ თიმში იყო ვინმე ქართველი?

- კი, ქრისტინე მარტიაშვილი.

- რომელიც აქამდე არც ერთ ინტერვიუში არ გიხსენებია.

- არავის უკითხავს. ვასახელებ იმ ადამიანს, ვინც ჩემ მაგივრად დასვეს სკამზე. გოგონებს ნაკლებად აღვიქვამდი კონკურენტებად. ქრისტინემაც და იმ ბიჭმაც, რომელიც ჩემ მაგივრად დასვეს სკამზე, რუსულენოვანი სიმღერები შეასრულეს.

- ხომ არ ფიქრობ, რომ ეს მომგებიანია უკრაინული „იქს ფაქტორისთვის“.

- ნაწილობრივ არის, მაგრამ რაც არ უნდა მომგებიანი იყოს, ვერ ვიმღერებ რუსულ სიმღერას. არც ვიცი და არც მომწონს.

- ქრისტინემ ჩემთან ინტერვიუში თქვა, რომ ერთ-ერთმა ქართველმა კონკურსანტმა, მას პროექტის ჩაწყობა დააბრალა... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შენ სწორედ მის გუნდში იყავი, თავისთავად ჩნდება კითხვა, ხომ არ იყავი ის ერთ-ერთი ქართველი მონაწილე შენ?

- არ ვიცი ვის გულისხმობს ქრისტინე, თუ მე მგულისხმობს, ძალიან ცდება. ასეთი რამ რომ მეთქვა, ახლაც გავიმეორებდი. გავა ვიდეოები ეთერში და ხალხი გადაწყვეტს, ვინ იყო ფინალის ღირსი და ვინ - არა.

- ხომ არ ნანობ პროექტში მონაწილეობას?

„ექვსი ღამიდან მთლიანად 10 საათი გვეძინა. ასეთი არჩევანი გვქონდა, ან უნდა დაგვეძინა, ან სიმღერა გვესწავლა ერთ ღამეში, რომელიც მეორე დღეს კონკურსზე უნდა გაგვეტანა“

„არც მე მომწონდა კონკრეტული კერძები, მაგრამ უნდა მეჭამა, რომ ენერგიაზე ვყოფილიყავი. უძილობა და თან უჭმელობა ერთად ბოლოს მომიღებდა“

„ძალიან დავიღალე, მივიღე ფსიქოლოგიური სტრესი, ვიტირე კიდეც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკრაინულ „იქს ფაქტორში“

ქართველ კონკურსანტს პროექტის ჩაწყობაში ადანაშაულებენ

- არა, ძალიან ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, ჟიურის შექება და მაყურებლის აპლოდისმენტები დავიმსახურე. სანანებელი არაფერია.

ბესო ნემსაძე:

- დავიწყებ იქიდან, რომ იქაური „იქს ფაქტორი“ საერთიდ არ ჰგავს ქართულს. განსხვავება იმაშია, რომ როდესაც მიიღებ ოთხ „კის“ ამის შემდეგ ეგრევე სკამების ტური არაა. შემდეგ იწყება მუსიკალური ბანაკი. ის კონკურსანტები, რომლებმაც პირველი ტური გადალახეს, მიჰყავთ ქალაქგარეთ. ამ ადგილს ჰქვია სასტუმრო „პუშა“, კონგრეს ჰოტელი. ამ სასტუმროში ორასამდე მონაწილე მიგვიყვანეს. სასტუმრო არაჩვეულებრივი იყო, თუმცა

მონაწილეობის პირობები იყო რთული, ვერ ვიტყვი, რომ საშინელი, რადგან ამ მუსიკალური ბანაკის გავლის დროს უდიდესი გამოცდილება მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მთლიანად უკრაინული „იქს ფაქტორის“ სტაფს. თავისთავად კონკურენცია დიდი იყო. მე მოვხვდი ბიჭების ჯგუფში.

- შენი კოლეგები, სხვა ქართველი კონკურსანტები, რთულ საცხოვრებელ პირობებზე საუბრობენ, ამ მხრივ ხაზს უსვამენ კვებას...

- (იცინის) ქართველი კაცი თავისთავად დაიწუნებს სხვის სამზარეულოს. მე ვფიქრობ, რომ მთავარი მიზანი, რაც მქონდა, 90%-ით შევასრულე და მოვხვდი ფინალურ ეტაპზე. კვების მხრივ პრობლემები მართლაც იყო. ჩვენ არ ვჭამდით ჰოტელის რესტორანში. გვაჭმევდნენ კონტეინერებით მოტანილ საკვებს. მეც ვერ ვჭამდი ამ საკვებს, იმიტომ არა, რომ გაფუჭებული იყო, იმიტომ რომ გემო არ მომწონდა. პირველად არ ვიყავი უკრაინაში და ვიცნობ მათ სამზარეულოს.

- რთულ საკონკურსო პირობებზეც საუბრობენ მონაწილეები, რა იყო შენთვის მთავარი სირთულე?

- სირთულე მუსიკალურ ბანაკში ყოფნა იყო. თითქმის არ გვეძინა 5 დღის განმავლობაში. პირველივე დღეს, შევედით თუ არა ნომრებში, საღამოს უკვე სიმღერა აგვარჩევინეს, რომელიც მეორე დღესვე უნდა გვემღერა კიევის ერთ-ერთ თეატრში. დრო საერთოდ არ გვქონდა. სამი საათი გვრჩებოდა ძილისთვის და ახალი სიმღერის სასწავლად. ქართველი კონკურსანტები მაქსიმალურად ცდილობდნენ, არ ეძინათ არც ერთი ღამე, ცდილობდნენ, რომ მოხვედრილიყვნენ სამეულებში. ბევრი მათგანი ვერ გადავიდა. გული დამწყდა

გიორგი ჩიქოვანზე, ჩემი აზრით, ნამდვილად იმსახურებდა სამეულს, ასევე ჩემი ჯგუფიდან გიგი ადამაშვილზე, რომელიც მხოლოდ ენის ბარიერის გამო დაიწუნეს, თუმცა ვთვლი, რომ მას დიდი მომავალი აქვს მუსიკალურ ინდუსტრიაში.

- რუსულ სიმღერას სთხოვდნენ, თუ უბრალოდ რომ ვერ ლაპარაკობდა ამ ენაზე ეს იყო პრობლემა.

- არა რუსულ სიმღერას არ სთხოვნდენ... თქვენ თუ გულისხმობთ იმას, რომ აუცილებელი იყო რუსული სიმღერა გემღერა, ასე არ იყო. მე ოთხი „კი“ ქართული სიმღერით დავიმსახურე. უბრალოდ, როდესაც გაივლი ტურებს და გადახვალ მთავარ ეტაპზე, ხშირად გიწევს შენს მენტორთან ურთიერთობა. მე ვცდილობდი გადამეთარგმნა ჟურნალისტებთან მისი საუბარი, ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო.

- ბესო, შენ რომელი ქართული სიმღერით გახვედი პირველ ტურზე?

- ირაკლი ჩარკვიანის „მენატრება“ ვიმღერე.

- ვიღაცები ჩაწყობებზეც საუბრობდნენ... შენც ეჭვობ, რომ ზოგიერთმა ქართველმა კონკურსანტმა სამეულში ადგილი კეთილგანწობით მოიპოვა?

- ამ თემაზე საერთოდ არ მინდა საუბარი. ვიღაც ახლოს იყო იქაურ სტაფთან, ვიღაც - არა. ვიდეოებიდან ქართველი მაყურებელი თავად შეაფასებს ვინ იმსახურებდა ფინალურ ეტაპზე ყოფნას და ვინ - არა. მე არ მაქვს არანაირი უფლება შევაფასო ჩემი მეგობრები და ახლა უკვე კონკურენტები.

- ჟიურის, ანუ მენტორების შეფასებებზე რას იტყვი, რამდენად ობიექტურნი იყვნენ?

- პირადად ჩემ მიმართ მხოლოდ ერთ ტურში იყვნენ მკაცრები. ვერ ვასწრებდით სიტყვების სწავლას. თანაც საერთოდ არ გვეძინა. ღმერთმა იცის, რა ვიბლადუნე ზოგიერთ სიმღერაში (იცინის). ვიგონებდი რაღაცებს საერთოდ რომ გავჩერებულიყავი, ეს უარესი იქნებოდა.

- ოქტომბერში ლაივები დაიწყება. ბიჭების კატეგორიაში ერთი ქართველი ხარ, როგორია შენი მოლოდინი?

- რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ გავივლი შემდეგ ტურებს. მაქვს უკრაინელი ხალხის იმედი. ახლა უკვე სმს-ებზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ბედი და ძნელია თავისთავად. ყველა ქართველ კონკურსანტს წარმატებას ვუსურვებ.

„არ ვიცი ვის გულისხმობს ქრისტინე, თუ მე მგულისხმობს, ძალიან ცდება. ასეთი რამ რომ მეთქვა, ახლაც გავიმეორებდი. გავა ვიდეოები ეთერში და ხალხი გადაწყვეტს, ვინ იყო ფინალის ღირსი და ვინ - არა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Vivus.ge-ს სტენდების ქსელი ფართოვდება

ონლაინ სესხების საერთაშორისო ბრენდი VIVUS.GE საქართველოს მასშტაბით უკვე დიდი ხანია რაც ცნობილია. კომპანიის სლოგანია „ფული თანამედროვე ხალხისთვის“, თუმცა VIVUS.GE-მ წინა წელს გადაწყვიტა უფრო გაეფართოებინა თავისი მომსახურება და სესხები შეეთავაზებინა არა მხოლოდ მათთვის, ვინც თანამედროვე გზას არჩევს (ონლაინ სესხი), არამედ, მათთვისაც ვისაც ფულის ხელზე აღება ურჩევნია. სესხის პირდაპირ სალაროდან გატანა ქართველ მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარული აღმოჩნდა. წინა წლის დეკემბრიდან მოყოლებული VIVUS.GE-მ თბილისში ხუთი ხელზე ასაღები სტენდი გახსნა:

· სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ცოტნე დადიანის ქუჩა #7, ნული სართული

· სავაჭრო ცენტრი, პიქსელის შენობა, ჭავჭავაძის #34, მეორე სართული

· ტექნიკის მაღაზია ტექნო ბუმი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ, თეგეტა მოტორსთან

· ტექნიკის მაღაზია ელიტ ელექტრონიქსი, წერეთლის 3/27, მესამე სართული

· მაღაზია „გორგია“, წერეთლის #140, პირველი სართული.

მოსახლეობის მხრიდან მაღალმა მოთხოვნამ სერვისის „მიიღე ფული ხელზე“ გაფართოება გამოიწვია - VIVUS.GE -ს სტენდები გასცდნენ დედაქალაქის ფარგლებს. ახალი დესკი სულ ახლახან ბათუმში გაიხსნა. ბათუმის სტენდი ჭავჭავაძის #1ა-ში, ტექნიკის მაღაზია „ტექნო ბუმში“ არის განთავსებული. სტენდი ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით, 10:00-20:00სთ-მდე მუშაობს.

VIVUS.GE საერთაშორისო კომპანიის - 4 ფინანსის ბრენდია. აღნიშნული ბრენდი მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში მოქმედებს. საქართველოში ის ცნობილია, როგორც ყველაზე სანდო ონლაინ სესხების კომპანია და ლიდერულ პოზიციას უკვე მესამე წელია არ თმობს.

VIVUS.GE პირველ სესხს, 250 ლარამდე, მომხმარებელს უპროცენტოდ სთავაზობს, ხოლო ყოველი მომდევნო სესხი ყველაზე დაბალ პროცენტში გაიცემა. კომპანიის სტენდთან დგას დესკის ოპერატორი, რომელიც მსურველებს განაცხადის შევსებასა და თანხის აღებაში ეხმარება. სესხის ასაღებად კი მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენა და განაცხადის შევსებაა საჭირო. ამ მცირე პროცესის გავლის შემდეგ კლიენტს სასურველი თანხა 2 წუთში გააქვს. VIVUS.GE-ს მომსახურებით სარგებლობისთვის მომხმარებელი მინიმუმ 20 წლის უნდა იყოს.

A

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაკა ასათიანის უფროსი ვაჟი დაინიშნა

წინა კვირას „პრაიმტაიმი“ გიყვებოდათ მაკა ასათიანის უფროსი ვაჟის, 20 წლის კახი ჟორდანიასა და ნანიკო კლდიაშვილის სიყვარულის ამბავს. მაშინ არც კახიმ და არც მისმა რჩეულმა ჩვენთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ჩვენ მოვიპოვეთ ფოტოები, რომლებიც მათი ნიშნობის დღეს ასახავს. დამეთანხმებით, რომ წყვილი ძალიან უხდება ერთმანეთს. ბედნიერებას ვუსურვებთ კახის და ნანიკოს.

გიგი დედალამაზიშვილი გოგოს მამა გახდება

გიგი დედალამაზიშვილის და მარინა კარპის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა. წყვილი პირველ შვილს ელოდება. მარინამ უკრაინის კლინიკაში ექოსკოპიური გამოკვლევა ჩაიტარა და ბავშვის სქესიც გაიგო.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში გიგის დედის, ციცი ფალავანდიშვილის მიერ გაზიარებული ვიდეოდან შევიტყვეთ.

საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ ატყობინებენ წყვილს მომავალი შვილის სქესის შესახებ. გიგის და მარინას კლინიკიდან ტორტი გამოატანეს, რომლის შიგთავსის ფერიც პატარას სქესს გვატყობინებს. ცისფერი კრემი ბიჭს მიგვანიშნებს, ვარდისფერი კი გოგოს.

სახლში დაბრუნებულმა წყვილმა ტორტი საზეიმოდ გაჭრა, ვარდისფერი კრემის დანახვისას გიგიმ გახარებულმა წამოიძახა “გოგონა” და მარინას გადაეხვია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲗᲐᲛᲐᲠ, ᲐᲠ ᲡᲯᲝᲑᲘᲐ, ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲝ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲬᲧᲝᲑ?“

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს გული სწყდება, რომ ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატის მიმართ ამ რაიონის მოსახლეობა უკმაყოფილოა. ამის შესახებ წულუკიანმა გადაცემა „პროვოკატორში“ ისაუბრა.

თეა წულუკიანმა იუსტიციის სამინისტროსთან თამარ კორძაიას მონაწილეობით გამართული აქციაც გაიხსენა და დეპუტატს ურჩია, აქციების ნაცვლად ნაძალადევს მიხედოს.

იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებსა და სულისკვეთებას უნდა გამოხატავდეს.

„როცა სიით ხარ არჩეული, მაშინ გაქვს დიდი ვალდებულებები, არამცთუ როცა მაჟორიტარი ხარ. როგორც სარკეში საკუთარ ანარეკლს ხედავ, ისე მაჟორიტარი ერთიერთში უნდა ასახავდეს ამომრჩევლის ინტერესს, სულისკვეთებას. რატომ ვარ ემოციით განმსჭვალული, როცა სიტყვა „ნაძალადევი“ მესმის? – იმიტომ, რომ მე მათში ჩემი თავი დავინახე, მათ დაინახეს ჩემში ის, ვინც იბრძოლებდა მათი ინტერესებისთვის, თუმცა შემდეგ კოალიციის ლიდერმა სხვანაირად განსაზღვრა ჩემი ადგილი და მგონია, რომ სადაც ვარ, არ ვაკეთებ ცუდ საქმეს. მე ძალიან გული მწყდება, რომ ნაძალადევში მაჟორიტარისადმი დღეს არის ასეთი განწყობა. სხვათა შორის, ნაძალადევის მაჟორიტარმა და ეს, ალბათ, ბედის ირონიაა, მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სამინისტროსთან გამართულ აქციაში. ვიფიქრე, თამარ, არ სჯობია, ნაძალადევს მიხედო, მე რომ აქციას მიწყობ-თქო?“ – აღნიშნა წულუკიანმა.

ცნობისთვის: თეა წულუკიანი 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს. მაშინ მას მხარი რაიონის მოსახლეობის 70-ზე მეტმა პროცენტმა დაუჭირა. იუსტიციის მინისტრად წულუკიანის დანიშვნის შემდეგ კი განმეორებით არჩევნებში ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი თამარ კორძაიას ერგო, რომელიც ამჟამად „რესპუბლიკურ პარტიას“ წარმოადგენს.

„ᲘᲥ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ,

ᲜᲘᲙᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ: „ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲚᲔᲑᲗᲐ ᲬᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲪᲐᲢᲐᲠᲐᲕᲔᲑᲐᲛ“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

არჩევნებამდე წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა და პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ მზად არ არიან თქვენ, რა ფორმატში ავლენ საარჩევნო რინგზე, ვინ ვისთან შეკრავს კოალიციას და ვინ გაბედავს საკუთარი ძალებით ბარიერის გადალახვას. ნიკა რურუა, რომელიც ახალ მოძრაობას – „ევერიას“ წარმოადგენს, ამბობს, რომ ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის ფინანსებზეც:

– ჯერჯერობით არჩევნებზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. პირველ რიგში, დასამალი არ არის, იმ ელემენტარულ თანხებზე, რომელიც საჭიროა საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის.

– ანუ ვისაც ბევრი ფული ექნება, ის გახდება ცენტრი?

– მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის მივიჩნევთ თავს მარათონელებად, ღირებულებებს არაფერზე ვცვლით. ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც საჭიროა.

– შეიქმნება ვითარება, როცა ერთიანი პროდასავლური ცენტრის შექმნა აუცილებელი გახდება?

– პროდასავლური ძალები კრისტალიზდნენ და ეს კარგია, მაგრამ ბევრ რამეზე განსხვავებული აზრი აქვთ. ასე რომ, ცენტრის შექმნა ადვილი არ იქნება. ამას აუცილებლობა თუ მოიტანს... პოლიტიკაში ეს ხშირად განმსაზღვრელი ფაქტორია.

– ოთხკაციან ჯგუფთან, რომელიც ნაციონალებს გამოეყო, კომუნიკაცია გაქვთ?

– არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. უბრალოდ, არ შევხვედრილვართ. ისინი ჩვენთან არ მოსულან, არც ჩვენ მივსულვართ მათთან. მათ წამოსვლაზე კომენტარი ადრე გავაკეთე. ეს თავისუფალი ქვეყანაა და ყველას შეუძლია, გამოეყოს პარტიას. თუმცა, როცა ამ პარტიის სიით ხარ პარლამენტში, მანდატიც უნდა დადო ხოლმე. ეს, უბრალოდ, ჩემი აზრია. ეს უფრო კორექტული იქნებოდა, როგორც მინიმუმ...

– „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ ყოფილხართ...

– არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ კაბინეტის წევრი ვიყავი, მანამდე დეპუტატიც და ამით მხოლოდ ვამაყობ...

– თქვენ უფრო ადრე დაინახეთ ის, რაც ჯაფარიძემ და კუბლაშვილმა მოგვიანებით შენიშნეს, და ამიტომაც გადაწყვიტეთ ცალკე მოძრაობაში გაწევრიანებულიყავით და არა ნაციონალებთან ერთად?

– მე ჩავთვალე, რომ რაც უფრო მეტი იქნება პროდასავლური ცენტრი, უკეთესია. ეს გადაწყვეტილება მაშინ ბევრს არ მოეწონა. პოლიტიკაში იმიტომ ვარ, რომ თავისუფლების ხარისხი გაიზარდოს და თავისუფლება გახდეს უფრო მეტი. ვუთხარი მე ჩემს მეგობრებს, რომ მათ რეფორმა სჭირდებოდათ და არ შეიძლებოდა პარტიის ერთპიროვნული მართვა. რეფორმა იქ ახლა დაიწყო, ეს აშკარად სახეზეა და პროცესი მიდის. ბოლო აღმასრულებელი მდივნის არჩევნებზე ისინი ორად გაიყვნენ, ერთმა ერთი პირი აირჩია, მეორემ – მეორე, ეს ჯანსაღი პროცესია. ყველა პარტიაში, ჩემი აზრით, ასეთ პოზიციებზე პირები პრაი-

ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

„ᲑᲘᲑᲘᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ Hardtalk-ᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲘᲕᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ...

ს.ს.: რატომ გადაწყვიტეთ ამ პოსტზე დათანხმებით, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა?

მ.ს.: მიმაჩნია, რომ უკრაინა თავისი რეგიონის ბედს წყვეტს ახლა. თუკი, ღმერთმა არ ქნას და, უკრაინა დაეცა, დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ იქნება, მთელი რეგიონი დაეცემა.

ს.ს.: თქვენ რუსეთთან ომში შეხვედით და ნააგეთ.

მ.ს.: არა, ჩვენ არ წაგვიგია. საქართველოს სახელმწიფო და დემოკრატია არსებობას განაგრძობს, ისევე, როგორც უკრაინული სახელმწიფოებრიობა, თუმცა ჩვენი ქვეყნის ნაწილები რუსებს აქვთ ოკუპირებული. სანამ ამ ქვეყნებში არსებობენ ადამიანები, რომლებიც რუსეთისგან დამოუკიდებლობის იდეისთვის იბრძვიან, ისინი გამოწვევას უცხადებენ ყველაფერ იმას, რასაც პუტინი ასახიერებს.

ს.ს.: უკრაინაში დანიშვნისას განაცხადეთ, რომ გინდათ, მონაწილეობა მიიღოთ ახალი უკრაინის მშენებლობაში, კორუფციასთან ბრძოლაში და ეკონომიკის აღორძინებაში. ამასთანავე, თქვენს ქვეყანაში, მართალია, მის მოქალაქეობაზე უარი თქვით, ბრალს გდებენ სერიოზულ სახელმწიფოებრივ და-

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„რომ გენიოსები იყვნენ...“

„ამ პარტიაზე და არც ერთ სხვაზე არ ვაპირებ საუბარს“

„მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის მივიჩნევთ თავს მარათონელებად, ღირებულებებს არაფერზე ვცვლით. ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც საჭიროა“

მერისით უნდა შეირჩნენ და ღია დებატები უნდა გაიმართოს. რაც უფრო ნაკლებად იქნება პარტია ტოტალიტარული და ჩაკეტილი, უკეთესია. რაც უფრო ღია და დემოკრატიული პროცესები იქნება პარტიაში, იმდენადვე ღიად და დემოკრატიულად შეძლებს ის შემდეგ ქვეყნის მართვას.

– დებატები ახსენეთ... დებატების ზღვარი გადიოდა, ვინ დარჩეს პარტიის სათავეებთან – ძველი თაობა თუ ახალი...

– ამ პარტიაზე და არც ერთ სხვაზე არ ვაპირებ საუბარს. თავის დროზე, ჩვენი, როგორც ხელისუფლების, მარცხი არჩევნებში გამოიწვია გადაწყვეტილებების მიმღებთა წრის კატასტროფულმა დაპატარავებამ არჩევნებამდე ბოლო ორ წელიწადში. იქ ხალხმა ჩათვალა, რომ გენიოსები იყვნენ... ახლა ამ პარტიაში რეფორმა მიმდინარეობს, ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ რეფორმა საჭირო იყო და პროცესი მიდის, მტკივნეულად, მაგრამ მაინც მიდის.

პრეზიდენტი ფიქრობს, დაადოს ვეტო თუ არა

მათ შორის, პრეზიდენტის უფლებებზე თავდასხმად აღიქვამს ოპოზიცია ახალ კანონს, რომელიც ერთის მხრივ, ეროვნული ბანკისთვის ზედამხედველობის ფუნქციის (მათი შეფასებით) ჩამორთმევს და მეორეს მხრივ, პროკურატურაში დაგეგმილ რეფორმებს ეხება.

არასამთავრობოები მოითხოვენ, რომ მთავარი პროკურორი პრეზიდენტმა დანიშნოს. ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევით კი ისევ და ისევ პრეზიდენტი სუსტდება. შვიდკაციანი საბჭოს გადაეცემა ეს ფუნქცია. ელოდებიან, რომ პრეზიდენტი ამ კანონს ვეტოს დაადებს, თუმცა ადმინისტრაციას ჯერ საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

ადმინისტრაციაში მხოლოდ მოკლედ ითქვა, რომ ამ საკითხზე ფიქრობენ. ექსპერტების განმარტებით, თუკი პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, მაშინ მას მოუწევს, კანონპროექტის საკუთარი ვარიანტი შესთავაზოს კანონმდებლებს. თუმცა, ამ მიმართულებთ მიმდინარეობს თუ არა რაიმე სახის მუშაობა, ჯერ არავინ იცის.

რაც შეეხება პროკურორის დანიშვნას, ამ საკითხს **თეა წულუკიანი** აპროტესტებს. მისი განმარტებით:

„პროკურატურის თემა არის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების და ამ შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორის თემა, რომელიც ჩართულია ამ რეფორმის პროცესში... ის არ არის იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელი, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო, როდესაც ძალოვანი მინისტრები პირდაპირ ექვემდებარებოდნენ პრეზიდენტს. დღეს ყველა მინისტრი არის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობის ქვეშ მომუშავე პირი, ამიტომაც, რაკი კონსტიტუცია ამბობს, რომ პროკურატურის ორგანოებს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს, პრეზიდენტის რგოლი ამ რეფორმაში ზედმეტია და არ მგონია, რომ ის ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს. ვენეციის კომისია არ გვთავაზობს, რომ პრეზიდენტის რგოლი ჩაერთოს. უფრო მეტიც, ამბობს, რომ ის რგოლები, რაც არის, ძალიან კომპლექსურსა და რთულს ხდის პროცედურას, ამიტომ ახალი რგოლის დამატება არ იგეგმება“.

პითხვები

BBC WORLD NEWS

ნაშაულებში, რომლის გამოც შეესაძლებელია, დიდი ხნით ჩაჯდეთ ციხეში.

მ.ს.: თქვენ ამ ბრალდებებს სერიოზულს უწოდებთ, მაგრამ სინამდვილეში საქართველოში მას არავინ იღებს სერიოზულად. გასული წლის დეკემბერში ევროპარლამენტში საპატიო სტუმრის სტატუსით ვიყავი მოწვეული, სადაც ჩემს წინააღმდეგ ბრალდებებს პოლიტიკურად მოტივირებული უწოდეს.

ს.ს.: მაშინ, რატომ არ უნდა დაბრუნდეთ საქართველოში, წარდგეთ ქართული სასამართლოს წინაშე ჩვენებებით, რომ თავი გაიმართლოთ?

მ.ს.: მე ამის გაკეთებას აბსოლუტურად არ ვაპირებ და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ, ეუთოს მონაცემებით, მაგალითად, საქართველოში მსჯავრდადებულთა უფლებებს არღვევენ. იქ, ციხეებში ჩემი ადმინისტრაციიდან ბევრი ზის უკვე წელიწად-ნახევარია, იმის მიუხედავად, რომ საგამოძიებო პერიოდი 9 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ, მე საერთოდ არ ვაპირებ „გაზპრომის“ უმსხვილესი კერძო მესაკუთრეს ახირებების მსხვერპლი გავხდე. ის რუსი ოლიგარქია, რომელიც საქართველოში გამოუშვეს იმიტომ, რომ ჩემზე და ჩემს გუნდზე სისხლის სამართლის დევნა დაეწყო.

ს.ს.: თქვენ მას სიბინძურეში სდებთ ბრალს ისევე, როგორც ის თქვენ, მაგრამ საქმის არსი ისაა, რომ საქართველოს პროკურატურამ წამყვან იურისტებთან გაიარა კონსულტაცია, მათ შორის ჯეფრი ნაიმთან, რომელიც ძალიან ცნობილი იურისტია. თემა იყო თქვენი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მიზანშეწონილობა.

მ.ს.: ნუ, მე, როგორც იურისტმა, ვიცი, რომ ფულზე შესაძლებელია ყველა მოისყიდო და მიიღო ნებისმიერი გამონათქვამი...

ს.ს.: მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ქართველი ამომრჩევლები თქვენ არ გენდვნენ და არ აგირჩიეს პრეზიდენტად.

მ.ს.: ასეთი რამ ხდება. არ ირჩევენ ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტებსაც კი. ლი კუან იუ, სინგაპურის პრეზიდენტი ამბობდა, რომ მთავრობაში ყოფნის 10 წლის შემდეგ ხალხი იღლება და გარდაქმნებს ითხოვენ. მე მზად ვიყავი და ვინინასწარმეტყველე კიდეც ეს.

ს.ს.: როცა საქართველო დატოვეთ, მისი ტერიტორიების მეხუთედი, ფაქტობრივად, რუსეთს ჰქონდა ოკუპირებული. ვნახოთ, ახლა რა ხდება უკრაინაში. მასაც ხომ არ ემუქრება იგივე, გახდეს ქვეყანა გაყინული კონფლიქტებით, როგორც საქართველო, მოლდოვა, როგორც ეს უნდა პუტინს და, როგორც ჩანს, მას შეუძლია, ამას მიაღწიოს.

მ.ს.: არა, უკრაინასთან მიმართებაში ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. პირველ ყოვლისა, ის წარმატებულად ეწინააღმდეგება რუსეთს. მე თვითონაც არაერთხელ ვიყავი ფრონტზე, მე ვსაუბრობ ქართველ ოფიცრებთან, რომლებიც უკრაინელებთან ერთად გვერდიგვერდ იბრძვიან და ვიცი, რომ უკრაინელები სასწაულებს აკეთებენ ბრძოლისას.

ს.ს.: მაგრამ ახლა სეპარატისტები ფლობენ ტერიტორიას, რომელიც ფართობით ნიდერლანდების ტოლია.

მ.ს.: თქვენ ტყუილად ამბობთ ასე. საუბარია რუსეთის შეჭრაზე. იქ რუსული არმია დგას, ადგილობრივები უარს ამბობენ მათ მხარდაჭერაზე. მაგრამ, მოდით, მხოლოდ ომზე ვისაუბროთ. საქმე ისაა, რომ, თუკი ჩვენი რეფორმები წარმატებული იქნება, კორუფციას მოვუღებთ ბოლოს, შევქმნით მუშა ეკონომიკას, ჩვენ შეგვეძლება, ვუთხრათ რუსეთის მოქალაქეებს – აიღეთ ჩვენგან მაგალითი, ჩვენ ამ ყველაფერს მივაღწიეთ რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, განთავისუფლდით საკუთარი რეპრესიული მთავრობისგან.

„მე, როგორც იურისტმა, ვიცი, რომ ფულზე შესაძლებელია ყველა მოისყიდო და მიიღო ნებისმიერი გამონათქვამი...“

ს.ს.: გულგატეხილი ხომ არ ხართ პრეზიდენტ ობამას პოზიციით საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, ის ხომ უარს ამბობს ამ ქვეყნების ნატოში მიღებაზე, არ სურს, უკრაინას იარაღი მიაწოდოს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენმა ვაშინგტონელმა მეგობრებმა უბედურებაში მარტო დაგტოვეს?

მ.ს.: რამდენიმე ხნის წინ ვიყავი აშშ-ში, ისევე, როგორც პრეზიდენტი პოროშენკო, რომელიც ამერიკის კონგრესში სიტყვით გამოვიდა. მე ვნახე ის დახვედრა, რომელიც მას მოუწყვეს. მე თვითონ წავედი ვაშინგტონში იმისთვის, რომ უკრაინის იარაღის მოწოდებაზე ლობირება გამეწია. ჩვენ ჯერჯერობით არ მიგვიღია ეს, მაგრამ ყველაფერი წინ არის.

მე არ ვარ გულგატეხილი პრეზიდენტ ობამას პოზიციით. სანქციები მოქმედებს, ამერიკა რეალურად გვეხმარება, თუმცა სამხედრო მიმართებაში ჯერაც ბევრია გასაკეთებელი. ვფიქრობ, უკრაინა თავს გაიტანს ამ კონფლიქტში. ჩვენ პუტინს დავამარცხებთ და სირთულეებს გადავლახავთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის რუსუდან კობიაშვილის ნამდვილი „დუ

my View
ნინო მჭედლიშვილი

„ჩემი ცოლის დაქალებში“ კიდევ ერთი ახალი პერსონაჟი, დუდუს ცოლი გამოჩნდა. რუსუდან კობიაშვილს ორი პროფესია აქვს. არის მსახიობი და რეჟისორი. 19 წლის განმავლობაში ახმეტელის თეატრში მუშაობდა. არაერთ ქართულ სერიალშია გადაღებული.

ვინ არის მსახიობის ნამდვილი „დუდუ“ და როგორ უყურებს მეუღლის პროფესიას, ამას ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ, რომელსაც კაფე - Break-ში შევხვდი.

- თეატრში გავიზარდე. ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, ზინაიდა ბერძენიშვილი მსახიობი იყო. კოტე მარჯანიშვილთან მუშაობდა. შემდეგ წავიდა ახალციხეში, სადაც ერთ-ერთი ხანდაზმული არტისტი გახლდათ. მეორე ბებია რუსთაველის თეატრის ადმინისტრაციაში მუშაობდა. ამდენად, ამ თეატრის კარი ჩემთვის ყოველთვის ღია იყო. ამიტომ ხმა ამოვიღე თუ არა, მსახიობობა მინდამეთქი, ვთქვი. დედაჩემსაც უნდოდა მსახიობობა, მაგრამ ბებიამ არ ქნა, ჩემზე რომ გაიგო, მიხვდა, რომ ამ ბაცილას ვეღარ ასცდებოდა. ნუკრი ქანთარია იყო ჩემი პედაგოგი. ნუკრი ლილი იოსელიანის სტუდენტი გახლდათ. კარგი სკოლა გავიარე თეატრალურ ინსტიტუტში. 16-17 წლის ასაკში ყველას უნდა მსახიობობა, მაგრამ არავის აქვს გაცნობიერებული სად ყოფს თავს. პირველი ერთი წელი საერთოდ ვერ ვხვდებოდი სად მოვხვდი. თან იმ წელს გავთხოვდი და ღრუბლებში დავფრინავდი. არ მეგონა ასეთი რთული თუ იქნებოდა ეს პროფესია. მერე ისე ჩამითრია და ისე მომეწონა ეს ყველაფერი... ნუკრი ახმეტელის თეატრში მუშაობდა და რამდენიმე სტუდენტი თან წაგვიყვანა. 19 წელი ვითამაშე ამ თეატრში. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი თეატრი. საკმაოდ კარგ რეჟისორებთან ვიმუშავე. 19 წლის მერე ჩემი რეჟისორი წამოვიდა თეატრიდან და მეც წამოვედი.

„ერთმანეთი რომ გავიცანით, ის ბეისბოლისტი იყო, მე მსახიობობა მინდოდა. ვუთხარი, რომ ჩემი პროფესია გაეაზრებინა და არასდროს დაეყვედრებინა. ასეც მოიქცა. თუმცა მე და ჩემს დუდუსაც გვქონდა პატარ-პატარა კონფლიქტები, მაგრამ მაინც კარგად ვიარეთ“

„სუფთა ქართული სიტუაციაა, ქმარი მიტოვებს დედას, შვილებს, ერთს ციხეში და მეორეს, დაუმორჩილებელს, სახლში. ყველაფერს მე უნდა მივხედო“

„39 წლის ასაკში თავიდან გავხდი სტუდენტი. ეს იყო ფანტასტიკური სტუდენტობის ხანა. ისე მიხაროდა სტუდბილეთი რომ მქონდა...“

„ვფიქრობ, მაკას არსებობაც იცის. მაგრამ აქვს ტანსაცმელი, საჭმელი, კარგი ცხოვრება, ჰყავს დუდუ, რომელიც ყველაფერს აკეთებს. მთავარია, არ დაკარგოს ეს ადამიანი, მისთვის ესაა მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, მაკასაც აიტანს მის გვერდით“

- არა, ასე ვერ ვიტყვი, უბრალოდ, მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი აღარ იყო. ჩვენი პროფესია ასეთია. ვიღაცას უნდა სჭირდებოდე. ამ ვიღაცას ხან შენი წარბი არ მოსწონს, ხან პოლიტიკური შეხედულება. ჩვენი პროფესია, დაცემის შემთხვევაში, მალე წამოდგომას მოითხოვს. სხვა შემთხვევაში რთულია კარიერა ააწყო. მე ცოტა დეპრესიული ნატურა ვარ. ორი წელი ჩავჯექი სახლში. აქტიურად დავიწყე დედობანას თამაში.

- რამდენი შვილი ჰყავს დედას?

- ერთი ბიჭი, აბიტურიენტი. ახლა დაამთავრა გამოცდები, თეატრალურზე აბარებს... ორწლიანი სახლში ჯდომის მერე ჩემი შვილის კლასში დავდგი სპექტაკლი. მაშინ მივხვდი, რომ ჩემში პატარა ნაპერწკალი რეჟისორისაც იყო და ჩავაბარე სარეჟისოროზე, მაგისტრატურაში, ბატონ გიზო ჟორდანიასთან. 39 წლის ასაკში თავიდან გავხდი სტუდენტი. ეს იყო ფანტასტიკური სტუდენტობის ხანა. ისე მიხაროდა სტუდბილეთი, რომ მქონდა... ერთი ზუსტად ვიცი, ჩემს თავს ვერ დავუდგამ სპექტაკლებს ვერასოდეს, ამ დონეზე არ გავგიჟებულვარ, მაგრამ რამდენიმე სპექტაკლი დავდგი. მონოპიესა „ათონელის თეატრში“ და მეორე „ილიას უნივერსიტეტში“ „მატყუარები“.

- „ჩემი ცოლის დაქალებში“ როგორ მოხვდი?

- ადრე ვითანამშრომლე ჯგუფ „კრეატივთან“. მიყვარს გიორგი ლიფონავა. ერთად ვიმუშავეთ „ნაფიც მსაჯულებში“. პროკურორი ვიყავი. ვითამაშე სერიალ „კლინიკაშიც“. ექთანი ვიყავი. „დეტექტივებშიც“ ვიყავი. ამ სერიალში ვთამაშობდი ლორას, რომელსაც ნარკოტიკები შემოაქვს ქვეყანაში და იჭერენ. ეს სერიალი ხომ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით იყო გადაღებული. ამდენად, მართლაც არსებობდა პროტოტიპი ქართულ ციხეში. მირეკავდა, მეხმაურებოდა ციხიდან, ასეთი არ ვარო, მიხსნიდა. რეჟისორსაც უჩივლა. მინდოდა ამ ქალთან შესვლა ციხეში, მაგრამ ვერ მოხერხდა. არ ვიცი რატომ იყო უკმაყოფილო, ყველანაირად ვეცადეთ, ეს გმირი კარგი გამოსულიყო.

- თავიდანვე გითხრეს, რომ დუდუს ცოლი უნდა ყოფილიყავი?

- კი.

- მოგწონს ეგ პერსონაჟი?

- კი, მომწონდა აქამდე, მაგრამ ბოლოს არ მოიქცა ისე, როგორც დუდუს ეკადრებოდა. გაექცა პრობლემებს, ვეღარ გაუძლო...

- მაკას დაურეკა... გამოდის გღალატობს...

- ჯერ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი ცხადია, სუფთა ქართული სიტუაციაა, ქმარი მიტოვებს დედას, შვილებს, ერთს ციხეში და მეორეს, დაუმორჩილებელს, სახლში. ყველაფერს მე უნდა მივხედო. ვფიქრობ, მაკას არსებობაც იცის. მაგრამ აქვს ტანსაცმელი, საჭმელი, კარგი ცხოვრება, ჰყავს დუდუ, რომელიც ყველაფერს აკეთებს. მთავარია, არ დაკარგოს ეს ადამიანი, მისთვის ესაა მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, მაკასაც აიტანს მის გვერდით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲪᲝᲢᲐ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲢᲣᲠᲐ ᲕᲐᲠ. ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲩᲐᲕᲯᲔᲥᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲓᲔᲓᲝᲑᲐᲜᲐᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ“

„ᲩᲔᲛᲘ „ᲓᲣᲓᲣ“ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ. 25 ᲬᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ“

EXCLUSIVE

„ᲩᲔᲛᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲢᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲐᲜᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ ᲖᲘᲡ“

ერთს ციხეში და მეორეს, დაუმორჩილებელს, სახლში. ყველაფერს მე უნდა მივხედო. თან ჩემი პერსონაჟი ცოტა გამოშტერებული ქალია, დამაწყნარებლებზე ზის. ეტყობა აწყობს ეს სიტუაცია. ვფიქრობ, მაკას არსებობაც იცის. მაგრამ აქვს ტანსაცმელი, საჭმელი, კარგი ცხოვრება, ჰყავს დუდუ, რომელიც ყველაფერს აკეთებს. მთავარია არ დაკარგოს ეს ადამიანი, მისთვის ესაა მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, მაკასაც აიტანს მის გვერდით.

- შენი გმირისგან რადიკალურად განსხვავდები, მასსავით სუსტი არ უნდა იყო...

- რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში წავიქცეოდი. მე არ მასწავლეს ფანჯრიდან შესვლა, ყოველთვის კარზე ვაკაკუნებ.

- ვინაა შენი ნამდვილი დუდუ?

- მე ისეთი კარგი დუდუ მყავს სახლში, რომელიც არ გარბის (იცინის). 25 წელია ერთად ვართ. ხელოვანია, მინიატურისტი, ლითონისგან და რკინისგან აკეთებს მინიატურებს. ძალიან დამეხმარა, რომ შევმდგარიყავი. მეხმარება იმაში, რომ შეიძლება ღამის 1-2 საათზე სახლში არ ვიყო. ერთმანეთი რომ გავიცანით, ის ბეისბოლისტი იყო, მე მსახიობობა მინდოდა. ვუთხარი, რომ ჩემი პროფესია გაეაზრებინა და არასდროს დაეყვედრებინა. ასეც მოიქცა. თუმცა მე და ჩემს დუდუსაც გვქონდა პატარ-პატარა კონფლიქტები, მაგრამ მაინც კარგად ვიარეთ. თუმცა, არც 25 წლიანი თანაცხოვრება გაძლევს იმის საშუალებას, რომ მოდუნდე. არასდროს არ უნდა იფიქრო იმაზე, რომ შენია და არსად წავა. ყოველთვის უნდა გეშინოდეს მისი დაკარგვის, ქალსაც და კაცსაც. კი, მე შენი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თაროზე უნდა შემომდო. თორემ, ერთ მშვენიერ დღეს გადმოვვარდები და ვის კალთაში აღმოვჩნდები, არავინ იცის. ამიტომ სულ ფხიზლად უნდა იყო... ჩვენ სხვანაირად ვცხოვრობთ. ჩემი შვილი გვაშაყირებს ხოლმე, თქვენ ვერ ხართ კარგადო. შარშან, ჩემს ქმარს კარვების ქალაქი ჰქონდა „კაზანტიპზე“. დამირეკა და ერთად წავედით. ეს იყო ისეთი შოკი ვიღაცებისთვის, ცოლ-ქმარი ერთად კაზანტიპზე... ჩემთვის აბსოლუტურად ნორმალურია. სამარცხვინო რაღაცას ვამბობ, მაგრამ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მამაკაცების 90%-ს ცოლები სახლში ჰყავდათ ჩაკეტილები, თვითონ კი აბორიგენებივით დაძრწოდნენ „კაზანტიპზე“. როცა ამას ვუყურებ, მრცხვენია, რომ ქართველი ვარ. ჩემს ბიჭს სულ ამას ვეუბნები, არ აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება, რა წარმომავლობა ექნება შენს მეორე ნახევარს, მოიყვანე ისეთი ცოლი, რომელთან ერთადაც ყველგან წახვალ.

- დუდუ სამაგალითოა ბევრი თინეიჯერი მაყურებლისთვის. როგორ გგონია, ბოლო სერიაში ხომ არ ამსხვრევს თავის „მაგარი ბიჭის“ იმიჯს?

- რა თქმა უნდა. ჩემთვის არც მანამდე იყო დუდუ კაი ტიპი. დუდუსნაირი ტიპები ჩემში ყოველთვის აგრესიას იწვევენ. ძალიან მიყვარს ალეკო, ბავშვობიდან ვმეგობრობ, დიდი ბოდიში მასთან, მაგრამ ტიპები, რომლებსაც აქვთ ფული, ჰყავთ გავლენიანი ხალხი, არასდროს მომწონდა. მეც მყავდა ისეთი მეგობრები, რომელთა მამებიც დუდუს ჰგავდნენ, კაფეში უფრო მეტის უფლებას აძლევდნენ თავს უსაქციელობაში, ვიდრე ჩვენ.

- არ მოგიწია სერიალში პიკანტური სცენის თამაში. რომ გქონოდა საწოლის სცენა დუდუსთან, როგორ შეხედავდა ამას შენი მეუღლე?

- ჩემი მეუღლე ისეა გაზრდილი, არ მგონია რეაქცია ჰქონდეს. მახსოვს, თეატრში ერთ-ერთ სპექტაკლში გახდა მომიწია სცენაზე. ჩემი ქმრის ძმაკაცები, პლეხანოველი ბიჭები, ადგნენ და დარბაზი დატოვეს. ეს იყო 20-25 წლის წინ. ჩემს ქმარს მათ გამო უფრო შერცხვა.

- ვინ არის შენი მთავარი კრიტიკოსი, შემფასებელი?

- ჩემი ოჯახის წევრები, დედაჩემი, რომელსაც მსახიობობა უნდოდა და არ მისცეს უფლება, ჩემი შვილი, რომელიც სულ მაკრიტიკებს, როგორ იჯღანებიო. იმ მდგომარეობაში ქალი, როგორშიც ჩემი გმირია, ლამაზი როგორ უნდა იყოს, არ ვიცი...

- როგორ გგონია, დუდუ დაბრუნდება?

- ან დაბრუნდება ან მაკასთან რომანი გაჩნდება სერიალში. ამ გმირის დაკარგვა არ შეიძლება. რადგან არ მოკვდა, დაბრუნების შანსი ყოველთვის აქვს.

> „ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲬᲘᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ. ᲩᲔᲛᲘ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲞᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ, ᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ 20-25 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲩᲔᲛᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲐ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

გია მეგრელაძე გიორგი დარასელიას წინააღმდეგ

EXCLUSIVE

გია მეგრელაძე - პირდაპირ დანერეთ, გუნდიდან დარასელიამ გამიშვა

მაგდა კლდიაშვილი

ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, გია მეგრელაძე სამსახურის გარეშე დარჩა. ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი დარასელიამ, ქუთაისელებისთვის საყვარელი ფეხბურთელი თანაშემწის პოსტიდან ახსნა-განმარტებების გარეშე გაათავისუფლა, თუმცა, გუნდში სამუშაოდ სწორედ მისი მიწვევით მივიდა. რა მოხდა მწვრთნელებს შორის და ვის აბრალებს მეგრელაძე გუნდიდან დათხოვნას - გიორგი დარასელიას გარშემო სკანდალი მწიფდება.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისის „ტორპედოდან“ გია მეგრელაძე დაითხოვეს. მეტი თვალსაჩინოებისთვის, მეგრელაძეს მშობლიური ქალაქის მაისურით 87 გოლი აქვს გატანილი და მისი საფეხბურთო ოჯახი იმერლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ოჯახია. მეგრელაძეების ღვაწლზე და დამსახურებაზე ბევრი საუბარი არ ღირს, მათ შესახებ ქუთაისში ყველაფერი იციან. ვეტერანი ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება კი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

რა მოხდა რეალურად გუნდში და რატომ გაუშვა გიორგი დარასელიამ თავისივე მიყვანილი ასისტენტი, გია მეგრელაძე ორი კვირის შემდეგ დუმილს „პრაიმტაიმთან“ არღვევს.

- რა გახდა შენი გუნდიდან გაშვების მიზეზი?

- გიორგი დარასელიას სურვილი იყო ჩემი გუნდიდან გაშვება.

- მან თავად არ მიგიყვანა გუნდში?

- კი, მან მიმიყვანა.

- ოფიციალური მიზეზი რა გითხრეს?

- ოფიციალური მიზეზი არც დარასელიას უთქვამს ჩემთვის და არც არავის. გუნდში მიმიყვანა იმიტომ, რომ მამაჩემთან ერთად თამაშობდა, პატივს

> **„ჩემი გაშვება კი ნამდვილად მისი გადაწყვეტილება იყო. გუნდის ფინანსებს მერია აკონტროლებს, ეს დარასელიას არ ეხება, მაგრამ როდესაც მთავარი მწვრთნელი ხარ, უნდა ჩაერიო ამ ფინანსებში ყველანაირად“**

სცემდა, მე მცემდა პატივს და ასისტენტად ამიყვანა.

- არაოფიციალური?

- არაოფიციალური ის არის, რომ მას შიში ჰქონდა.

- რისი შიში?

- რომ მე დავიკავებდი მთავარი მწვრთნელის პოსტს.

- რა აძლევდა ამის ფიქრის საფუძველს, წინაპირობა რა იყო?

- ვერ გეტყვით. გუნდში ნორმალური სიტუაცია იყო. მე და დარასელიასაც კარგი ურთიერთობა გვქონდა. გაუგებრობის მსგავსი არაფერი ყოფილა. შემდეგ რა შეიცვალა, არ ვიცი. ეტყობა, თვითონ შეიცვალა, თორემ ჩემთვის ისევ ისეა. იგივე პატივისცემა მაქვს დარასელიას მიმართ, რაც მქონდა, მაგრამ თვითონ არ დამაფასა. შიში ჰქონდა და უკვე გითხარით, რის გამოც.

- საიდან დაასკვენით, რომ ამის ეშინოდა?

- თვითონ მითხრა. ხმები დადის, რომ მთავარი მწვრთნელობა გინდაო. ვუპასუხე, არა, გიორგი, მე ჯერ სწავლის პროცესში ვარ, ბევრს ვსწავლობ შენგან და გაფასებ. ეს იყო ჩემი პასუხი და მაინც იგივე გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება კი ცუდი იყო. ქუთაისში ხმები იმაზეც დადის, თუ რატომ არ აქვს გუნდს ჩემპიონობის ამბიცია, როდესაც ფეხბურთელებისთვის ასეთი პირობებია შექმნილი? დარასელია შეიძლება ადგეს და თქვას, რომ შეკრება არ გაკეთებულა, ბაზაზე კვება არ არის, მაგრამ, როდესაც გუნდში ოდიკაძე, ბაბუნაშვილი, კლიმიაშვილი და კუხიანიძე გყავს, შენ ჩემპიონი თუ არ გახდები, მინიმუმ უეფაზე უნდა გახვიდე.

- შეკრების გაკეთება მწვრთნელის პრეროგატივაა, ბიუჯეტი არ იყო საკმარისი?

- გუნდის ბიუჯეტი, არ ვიცი რამდენია და არც ის მგონია, რომ დარასელია ჩაერიოს ამაში, მაგრამ მას შეეძლო, მოეთხოვა შეკრებაც და ჩემი დატოვებაც. ესაა ჩემი პასუხი.

- ანუ ყველა ეს გადაწყვეტილება უშუალოდ მისი იყო?

- შეკრებას თავი დავანებოთ. ჩემი გაშვება კი ნამდვილად მისი გადაწყვეტილება იყო. გუნდის ფინანსებს მერია აკონტროლებს, ეს დარასელიას არ ეხება, მაგრამ როდესაც მთავარი მწვრთნელი ხარ, უნდა ჩაერიო ამ ფინანსებში ყველანაირად.

- იმის თქმა გინდათ, რომ დარასელია თავის გვერდით ამბიციურ ადამიანებს ვერ იტანს?

- ალბათ, ასე გამოდის.

- ანუ, იმასაც აღიარებთ, რომ ამბიცია გქონდათ?

- შეიძლება ამბიციური ვიყო, მაგრამ არც დარასელიასთან და არც არავისთან, ამას არასდროს გამოვხატავდი, რადგან სწავლის პროცესში ვიყავი და ამას ვერავის ვაჩვენებდი. ვერც დარასელიას, აქამდე არანაირი ამბიცია არ მქონია, მაგრამ, როდესაც მან გუნდიდან გამიშვა, უკვე მაქვს ეს ამბიცია. ჩემს ადგილზეც არავინ მოუყვანია. ფიზმომზადების მწვრთნელი, ნუკრი გაბრავაც გაუშვა და ბონდო გოცირიძით ჩაანაცვლა. ნუკრის გაშვების მიზეზიც იგივე იყო.

- ნუკრისგანაც იგივე საშიშროებას ხედავდა, რასაც თქვენგან?

- არა, ნუკრის ამის ამბიცია არ გააჩნდა. ის, დარასელიას ზუგდიდშიც ჰყავდა და რასაც ავალებდა, იმას ასრულებდა. სადაც არ უნდა წავიდე, თუნდაც „ტორპედოში“ დავბრუნდე, გაბრავას დავიყენებ ჩემს გვერდით, ის პატიოსანია და იცის თავის საქმე.

- გუნდს დირექტორატი ჰყავს, არავინ დაინტერესებულა, რა მოხდა?

- ჩემი გაშვების მიზეზებზე იყო დაინტერესება, მაგრამ ინტერესი მე გამიჩნდა, პირველ რიგში. გიორგი დარასელიას მხრიდან პასუხი იყო, რომ მერიას ჰქონდა პრობლემები და მათ გადაწყვიტეს ასე, რომ მან მოიყვანა ბონდო გოცირიძე დამხმარეთ და სხვა აღარ სჭირდებოდა. ასე ვიცი, მისი პასუხიდან. თუმცა, სხვა რაღაცებიც ვიცი. გუნდს აფინანსებს მერია და არა კერძო სპონსორი, კერძო პიროვნება. მერია ვერ ადგება და ვერ იტყვის ქუთაისელ კაცზე, რომელსაც ბევრი გაუკეთებია „ტორპედოსთვის“, რომ გაუშვან გუნდიდან. ეს გადაწყვეტილება მიიღო დარასელიამ.

- საერთოდ, გუნდში ჯანსაღი გარემოა?

- კი, ეს ნამდვილად ასეა. გუნდიდან წამოსვლის შემდეგ, ბევრმა ფეხბურთელმა დამირეკა და მიზეზები მკითხა, თუ რატომ წავედი. პასუხი არავისთვის გამიცია. პასუხს გცემთ თქვენ და არც ვაპირებდი ამაზე ლაპარაკს. მეგონა, დარასელია დამირეკავდა და რაღაცას მეტყოდა, მაგრამ - არა. პასუხი არ მიმიღია. ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენთვის მეთქვა, რაც მოხდა. ჩემი ბოლო პასუხი ასეთია - დაწერეთ, რომ მეგრელაძე გუნდიდან გიორგი დარასელიამ გაუშვა.

> **„როდესაც გუნდში ოდიკაძე, ბაბუნაშვილი, კლიმიაშვილი და კუხიანიძე გყავს, შენ ჩემპიონი თუ არ გახდები, მინიმუმ უეფაზე უნდა გახვიდე“**

> **„გუნდს აფინანსებს მერია და არა კერძო სპონსორი, კერძო პიროვნება. მერია ვერ ადგება და ვერ იტყვის ქუთაისელ კაცზე, რომელსაც ბევრი გაუკეთებია „ტორპედოსთვის“, რომ გაუშვან გუნდიდან“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით სირაძის გამოუვალი მდგომარეობა

„ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე იგორ დობროვოლსკი მოიყვანეს ევრთნელად, ის კი ქართველებს ვერ იტანს“

„გვითხრეს, რომ დობროვოლსკის ბირთვში არ მოვიაზრებოდით და სხვა გუნდი უნდა მოგვეძებნა“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, დავით სირაძე უგუნდოდაა. 33 წლის ფეხბურთელმა კიშინოვის „დაჩიადან“ წამოსვლის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გუნდში, მთავარ მწვრთნელად იგორ დობროვოლსკი დაინიშნა. კლუბის ხელმძღვანელობამ ლეგიონერებს, მათ შორის სირაძესა და დვალს ახალი გუნდების მოძებნა ურჩია, თუმცა ახლა ფეხბურთელებში მოლდოველები კომპენსაციას ითხოვენ, სხვაგვარად, გუნდი მათ გათავისუფლების ფურცელს არ მისცემს. არსებული სიტუაციის ფონზე, ქართველი თავდამსხმელები უგუნდოდ არიან, კომპენსაციის გადამხდელი გუნდი კი ამ დრომდე არ ჩანს. რა თანხაზეა საუბარი და როგორ უნდა მოგვარდეს სიტუაცია, დავით სირაძე „პრაიმტაიმს“ თავის გამოუვალ მდგომარეობაზე ესაუბრა.

- რატომ და როგორ დასრულდა შენი ურთიერთობა „დაჩიასთან“?

- კონტრაქტით კიდევ ორი წელი მაკავშირებს გუნდთან. რატომ დასრულდა? - ჩემპიონები ვერ გავხდით. პრეზიდენტი ცოტა უცნაური კაცია. რომ მოგვეპოვებინა ჩემპიონობა, ახლაც იქ ვიქნებოდით და კარგ პირობებში. სწორედ მისი სურვილით ჩავედით მე და ჯაბა დვალი „დაჩიაში“, შემდეგ ჯაბა არ ათამაშეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე იგორ დობროვოლსკი მოიყვანეს მწვრთნელად, ის კი ქართველებს ვერ იტანს.

- თუმცა, თქვენ მანამდეც გინდოდათ გუნდიდან წამოსვლა...

- მანამდე ასეთი გამოკვეთილი სურვილი არ იყო, მაგრამ, რაც იქ, გუნდში ხდებოდა, დარჩენის სურვილი აღარ გვქონდა და საქართველოში დაბრუნება გვინდოდა.

- წამოსვლამდე გქონდათ კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბარი, რომ დაბრუნებას აღარ აპირებდით?

- არა, მათთან საუბარი არ გვქონია. ხომ არ ვეტყოდით, არ გვინდაო. მე, პირადად, მინდოდა, რომ დავბრუნებულიყავი და მეთამაშა. კონტრაქტი როდესაც გაკავშირებს, არაა ადვილი, ადგე და წამოხვიდე. ისე დაემთხვა, რომ დობროვოლსკი მოიყვანეს. მას არ ჰქონდა ისეთი დამოკიდებულება ჩვენთან, როგორიც მწვრთნელს აქვს ფეხბურთელებთან. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის ლეგიონერებსაც, გვითხრეს, რომ დობროვოლსკის ბირთვში არ მოვიაზრებოდით და სხვა გუნდი უნდა მოგვეძებნა.

- თუ ასეთი საუბარი იყო, ახლა რატომ გახდა თქვენი გამოშვება პრობლემა?

- ფულს ითხოვენ. როდესაც გუნდში კონტრაქტს ორ წელიწად-ნახევრით აწერ და მხოლოდ ნახევარი წელი თამაშობ, პრეზიდენტი არ გამოგიშვებს. „დაჩიას“ შემთხვევაში, სწორედ ის წყვეტს ყველაფერს და თავად ითხოვს თანხას.

- ხშირად კლუბი და ფეხბურთელი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყვეტენ კონტრაქტს, „დაჩიას“ თქვენში ხომ ტრანსფერის ფული არ გადაუხდია, მაშინ რა თანხას ითხოვს?

- ჩვენს შემთხვევაში ტრანსფერში ფული ნამდვილად არ გადაუხდიათ. ისინი კომპენსაციის თანხას ითხოვენ.

- როგორ პირობებში გიწევდათ თამაში და ცხოვრება?

- ნახევარი წელი ნორმალურად იყო ყველაფერი. რაც თქვეს, ყველაფერი შეასრულეს. პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემპიონები გავმხდარიყავით. ბოლო ტურში, „მისლამთან“ ქულაც გვყოფნიდა, მაგრამ ვერ გავხდით ჩემპიონები. ამას მარტო ფეხბურთელებს ვერ დავბრალებ. პრეზიდენტის ბრალიცაა, მასაც მიუძღვის ბრალი ამაში. ერთი ქულა გვჭირდებოდა, მან კი სხვა თემა და ტაქტიკა აარჩია.

- „დაჩიას“ პრეზიდენტმა, მხოლოდ მეორე წრეში სამი მწვრთნელი შეცვალა, არასტაბილურობა ამის ბრალიც იყო?

- დიახ. პირველი მწვრთნელი გაუშვა, შემდეგ მწვრთნელის გარეშე ვვარჯიშობდით. ვინც გვავარჯიშებდა, აზრიც კი არ ჰქონდა მასთან ყოფნას. ეს გუნდი პრეზიდენტისაა და გარკვეული პერიოდი, მწვრთნელის მოვალეობასაც კი ასრულებდა. თვითონ ნახევარი მწვრთნელის გარეშე ვვარჯიშობდით, შემდეგ კი, როგორც სპეციალისტი, მისი ხელმძღვანელობით ვატარებდით თამაშებს.

- როდის შეატყობინეთ, რომ დაბრუნებას არ აპირებდით?

- ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ ჩვენ უნდა მოგვეძებნა გუნდი და შეთანხმებაზე წასულიყვნენ „დაჩია“ და ახალი გუნდი.

- მაშინ უკვე იცოდით, რომ თანხას მოითხოვდნენ თქვენში?

- არ ვიცოდით, მაგრამ გასაგები იყო, რომ ისე არავინ გამოგიშვებდა. ორ წელიწად-ნახევრიან კონტრაქტებს მოვანერეთ ხელი და მხოლოდ ნახევარი წელი ვითამაშეთ. ძალიან რთული ადამიანია გუნდის პრეზიდენტი. თვითონ ინახავს გუნდს. კარგ ხასიათზეა, იმის მიხედვით იქცევა, ცუდზეა - ამ განწყობით. ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, უფრო მეტს გააკეთებდა ბიჭებისთვის.

- რამდენია შენში გადასახდელი თანხა?

- კონკრეტული ციფრი არ ვიცი, იმიტომ, რომ არც შემოთავაზება მაქვს, რომ ვიცოდე, რამდენის გადახდის შესაძლებლობა ექნება მას. ციფრების დასახელება არ ღირს, დვალის შემთხვევაშიც არ ვიცი, რამდენია გადასახდელი, ყველა ფეხბურთელს თავის კონტრაქტი აქვს.

- გქონდათ მოლაპარაკება, რომ შეთანხმება მიღწეულიყო?

- არ მქონია საუბარი. გუნდი, მაგალითად „ლოკომოტივი“, რომ გამოჩნდეს, მას ვეტყოდი, რომ ასეთია სიტუაცია და დალაპარაკებით მოგვარდებოდა სიტუაცია, მაგრამ არც ერთი გუნდი რომ არ გირეკავს, ძნელია რამე მოაგვარო.

- არც „დაჩიადან“ დაურეკავთ?

- კი, დაბრუნებაზე იყო საუბარი. თუ არაფერი იქნება, ჩამოდითო, მაგრამ იქ ჩასვლა და დაბრუნება აღარ მინდა. ჩვენი გადაწყვეტილება მათმა დამოკიდებულებამ განაპირობა.

- ამბობენ, რომ პირველი ლიგის ბინადარი, ცხინვალის „ლიახვი“ ცდილობს შენს გადაბირებას, ეს გუნდი კი სამთავრობოა, რა ხდება რეალურად?

- მითხრეს, მაგრამ ჩემი სიტუაცია ავუხსენი და ახალი, ჯერჯერობით, არაფერია. თავისუფალი აგენტი რომ ვიყო, დარწმუნებული ვარ, უკვე გუნდში ვიქნებოდი, მაგრამ ამ სიტუაციაში, არ ვიცი რა იქნება. იჯარაზეც იყო საუბარი და იმედია, დალაგდება მალე სიტუაცია.

- ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, კახა ცხადაძემ განაცხადა, რომ ნაკრებში თამაშის შანსს ისევ მოგცემს, მაგრამ თუ „დაჩია“ გათავისუფლების ფუცელს არ მოგცემს, რას აპირებ?

- ყოველდღე ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. რამდენიმე გუნდს ვთხოვე და არ შეიძლებაო. ისე თუ მოხერხდა, რომ თამაში გავაგრძელე, რატომაც არა. როდესაც მოქმედი ფეხბურთელი ხარ, მუდამ გაქვს ნაკრებში თამაშის სურვილი. კახასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ნაკრებთან ერთად დამიძახა, ვივარჯიშე, გამომკითხა ყველაფერი. ახლა კი, გუნდებმა უკვე ვარჯიში დაიწყეს, ძალიან დიდი გაცდენა არ გამოდის, მაგრამ თუ ვერ ვითამაშებ, ორი წელი თუ უქმად ვიქნები, მაშინ ფეხბურთს თავი უნდა დავანებო. არც ერთ გუნდთან არ მქონია კავშირი, მე ხომ არ დავურეკავდი მათ. შევეხმიანები, ალბათ, ვიღაცებს და თუ ექნებათ სურვილი და კომპენსაციის გადახდის საშუალება, კარგი იქნება. ამ ეტაპზე გამოუვალი მდგომარეობაა. დავიჯერო, იმ დონეზეა ჩვენი ჩემპიონატი, რომ კომპენსაციის გადახდის საშუალება არ აქვთ გუნდებს? რასაც ვუყურებ და რასაც ფეხბურთელები მიყვებიან, აკლებენ და აკლებენ ფეხბურთელებს ხელფასებს, მალე 50 ლარზე ჩამოვლენ. ამ ექვს თვეში, რასაც ვუყურებ, უარესდება მდგომარეობა.

„ჩვენი გადაწყვეტილება მათმა დამოკიდებულებამ განაპირობა“

„დავიჯერო, იმ დონეზეა ჩვენი ჩემპიონატი, რომ კომპენსაციის გადახდის საშუალება არ აქვთ გუნდებს?“

„მას არ ჰქონდა ისეთი დამოკიდებულება ჩვენთან, როგორიც მწვრთნელს აქვს ფეხბურთელებთან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფენომენალური

my View
სალომე ჩადუნელი

სულ რამდენიმე საათი რჩება იმ მომენტამდე, როდესაც მეგაშოუ „X ფაქტორი“ წლის იქსს დაასახელებს. პროექტის კულმინაცია უმაღლეს ნიშნულს აღწევს, კონკურსანტები ფინალისთვის სამ სიმღერასა და უამრავ სიურპრიზს ამზადებენ. ხალხური, თავისუფალი და ლაივების საუკეთესო სიმღერა - ესაა ჩამონათვალი იმ დავალებებისა, რომელსაც ფინალისტებმა თავი უნდა გაართვან. ჟიური საბოლოო გადაწყვეტილებას მაყურებელს ანდობს და თავად მხოლოდ შემფასებლის უფლებებს იტოვებს - ნინი ბრეგვაძე, გიორგი ნაკაშიძე, მარიამ ჯანჯღავა - რომელი დაიმსახურებს მაყურებლის მხარდაჭერას და ვინ გახდება ყველაზე რეიტინგული მუსიკალური პროექტის გამარჯვებული? ყველა დროის ყველაზე ძლიერი სამეული ფენომენალურ ფინალს გვიწინასწარმეტყველებს.

ჩვენ ვესაუბრეთ პროექტ „X ფაქტორის“ პროდიუსერს გიორგი ხაბურძანიას, რომელმაც ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“ პროექტის რეიტინგი, ფინალური ტური და შოუს სტანდარტები მიმოიხილა.

- შევადაროთ „X ფაქტორის“ წინა და ახლანდელი სეზონები ერთმანეთს... რა შეიცვალა?

- ახალი სეზონი ბევრად უკეთესია. მუსიკით, პერფორმანსისა და შოუს ელემენტებით უფრო დახვეწილია, სანახაობრივადაც სიახლეებია. პირველ რიგში, ძალიან კარგი ნაკადია, ერთი და ორი კი არა, ბევრი ძლიერი მომღერალია, ამის გამო ჩართულობა და ყურებადობა ძალიან მაღალია. ქორეოგრაფია, სასცენო განათება და გადაღება უმაღლესი სტანდარტისაა. შარშანაც მაღალი იყო, მაგრამ წელს უფრო ავწიეთ და ჩამოვიტოვეთ კონკურენტები. წამყვანებიც უძლიერესები არიან. სცენაზე - რუსკა და „ყიფშო“ და „მაგთის“ ოთახში - თათუკა და გიგო კარგი კოლექტივი გამოვიდა, ძალიან გაგვიმართლა, რომ ყველაფრის სწორი სელექცია მოვახერხეთ.

- რას იტყვით გიგოზე, როგორც წამყვანზე?

- გიგოს შემთხვევა უნიკალურია. თავიდან, იდეა რომ გაჩნდა, გარკვეული მიზეზების გამო, ზოგი სკეპტიკურად უდგებოდა, შეიძლება ვერ შეძლოს, შეიძლება უფრო მეტი ინერვიულოს, იმიტომ რომ ლაივია, მაგრამ თავიდანვე ჩანდა, რომ გიგოს შეეძლო პარტნიორთან ერთად წარმატებით წაეყვანა შოუ.

ვიღაცამ კითხვა დასვა, ჩვეულებრივი კონტრაქტი აქვსო? რასაკვირველია, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ თანამშრომელს. რატომ ჩნდება ხოლმე კითხვები, არ ვიცი. მუშაობს და გასამრჯელოსაც იღებს და იგივე ტარიფზეა, რომელზეც ნებისმიერი სხვა წამყვანი სხვადასხვა ოთახიდან.

- თათუკაც, გიგოს მსგავსად, ახალი სახეა, გაამართლა მან?

- გაამართლა რომელია... თათუკა ისეც ყურში იყო ხოლმე, ჩვენი გადაცემებისა და დიდი პროექტების სცენარისტია, ნიჭიერში ვანიკოს ყურში იყო ხოლმე, სცენარს დღესაც თათუკა წერს. ძალიან კარგი სცენარისტია და ძალიან კარგი წამყვანიც აღმოჩნდა. თავიდან რისკიც ახლდა, იმიტომ რომ, ადამიანს მაშინვე პირდაპირ ეთერში რომ აგდებ, რთულია. პირველივე დღიდან გაამართლა წამყვანების წყვილმა: მაგთის ოთახში - თათუკამ და გიგომ და სცენაზე: რუსკამ და გიორგიმ აღნიშნეს კიდეც, რომ რუსკა, როგორ წამყვანი, „რუსთავი 2“-ზე სხვანაირიაო. მართლა სხვანაირია და ბევრად უკეთესია, ვიდრე სხვაგან იყო.

- ბენდების კატეგორიიდან ფინალში ვერავინ მოხვდა, მიუხედავად ამისა, რას ფიქრობთ, ბენდებმა გაართლა?

- ბენდებმა გაამართლა, ძალიან კარგი იყო, რომ „Vanilla Cage“ და პულსი ფართო საზოგადოებამ ზუსტად „X ფაქტორიდან“ გაიცნო, მანამდე შეიძლება ჰყავდათ თავისი მსმენელი, მაგრამ ამ რაოდენობის, პოპულარობისა და რანგის არა. კონკურენცია დიდია და ბენდისთვის უფრო ძნელია, ვიდრე სოლო მომღერლისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ საბოლოო ჯამში დადებითად გაეცნენ მაყურებელს, მერე Open air-ზეც მიიწვიეს. მათი კარიერა „X ფაქტორით“ არ დაზარალებულა, პირიქით.

- საიმონ კოუელი წინა სეზონის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, პროექტში მისი უფრო აქტიურად ჩართვა იგეგმებოდა, რატომ არ გამოვიდა?

- შეიძლებოდა, მაგრამ მოხერხებაზე არაა, იგივეს ხომ არ გავაკეთებდით? პირველი რომ იყო, მაშინ ვთხოვეთ. ეგრე ადვილიც არ არის მისი „გაშანსვა“. ამ მომენტში პროექტს აღარც სჭირდებოდა. შარშან თუ გვქონდა რეიტინგი 20, ახლა გვქონდა 26-27, რაც იმას ნიშნავს, რომ საიმონზე ამხელა ენერგიის დახარჯვა აღარ ღირდა. შარშან ძალიან ბევრი ენერგია წაიღო. მონტაჟი გადავდეთ, რაღაცები გადავდეთ. იმას როცა სცალია, მაშინ უნდა მოერგო. ძალიან რომ მოგვენდომებინა გავაკეთებდით, შარშან ქეთი მელუაც კი ჩამოვიყვანეთ.

- რომელ ლაივს გამოარჩევდით?

- ნახევარფინალის ლაივს. რამდენიმე ლაივი იყო, სადაც კონკურსანტებმა განსაკუთრებულად კარგად იმღერეს. მაგალითად სკამები, პირველი ლაივიც კარგი იყო. სტანდარტი აჩვენა, რომ ამ დონეზე ქვემოთ აღარ ჩამოვალთ და ამის შემდეგ ავალთ და ავალთ უფრო ზემოთ. რასაკვირველია, გპირდებით, რომ ფინალი ჩვენთვის კი არა, ყველასთვის დასამახსოვრებელი იქნება.

- რას იტყვით ფინალისტების სამეულზე, ელოდით სცენარის ასე განვითარებას?

- ასეთი დაძაბული თუ იქნებოდა არ გვეგონა. გვიხარია, რომ ასეთი ძლიერი შემადგენლობა გვყავს ფინალში, რადგან ყველაფერს შეძლებენ. ერთი მეორეზე უკეთესები არიან, ინდივიდუალური სიძლიერეებით. უნდა ველოდოთ ყველაზე დაძაბულ ფინალს, რაც კი „X ფაქტორს“ ან სხვა მუსიკალურ კონკურსს ჰქონია. ფენომენალური ფინალი იქნება. სამ სიმღერას იმღერებენ: ხალხურს, თავისუფალს და პროექტის განმავლობაში საუკეთესოს.

თათუკა ნარტყოშვილი „X ფაქტორის“ სცენარისტია, წამყვანების ყურიდან მაგთის ოთახში გადასვლა მოუნია, გიგოს კარგად შეეწყო და წყვილიც წარმატებით შედგა.

თათუკა ნარტყოშვილი:

- ძალიან ბევრ პროექტზე მიმუშავია, როგორც პროდიუსერსა და სცენარისტს. წამყვანის ამპლუის მორგება არ გამჭირვებია, გიგოც შესანიშნავი პარტნიორია. ვფიქრობ, რომ ჩვენი წყვილი შედგა და კარგად გამოგვდის, მაგრამ მაყურებლის აზრი უფრო მნიშვნელოვანია.

- კულისებს მიღმა უფრო ადვილია თუ ტელეეკრანთან?

- ორივეს სხვადასხვა სირთულე ახლავს, განსხვავებული სპეციფიკაა. რეალურად, კულისებიდან ხდებოდა იმის მართვა, რასაც აქ წამყვანები აკეთებენ. როდესაც აქ ვლაპარაკობ, ზუსტად ვიცი ხოლმე რას იტყვის პროდიუსერი ყურში.

- „X ფაქტორის“ სცენარებზე ისევ შენ მუშაობ?

- კი, მე ვწერ და წამყვანები ამბობენ, მაგრამ მათაც აქვთ თავისი ინტერპრეტაცია და ძალიან კარგად გამოსდით. ძირითადად მესიჯებს ვუწერთ ხოლმე და რასაც ემოცია მოიტანს, იმას ამბობენ, ხანდახან ყველაფერი იცვლება და სცენაზე სულ სხვანაირად ხდება.

„რეიტინგი გვქონდა 26-27%, რაც ნიშნავს, რომ საიმონზე ამხელა ენერგიის დახარჯვა აღარ ღირდა“

ГИОРГИ ХАБУРДАНИА ГИГОЗЕ: „ЧВЕУЛЕБРИВИ КОНТРАКТИ АКВСО? РАСАКВИРВЕЛИА, ИСЕВЕ, РОГОРЦ ЧВЕНА ДАНАРЧЕН ТАНАМШРОМЕЛС, МУШАОБС ДА ГАСАМРЧЕЛОСАЦ ИЦЕБС“

ХАБУРДАНИА: „УНДА ВЕЛОДОТ ЧВЕНА ДАДАБУЛ ФИНАЛС, РАЦ КИ „X ФАКТОРС“ АН СХВА МУСИКАЛУР КОНКУРСС ХДОНИА“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ფინალი იქნება“

EXCLUSIVE

თათუკა გიგოზე:
„როდესაც გაიგო რომ „ბითლზების“ ტური იყო, ამ ჯგუფზე აბსოლუტურად ყველაფერი წაიკითხა“

გიორგი ხაბურძანია „X ფაქტორის“ შესახებ ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“

რუსკა: „იმაზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ვიდრე შეიძლება ზოგადად იყო და იფიქრო“

თათუკა გიგოს შესახებაც გვიყვება და ყურადღებას იმ თვისებებზე ამახვილებს, რომელიც გიგოს ეხმარება, რომ მაგთის ოთახიდან შოუ წარმატებით წაიყვანოს.

- ძალიან მარტივად შევეთვისეთ ერთმანეთს. გიგოს დამსახურებაა, რომ ასეთი კარგია. ყოველთვის ყველა ლაივისთვის ემზადება. როდესაც გაიგო, რომ „ბითლზების“ ტური იყო, ამ ჯგუფზე აბსოლუტურად ყველაფერი წაიკითხა, მომზადებული მოვიდა და ბევრი რამე იცოდა. ასე ხდება ყოველთვის, მე ვუგზავნი ხოლმე რეპერტუარს თუ რას იმღერებენ კონკურსანტები. ყველაზე მეტად როკი უყვარს.

„X ფაქტორის“ მეორე სეზონში წამყვანების კასტა ორკერ შეიცვალა, ჯერ ია სუხიტაშვილი და აჩიკო სოლოღაშვილი, შემდეგ რუსკა მაყაშვილი და გიორგი ყიფშიძე. გიორგი ხაბურძანიას განცხადებით რუსკა და „ყიფშო“ საუკეთესო წყვილია, გაამართლეს და „X ფაქტორს“ თავისი ნიუანსები შემატეს.

რუსკა მაყაშვილი:

- წამყვანობის გამოცდილება საკმაოდ მაქვს, დოსიეში ჩაიწერება რომ „X ფაქტორის“ წამყვანი ვიყავი, ნომერ პირველი შოუა მთელ მსოფლიოში და საქართველოში ძალიან დიდი რეიტინგი აქვს. მეც დიდი პასუხისმგებლობა მაქვს. ასე არასდროს ვნერვიულობდი, როგორც ახლა ვნერვიულობ ხოლმე, მართლა ძალიან მიხარია, რომ ვიარე ვიარე და აქამდე მოვედი.

- შენ უკვე ჩამოყალიბებული წამყვანთა წყვილის შეცვლა მოგიწია, რა სირთულეები იყო ამ მხრივ?

- უნდა შეეცადო, რომ არ დაემსგავსო წინა ორ კარგ წამყვანს და შეეცადო, რომ შენი რაღაც ახალი შეიტანო, მე ვცდილობ ყოველ ლაივზე განსხვავებული ვიყო.

- გიორგი როგორი პარტნიორია?

- ძალიან საყვარელია, ჩემზე მეტად ღელავს, მაგრამ ვახერხებთ და ერთმანეთს ვამხნევებთ ხოლმე.

- ჩხუბობთ ხოლმე?

- მე მყავს სერიოზულ ტერორში, ძალიან სასაცილოა, ერთმანეთში არ ვჩხუბობთ და ღიმილით და სიცილით მლანძღავს ხოლმე. ოჯახით ახლობლები ვართ და ეს მორიდება არ არის, ამიტომ კომფორტულად ვგრძნობ თავს და დარწმუნებული ვარ, რომ ისიც ასეა.

- რუსკა სცენაზე ისაა ვინც სინამდვილეში? თუ თამაში უწევს?

- იმაზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ვიდრე შეიძლება ზოგადად იყო და იფიქრო. სცენაზე დადგმული არაფერი არ არის. რა ხუმრობასაც ვამბობ, შინაგანად წამოხტება ხოლმე. ეს მაინც დადგენილი შოუა და გჭირდება ბალანსი, ვცდილობ ეს დავიჭირო და ჩემი რაღაც-რაღაცებიც შევმატო.

სოფო ნიჟარაძე არის მენტორი, რომელიც ფინალს განსაკუთრებული ემოციით ელოდება და მაყურებელს სწორი გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდებს.

სოფო ნიჟარაძე:

- ფინალამდე ძალიან ცოტა დარჩა და ნერვიულობა იმატებს, ველოდები კიდევ უფრო დაძაბულ, ემოციურ და მაგარ სანახაობას. ეს იქნება უკვე ფინალი, სადაც ელემენტარული შეცდომების დაშვებაც არავის აღარ ეპატიება. ახლა არის ბრძოლა ნამდვილი გამარჯვებისთვის. კიდევ უფრო ცხელი კვირა იქნება, მოვემზადებით ამ გრანდიოზული დღისთვის, როდესაც უნდა დასახელდეს 2015 წლის ყველაზე მთავარი ადამიანი - „X ფაქტორი“. ჩვენ აღარაფერს აღარ ვწყვეტთ და აქამდე გაკეთებულ არჩევანს მთლიანად ვანდობთ მაყურებელს. იმედი მაქვს, მაყურებელი ღირსეულს ამოირჩევს, თუმცა სამივე ფინალისტი ყველა ვარიანტში ღირსეული იქნება. მე, რა თქმა უნდა, გამიხარდება, რომ ეს ჩემი გუნდის წევრი იყოს, მაგრამ ყველას ერთნაირად ვუსურვებ წარმატებებს.

კონკურსანტები ფინალისთვის განსაკუთრებულად ღელავენ, მთელი დღის განმავლობაში რეპეტიციობენ და სურთ მთავარი „X ფაქტორი“ მათთვის აინთოს. კონკურსანტების ნერვიულობა მენტორებზეც აისახება, ყველას სურს გამარჯვებული მისი კატეგორიის წევრი გახდეს. ყველაზე ნაკლებად თამთა ღელავს, წინა სეზონის გამარჯვებული ფინალს კონკურსანტის გარეშე ხვდება. კონკურსის წესებს კარგად იცნობს და ამიტომ, არ უკვრის. ნაკადი, რომელმაც მაყურებელი საგონებელში ჩააგდო, ფინალში არჩევანის გაკეთებას უფრო გაართულებს. ერთმანეთზე უკეთესი ფინალისტები ზარების მოგროვებას ერთნაირი პროფესიონალიზმითა და მუსიკალურობით შეეცდებიან, ყველაფერი გულშემატკივრის რაოდენობაზე და აქტიურობაზეა დამოკიდებული. სულ რამდენიმე საათში წლის „X ფაქტორი“ გამოვლინდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იბერპროექსი“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს სასამართლოში უჩივლებს

მაგდა კლდიაშვილი

ბათუმის სტადიონს, რომლის მშენებლობაც მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა დაწყებული, ესპანური კომპანია, „იბერპროექსი“ აღარ დააპროექტებს. ესპანურ კომპანიას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა გაფორმებული კონტრაქტი გასული თვის ბოლოს გაუწყვიტეს, მიზეზად კი გეოდეზიური დასკვნის არქონა დაასახელეს, რომელიც კონტრაქტის თანახმად, სწორედ კონკურში გამარჯვებულ კომპანიას უნდა წარმოედგინა.

მამუკა ლობჟანიძე: „კომპანიას მიხეილ სააკაშვილთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია“

iberproexenergineerging@projectmanagment – ეს არის იმ ესპანური კომპანიის სრული სახელწოდება, რომელიც ქალაქ ვალენსიაში 2015 წლის 28 იანვარს დარეგისტრირდა, თუმცა, როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში, ამ კომპანიის დირექტორის უფლებამოსილი პირი საქართველოში, მამუკა ლობჟანიძე განმარტავს, „იბერპროექსი“ საპროექტო სამუშაოებს უკვე ხუთი წელია ასრულებს, ესპანეთის კანონმდებლობით კი მსგავსი ქმედება კანონის ფარგლებში ჯდება.

რა გამოცდილება ჰქონდა სპორტული ობიექტების დაპროექტებაში, თავის დროზე ამ კომპანიამ დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, თუმცა აჭარის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ნუგზარ ძნელაძემ განმარტა, რომ კონკურსში ერთ-ერთი მოთხოვნა იყო გამოცდილება, თუმცა - არა გადამწყვეტი. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების განცხადებით, საბოლოოდ, ამ კომპანიის პროექტზე არჩევანი იმიტომ შეჩერდა, რომ ის იყო ყველაზე იაფი და მან ყველაზე მაღალი ქულა აიღო შემოქმედებით ნაწილსა და შეფასების ნაწილში.

მამუკა ლობჟანიძისთვის გაურკვეველია, რა გახდა აჭარის ხელისუფლების მხრიდან ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. „იბერპროექსმა“ გეოდეზიური დასკვნისთვის გარკვეული დრო ითხოვა. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული საკითხის განხილვას, აჭარაში თვეზე მეტი მოანდომეს, ამ პერიოდში კი ესპანური კომპანია დასკვნის წარმოდგენას შეძლებდა. აჭარის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის განყვეტის გადაწყვეტილება გასული თვის ბოლოს მიიღო, ესპანელებს კი გადაწყვეტილება მხოლოდ 3 ივლისს ჩაბარდათ. გარდა ამისა, „იბერპროექსი“ ვადების დარღვევისთვის, 12 ათასი ლარით დააჯარიმეს, კომპანია კი სასამართლოს გზით აპირებს დავას.

თავის დროზე, აღნიშნულმა კომპანიამ საქართველოში პარლამენტის შენობა და გმირთა მოედანზე აღმართული მონუმენტი დააპროექტა. არსებული ინფორმაციით, მაშინ, „იბერპროექსს“ მიხეილ სააკაშვილი სწყალობდა, სწორედ პოლიტიკური მოტივები ხომ არ გახდა ამ კომპანიასთან კონტრაქტის განყვეტის მიზეზი, „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს, მამუკა ლობჟანიძე პასუხობს.

- რამდენს შეადგენდა პროექტის ღირებულება?

- საკონტრაქტო ღირებულება 576 ათასი ლარია.

- სპორტული ობიექტების დაპროექტების რა გამოცდილება აქვს თქვენს კომპანიას?

- ძალიან მნიშვნელოვანია, დაზუსტება, რომელიც თქვენ გააკეთეთ. მოთხოვნებში იყო სპორტული ობიექტების დაპროექტების გამოცდილება და არა საფეხბურთო სტადიონების. სამწუხაროდ, დაზუსტების პროცესში, მოხდა კონკრეტიზაცია. ჩემი პასუხი შედგება ორი ნაწილისგან. ჩვენი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიას წარვუდგინეთ. მან განიხილა და ჩათვალა საკმარისად, რისი დასტურიც არის ხელმონერილი ხელშეკრულება. მათ რომ ჩაეთვალათ, რომ ჩვენი რომელიმე წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამებოდა მათ მოთხოვნილებებს, შესაბამისად, ხელშეკრულება ჩვენთან არ გაფორმდებოდა. შემდეგ მოხდა ამ კამპანის აგორება და ჩვენგან დამატებითი დოკუმენტები მოითხოვეს. სამწუხაროდ, ჭორის დონეზე, ვიღაცამ განაცხადა, რომ კომპანიას გამოცდილება არ აქვს და მოდი, ვნახოთ, რა შედეგს გამოღებს ეს.

- ახლა საუბრობენ, რომ კონტარქტი გეოლოგიური დასკვნის არქონის გამო შეწყდა, თავის დროზე იყო ამის მოთხოვნა?

- კონკურსის პირობებში ეწერა გეოინჟინერული კვლევის ჩატარება კომპანიის ხარჯზე. ეს არის კონკურსის პირობა, მის სისწორე-არსისწორეზე საუბრის უფლება არ მაქვს. ეს არის ყველასთვის საჯარო პირობები და თუ კომპანია ეთანხმება ამას, ის იღებს კონკურსში მონაწილეობას. თავისთავად, უკვე საბუთების წარდგენა, ეს არაფორმალურ თანხმობას ნიშნავს, რომ კომპანია, ყველა იმ პირობაზე, რომელიც ადგილობრივ ტენდერებში, დოკუმენტაციაში წერია, ეთანხმები.

- პოლონურ კომპანიას „პერბო“ სასამართლოში აპირებდა თქვენი გამარჯვებულად გამოცხადების გადაწყვეტილების გასაჩივრებას და კითხვებიც ჰქონდათ თქვენს პროექტთან. მაგალითად, რატომ არ არის პროექტში დიაგრამა, რომელიც აჩვენებს სტადიონის საერთო პროექციას, რომელიც ითვალისწინებს მის დაყოფას აღმოსავლეთ და დასავლეთ ტრიბუნებად?



- რამდენი ადამიანიც არის, იმდენი კითხვა ექნება ყველას, თავის პირადი ინტერესიდან გამომდინარე. ქვეყანაში არსებობს მკაფიო საკანონდებლო ნორმა, თუ რა გზით უნდა გასაჩივრდეს მსგავსი გადაწყვეტილება. ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ, დაედასტურებინათ, რომ ჩვენი პროექტი არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, შეგნებულად არ წავიდნენ ამ გზით, რადგან, ეს ნიშნავდა იმას, რომ მათ თავიანთი განცხადებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინათ. ეს განცხადებები მხოლოდ პირად მოსაზრებებზე დგას და ამის უკან, არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს. ისინი წავიდნენ ნაცადი გზით - ერთხელ ააგორე ჭორი და იმან იმართლოს თავი.

- უეფას სტანდარტებით დაუშვებელია, სტადიონის ქვეშ აშენდეს დიდი პარკინგი. როგორ წარმოგედგინათ 1000 კაციანი სადგომის გაკეთება ბათუმში, მიწისქვეშ?

„ვინაიდან ეს იყო დიდ ხარჯებთან დაკავშირებული, შევჩერდით მინიმალურზე, 150 ადგილზე, რომ არ გაზრდილიყო სტადიონის მშენებლობის ღირებულება“

- არასდროს არ ყოფილა მსგავსი არც მოთხოვნა, არც შეთავაზება, არც იდეა. 150 მანქანის სადგომი მეოთხე კატეგორიის სტადიონისთვის, მოთხოვნაა. ეს არის მატჩის მონაწილე ოფიციალური პირებისა და სხვებისთვის. ეს უეფას მოთხოვნაა. შემკვეთს შეუძლია, მეტი მოითხოვოს, მაგრამ ამაზე ნაკლების გაკეთების შემთხვევაში, ამ სტადიონს ვერ მიენიჭება მოთხოვნილი კატეგორია. ვინაიდან ეს იყო დიდ ხარჯებთან დაკავშირებული, შევჩერდით მინიმალურზე, 150 ადგილზე, რომ არ გაზრდილიყო სტადიონის მშენებლობის ღირებულება. თუ ფიზიკურად სად განლაგდება, ამაზე უეფა თავის რეკომენდაციას არ იძლევა. ეს არის მთლიანად შემკვეთზე დამოკიდებული, ჰაერში ანევს, მიწაზე განალაგებს თუ მიწის ქვემ ჩაიტანს.

- „იბერპროექსს“ საქართველოში ქუთაისში, პარლამენტის შენობა და გმირთა მოედანზე, მონუმენტი აქვს დაპროექტებული. თქვენი კომპანიის სახელი უკავშირდებოდა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელსაც. პოლიტიკური მოტივები ხომ არ გახდა კონტრაქტის გაწყვეტის მიზეზი?

- კომპანიას მიხეილ სააკაშვილთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. შესაბამისად, არც ანტიპათია და არც სიმპათია არ არსებობდა. ძირითადი დამაკავშირებელი კომპანია იყო ესპანური კომპანია „სი ემ დი“, დიდი საპროექტო ორგანიზაცია, რომელმაც გარკვეული კომპონენტების გასაკეთებლად აიყვანა „იბერპროექსი“. „იბერპროექსს“ არანაირი პროექტი არ გაუკეთებია. იქ მონაწილეობდა გარკვეული კომპონენტების დაპროექტებაში, კონკრეტული დეტალების საინჟინრო შესრულებაში. „იბერ-პროექსს“ არანაირი პირდაპირი ურთიერთობა ქართულ სახელმწიფო სტრუქტურებთან არ ჰქონია. უბრალოდ, ვებ-გვერდზე არის გამოქვეყნებული ის პროექტები, სადაც გარკვეული ფორმით, პირდაპირ თუ ირიბად, კომპანიას ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. სამწუხაროა ის, რომ ამ კითხვას უამრავჯერ გავეცი პასუხი, მაგრამ კითხვა კითხვად რჩება და ტრიალებს. „იბერპროექსმა“ კონტრაქტს ხელი მოაწერა მარტში, აჭარაში კი ხელისუფლება სამი წლის წინ შეიცვალა. გადაწყვეტილების გაუმართაობიდან გამომდინარე, სხვა რა საფიქრელი გრჩება ადამიანს, რომ ვიღაცის ინტერესი იყო ეს. სამინისტრომ, ჩვენი სახით გაიჩინა თავის ტკივილი. ჩვენ წავალთ სასამართლოში და ამ პროცესს დავბლოკავთ. სამინისტრო ეცდება, წინააღმდეგობა გაგვიწიოს. მათ, თავიანთი დაუფიქრებელი გადაწყვეტილებით, თავი შარში გაჰყვეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიკა მახალდიანი იტალიაში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენზე დაინიშნა

my View
ნინო მჭედლიშვილი

მომღერალი, თიკა მახალდიანი წინა კვირას დაინიშნა. მისი რჩეული იტალიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, თემო პირველაშვილია. ჩვენ თიკას დავუკავშირდით და ნიშნობა მივულოცეთ.

- თიკა, გვიამბე სად გაიცანით ერთმანეთი?

- თემო ჩემი მეგობრის, სალომე ბაკურაძის მეუღლის, ლაშა ბასლანძის მეგობარია. თემო დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა იტალიაში. დეკემბერში იყო ჩამოსული და მაშინ გავიცანით ერთმანეთი. მალევე დავახლოვდით. რესტორანში იყვნენ ბიჭები, მე და სალომე მივედით... მეორე დღესვე მომწერა.

- იმღერე?

- არ მიმღერია, არ იცოდა, რომ ვმღეროდი, მოგვიანებით გაიგო და მოეწონა.

- რას საქმიანობს შენი რჩეული?

- იტალიაში ცხოვრობს, იქ აქვს პატარა ბიზნესი.

- რას აპირებთ, შენც წახვალ იტალიაში თუ თემოს მოიტყუებ აქეთ?

- ალბათ, მომიწევს ხოლმე წასვლა. ორ ქვეყანას შორის ვიქნები, ვივლი ასე (იცინის).

- ჯვრისწერას და ხელისმოწერას როდის აპირებთ?

- ერთ-ორ თვეში წავალ მეც იტალიაში და რომ დავბრუნდებით, ოქტომბერში გვექნება ქორწილი.

ეკა ხოფერიამ დაბადების დღე ყაზბეგში სამუშაო რეჟიმში აღნიშნა

my View
ნინო მჭედლიშვილი

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, რომელზეც ცნობილი ქართველების ყაზბეგური ვოიაჟია ასახული. „ყველას დიდი მადლობა, თბილისში არ ვარ! 9 ივლისი მუშაობის დღეა“, - წერს ეკა ხოფერია და ფოტოს აქვეყნებს ტრანსპორტიდან, სადაც არაერთი ცნობილი სახე ჩანს. როგორც გავარკვიეთ, ეკამ მორიგი დაგაცემისთვის შეკრიბა ცნობილები სახეები. მათ შორის იყვნენ: მაკა ზამბახიძე, ზუზუ ბეჟაშვილი, გივი სიხარულიძე, „ქუჩის ბიჭები“. ფოტოებიდან ჩანს, რომ ეკას თან ახლდა მეუღლეც. როგორი გამოვიდა მთიან ყაზბეგში ჩაწერილი გადაცემა, ამას 28 ივლისს ნახავთ, მანამდე ამბები მსახიობ ზუზუ ბეჟაშვილს გამოვკითხეთ.

ზუზუ ბეჟაშვილი:

- მე რა შუაში ვიყავი, ვერ გავიგე, მაგრამ გადაცემის თემა იყო ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ბავშვობაში დაბრუნება. ერთი დღე ყაზბეგში, მლეთაში გავატარეთ. ძალიან გავერთეთ.

ნინო ჩხეიძემ კონცერტი გემზე ჩაატარა

my View
ნინო მჭედლიშვილი

ცხელი ზაფხულის დღეებს ქართველი ვარსკვლავების უმეტესობა თბილისისგან შორს ატარებს. ნინო ჩხეიძე ცოტა ხნის წინ კვიპროსიდან დაბრუნდა. გემი, რომელზეც ქართველი მომღერალი მეუღლესთან და სხვა მომღერლებთან ერთად იმყოფებოდა ისრაელიდან კვიპროსის მიმართულებით გავიდა. ნინოსთან ერთად, გემზე, მომღერალი ანრი ჯოხაძეც გახლდათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N28 (329) ორშაბათი, 20 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

სკანდალი უკრაინულ „იქს ფაქტორში“ - ქართველ კონკურსანტს პროექტის ჩაწყობაში ადანაშაულებენ

exclusive



ბიზნესმენ თემურ უგულავას ახალი გატაცება 19 წლის მოდელი ნინი ნებიერიძეა

exclusive

რა კომენტარს აკეთებს მოდელი „პრაიმტაიმთან“

exclusive

დავით სირაძის გამოუვალი მდგომარეობა

„ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე იგორ დობროვოლსკი მოიყვანეს მწვრთნელად, ის კი ქართველებს ვერ იტანს“

exclusive

უეფას სუპერთასზე, საქართველოდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხოლოდ 33 პირი დაესწრება

გიორგი ხაბურძანია „X ფაქტორის“ შესახებ ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“

exclusive

exclusive
ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ვინ არის რუსუდან კობიაშვილის ნამდვილი „დუდუ“ და რატომ ურეკავდნენ მსახიობს ციხიდან

exclusive

გია გეგუჩაძე - ვისთვისაც მარცხი მისალებია, ის ფეხბურთელი ვერასდროს გაიზრდება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება